# არსენალი

№ 8 (25). აგვისტო. 2006. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

13/2

ქართული სანაპირო დაცვის კატარღა „არსენალს" დაუმეგობრდა

მსტოვრობის ისტორია საქართველოში

აფხაზეთის ფლოტი სრულ მზადყოფნაშია?!

1425 /2
2006



საფრანგეთის უცხოური ლეგიონის სპეცნაწილები

სტრაიკბოლი ქართულად

ნადირობა სტალინზე

ჰუგო შმაისერი — გზა ჰიტლერის მისაღებიდან საბჭოთა მეიარაღეობამდე

მშვიდობა-ომის გზაგასაყარზე

ვინ იბრძვის ახლო აღმოსავლეთში




მშვიდობა-ომის გზაგასაყარზე

6





შმაისერი — გზა ჰიტლერის მისალმებიდან საბჭოთა მეიარაღეობამდე

50






„არსენალი“ „გენერალ მაზნიაშვილს“ დაუმეგობრდა

35

რითი ებრძვიან ებრაელები და არაბები ერთმანეთს

26









თამაში უფროსებისთვის სტრაიკბოლი ქართულად

30





ნადირობა სტალინზე

10

# სარჩევი


კალეიდოსკოპი

4 უცხოეთის ამბები

თვალსაზრისი

6 მშვიდობა-ომის გზაგასაყარზე

6 თბილისი კოდორის ხეობაში „შედის"

არქივი

10 ნადირობა სტალინზე

სპეცსამსახურები

15 მსტოვრობის ისტორია საქართველოში

ნადირობის მოყვარულთათვის

18 „მონადირე მკვლელი არ არის... აზარტი იღვიძებს და..."

სამხრეებიანი პრეზიდენტები

20 ამაყი ფრანგი გენერალი

პროფესიონალები

22 საფრანგეთის უცხოური ლეგიონის სპეციალური დანიშნულების დანაყოფები

კონფლიქტი

26 რითი ებრძვიან ებრაელები და არაბები ერთმანეთს

თავშესაქცევი

30 სტრაიკბოლი ქართულად

ფლოტი

35 „არსენალი" „გენერალ მაზნიაშვილს" დაუმეგობრდა

პრობლემა

38 აფხაზური სამხედრო ფლოტი „მზად არის" ტურისტული სეზონისათვის...

ფაქტის კვალდაკვალ

40 ბალისტიკური რაკეტების მწარმოებელი ღატაკი ქვეყანა

ფლოტი

42 სარაკეტო კატარღები საზღვაო კონფლიქტებში

კროსვორდი

47 არსენალვორდი

ისტორიული ექსკურსი

48 „არსენალის" თვის კალენდარი

მეიარაღე

50 ჰუგო შმაისერი – გზა ჰიტლერის მისაღებიდან საბჭოთა მეიარაღეობამდე

„არსენალის" იარაღის მაღაზია

54 პისტოლეტი ფიურერისათვის


## რედაქტორის სვეტი

შეიარაღებული ამბოხებები ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიის თანამდევია.

აკაკი ელიავას 1998 წლისა და ემზარ კვიციანის 2006 წლის ქმედებები კიდევაც ჰგავს და არც ჰგავს ერთმანეთს. სამაგიეროდ, თითქმის იდენტურია ხელისუფლების რეაქცია – 1998 წელს თავდაცვის მინისტრმა თევზაძემ გასცა ბრძანება „ცეცხლი!", 8 წლის შემდეგ უკვე მისმა ახალმა კოლეგამ ოქრუაშვილმა ბრძანა – „წინ!".

გასაგებია, რომ ხელისუფლება არ უნდა ითმენდეს შეიარაღებული ამბოხის მცირე ნიშნებსაც კი, მაგრამ საკითხავი ის არის, რატომ მიჰყავს იმავე ხელისუფლებას საქმე იქამდე, რომ ვინმეს სახელმწიფოს წინააღმდეგ იარაღის ხელში აღება მოაფიქრდეს!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენი მკითხველი სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ასწრებს ჟურნალის ყიდვას პრესის ჯიხურებში. ამიტომ გირჩევთ, გამოიწეროთ „არსენალი" და მიიღოთ შინ, ყოველი თვის დასაწყისში.
ტელ: 42-43-40


რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია


ჟურნალ „არსენალის" ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში


გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, აკურის ქუჩა №8. (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ

# Augusta Westland-ი ახალ საბრძოლო შვეულმფრენს ქმნის



ავიასალონ Farnborough-2006-ზე წარმოადგინეს კომპანია Augusta Westland-ის ახალი საბრძოლო შვეულმფრენის პროექტი. ახალი შვეულმფრენი, რომლის ინდექსია AW-149, საშუალო წონითი კატეგორიის – 7-8 ტონა – საბრძოლო მანქანა იქნება. ის მრავალ ქვეყანაში წარმატებით გამოყენებულ AW-139-ს შეცვლის, რომლის ასაფრენი წონა 6,4 ტონას შეადგენს. მას ექნება ვიბრაციისა და ხმაურის დაბალი დონის მქონე ხუთფრთიანი გადამტანი ხრახნი, 160 კვანძი სიჩქარით (საათში 290 კილომეტრზე მეტი); ასევე 2000 ცხენისძალიანი ორი აირტურბინული ძრავა; ფრენის სიშორე ეკიპაჟის ორი წევრითა და სრული ეკიპირების მქონე 12 მედესანტით – 900 კილომეტრზე მეტს მიაღწევს.

გარე საკიდარზე შეიარაღების გარდა, შვეულმფრენის სატვირთო კაბინაში 15-მდე მედესანტე მოთავსდება. შეიარაღება შვეულმფრენს საშუალებას მისცემს, შეებრძოლოს შეჯავშნულ სამიზნეს და ბრძოლის ველზე ქვეითებისთვის საცეცხლე მხარდაჭერა განახორციელოს. საბრძოლო ამოცანების შესრულების გარდა, AW-149-ს გამოიყენებენ სატრანსპორტო, მეკავშირე, სანიტარულ და სამაშველო შვეულმფრენად.

ბორტის სრული ციფრული აღჭურვილობა შვეულმფრენს მაღალმოდერნიზებულ პოტენციალს სძენს. შვეულმფრენის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას პილოტები ოთხი მსხვილფორმატიანი თხევადკრისტალური დისპლეით მიიღებენ.

AW-149-ს მკაცრ პირობებში ექსპლუტაციისთვისაც მოამზადებენ. მისი გაძლიერებული კონსტრუქციის შასი შვეულმფრენს საშუალებას მისცემს, მოუმზადებელ გრუნტებზეც დაჯდეს.

# აშშ მრავალმუხტიან რაკეტას ცდის

კომპანია Lockheed-martin-მა წარმატებით დაასრულა სისტემა GHJ-ის რაკეტა-გზაგადამჭრელებისთვის მრავალსამუხტე საბრძოლო ნაწილების გამოცდის პირველი ეტაპი.

საბრძოლო ნაწილის მასაგაბარიტული მაკეტის გამოცდა GHJ სისტემის მშენებელობის პროგრამაში „ლოკჰიდის" სუბმენარდე კომპანია Aerojet-მა ჩაატარა.

რაკეტა-გზაგადამჭრელებისთვის მრავალსამუხტე საბრძოლო ნაწილების შექმნა სისტემა GHJ-ს განვითარების ახალ დონეზე აიყვანს. ამ საბრძოლო ნაწილებით აღჭურვილ რაკეტებს შეუძლიათ გაანადგურონ GHJ სისტემის გამანადგურებელი საშუალებებით აღჭურვილი რაკეტების სათავე ნაწილები.

ამჟამად სისტემა GHJ-ის რაკეტა-გზაგადამჭრელებს მესამე მსოფლიოს ქვეყნების შეიარაღებაში არსებული მხოლოდ მონობლოკური საბრძოლო ნაწილების მქონე ბალისტიკური რაკეტების განადგურება შეუძლიათ.

მრავალსამუხტე საბრძოლო ნაწილების მქონე რაკეტა-გზაგადამჭრელების შექმნით აშშ-ს საშუალება მიეცემა, დაიწყოს სისტემა GHJ-ის მშენებლობა, რომელსაც იმ ქვეყნების სარაკეტო დარტყმებს მოიგერიებს, რომელთაც მნიშვნელოვანი ბირთვული პოტენციალი აქვთ, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის.

# ტაივანზე სამხედრო სწავლებები გაიმართა

ტაივანზე უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ყველაზე ფართომასშტაბიანი სამხედრო სწავლებები ჩატარდა. მასში მონაწილეობდა 13000 ჯარისკაცი და ოფიცერი, ასევე 500 ერთეული საბრძოლო ტექნიკა. სწავლებების მსვლელობისას დამუშავდა სხვადასხვა სახეობის ჯარების ურთიერთმოქმედება მატერიკული ჩინეთის მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში.



სწავლებები სახელწოდებით „ხანგუანი" (ჩინეთის დიდება) ტაივანზე ოცდამეორეჯერ გაიმართა. სწავლების დასაწყისში რაკეტასაწინააღმდეგო კომპლექსიდან „Pertiot-2"-იდან გაუშვეს ორი რაკეტა, რომლებმაც ჩინეთის ტერიტორიიდან გამოსროლილი ორი პირობითი რაკეტა გაანადგურეს. შემდეგ თვითმფრინავებმა F-16-ებმა საბომბე დარტყმა მიაყენეს სავარაუდო ჩინელი მოწინააღმდეგის ხომალდებს. სწავლებებში მონაწილეობდნენ Knox-ის კლასის სამხედრო ხომალდები და შვეულმფრენი „კობრები". 1949 წელს ტაივანზე პარტია გომინდანის რამდენიმე მილიონი მომხრე გაიქცა, რომელთაც მატერიკულ ჩინეთში ხელისუფლებისათვის ბრძოლა კომუნისტებთან წააგეს. ჩინეთი ტაივანს თავის ერთ-ერთ პროვინციად მიიჩნევს და არაერთხელ განუცხადებია, რომ თუ კუნძული ფორმალურ დამოუკიდებლობას მოიპოვებს, სამხედრო ძალის გამოყენებას არ მოერიდება.

# რუსეთის შსს „ტიგრებით“ შეიარაღდა



რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიარაღებაში მიიღო სამხედრო ტექნიკის, იარაღისა და საბრძოლო მასალის 40-ზე მეტი ახალი ნიმუში. მათ შორის გორკის საავტომობილო ქარხნის საპოლიციო ავტომობილები „ტიგრები“.

„გარდა „ტიგრებისა“, მივიღებთ ახალი სპეციალური ტექნიკის ნიმუშებს – სპეციალურ ავტომობილებს „ლავინა-ურაგანებს“ წყალსატყორცნი მოწყობილობებით, მასობრივი უწესრიგობების ალსაკვეთად. ეს მანქანა უმოკლეს ვადაში შექმნეს და მაჩვენებლებით საზღვარგარეთულ ანალოგებს აღემატება. გარდა ამისა, სპეციალური ღონისძიებების გასატარებლად ექსპლუატაციაში მივიღებთ ახალ სისტემას, რომელიც დამნაშავეების ჯანმრთელობას არ ავნებს, მაგრამ ცეცხლის გახსნისას ეფექტიანი დამიზნების საშუალებას მოუსპობს“, – განაცხადა მილიციის გენერალ-ლეიტენანტმა მიხაილ სუხოდოლსკიმ.

სამამულო ნიმუშებიდან რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო შეიარაღებაში მიიღებს 9 მმ კალიბრიან პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ПП-2000-ს, 18,5 მმ კალიბრიან სპეციალურ სასროლ კომპლექსს ССК-ს, სხვადასხვა ყუმბარას, არასასიკვდილო ზემოქმედების სპეციალურ საშუალებებს, ასევე ჯავშანჟილეტების ახალ სახეობებს.

გარდა სამამულო ნაკეთობებისა, უცხოეთის სახელმწიფოთა სამართალდამცველი ორგანოების გამოცდილებისა და ჩასატარებელი ღონისძიებების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეიარაღებაში პირველად მიიღებენ სასროლი იარაღის 10-ზე მეტ სახეობას. ლაპარაკია პისტოლეტ Glock-ის რამდენიმე სახეობაზე, ფირმა Ceska Zbrojovka-ს, Heckler&Koch-ისა და Walther-ის პისტოლეტებზე, ისეთი ფირმების სნაიპერულ შაშხანებზე, როგორიცაა AWP, Styer, ასევე ფირმა Heckler&koch-ის ცნობილი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების სხვადასხვა სახეობასა და მოდიფიკაციებზე.

# სამხედრო-სტრატეგიული თამაში „ირანული სცენარით“

ვაშინგტონში ჩატარდა სამხედრო-სტრატეგიული თამაში „ირანული სცენარით“, რომელშიც აშშ-ის მთავრობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

„თამაში სახელწოდებით „სპარსული ოქრო“ ირანიდან მომდინარე მუქარას მიეძღვნა. მისი შინაარსი, ისევე როგორც გადაწყვეტილებები, საიდუმლოა და გახმაურებას არ ექვემდებარება. თამაშის მსვლელობისას შევიმუშავეთ დიპლომატიური, პოლიტიკური და ეკონომიკური მოქმედებები, რომლებსაც განვახორციელებთ ირანის ირგვლივ მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებთ“, – განაცხადა სტრატეგიული ფორუმის ანალიტიკოსმა მარგარეტ მაკკაუნმა.

ღონისძიება პენტაგონის ინიციატივა იყო და სტრატეგიული პოლიტიკის ფორუმმა ჩაატარა. როგორც ფორუმის მიერ გავრცელებულ ცნობაშია ნათქვამი, თამაშის მსვლელობისას განიხილეს ირანის შესაძლო ზემოქმედების შედეგი საერთაშორისო პოლიტიკაზე და აშშ-ის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში. ჩვეულებრივ თამაშები 2-3 საათს გრძელდება, მაგრამ „ირანულს“ 4 საათი დაეთმო.

# ვენესუელამ მილიარდის იარაღი იყიდა



რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერგეი ივანოვის ცნობით, რუსეთმა გააფორმა კონტრაქტი, რომელიც ვენესუელისთვის 30 საბრძოლო თვითმფრინავ Су-30-ისა და ამდენივე შვეულმფრენის მიწოდებას ითვალისწინებს. კონტრაქტის ღირებულებამ 1 მლრდ დოლარი შეადგინა.

მინისტრის თქმით, ვენესუელამ რუსული თვითმფრინავების ყიდვა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ორი Су-30 კარაკასამდე მიფრინდა და უკანაც დაბრუნდა. „ვფიქრობ, ეს ყველაზე საიმედო რეკლამა იყო როგორც თვითმფრინავისთვის, ასევე მისი ძრავასთვის“, – განაცხადა სერგეი ივანოვმა.

კონტრაქტი ვენესუელასთან დაახლოებით 2006 წლის ივნისიდან მზადდებოდა, იმ დროიდან, როცა ცნობილი შეიქნა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი უგო ჩავესი მოსკოვს ესტუმრებოდა სამდღიანი ვიზიტით. ადრე ვენესუელა იარაღის დიდ პარტიებს მხოლოდ აშშ-ისგან ყიდულობდა. ამ კონტრაქტამდე რუსეთი ვენესუელას სატრანსპორტო-საბრძოლო შვეულმფრენებს Ми-17-სა და სასროლ იარაღს აწვდიდა.

სერგეი ივანოვმა ისიც განაცხადა, რომ რუსული წარმოების მეხუთე თაობის სამხედრო თვითმფრინავი ცაში 2009 წელს გამოჩნდება. ამასთან, ახალი თვითმფრინავის ძრავა ძველი მოდელების საფუძველზე გაკეთდება, რადგან ახალი ძრავას შექმნა დიდ რისკთან არის დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშვიდობა-ომის გზაჯვარედინზე



## დაიწყება თუ არა საბრძოლო მოქმედებები ცხინვალის რეგიონში და რა შედეგს უნდა ველოდოთ...

დაიწყება თუ არა ომი ცხინვალის მისადგომებთან — ეს კითხვა დღეს მოსვენებას არ აძლევს საზოგადოების უდიდეს ნაწილს. იგივე კითხვა უტრიალებთ თავში ცხინვალის მცხოვრებთაც.

ძალიან ბევრი მინიშნება არსებობს საიმისოდ, რომ ყველაფერი ომისაკენ მიდის. ამის საფუძველს იძლევა ცხინვალელი სეპარატისტების ლიდერების



გამონათქვამები, რომლებსაც ვლადიკავკაზი და მოსკოვი სრულ მხარდაჭერას უცხადებენ.

სიმართლე ითქვას, რიხიანი გამონათქვამებით მათ არც საქართველოს პრეზიდენტი და მისი თავდაცვის მინისტრი ჩამორჩებიან...

ლოგიკურად რომ ვიმსჯელოთ, სააკაშვილის ხელისუფლებას რუსეთის მთავრობა სხვა შანსს არც უტოვებს, აქტიური ქმედებისკენ უბიძგებს.

14-წლიანი სამშვიდობო მოლაპარაკებები არცთუ შედეგიანი აღმოჩნდა ქართული მხარისათვის. ამის დასტური ისიც არის, რომ ცხინვალიდან დევნილი ქართველები დღესაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სასტუმროებში აფარებენ თავს.

მეორე მხრივ, ხელისუფლებაში მოსვლისთანავე სააკაშვილის გუნდმა პირობა დადო, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად. ამომრჩეველს დანაპირები არ დავიწყებია და ხელისუფლებისგან აქტიურ მოქმედებას ელის.

როგორ შეიძლება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა — მშვიდობით თუ ომით? სამწუხაროდ, განვლილმა პერიოდმა უფრო ის დაგვანახვა, რომ მხოლოდ მოლაპარაკებებით ჩვენთვის სასურ-



ეროვნული ბიბლიოთეკა





ველ შედეგს ვერ მივაღწევთ. კონფლიქტი კვლავ გაყინული რჩება. დროის გაჭიანურება კი სეპარატისტების წისქვილზე ასხამს წყალს — ისინი ძალიან ნელა, მაგრამ მაინც განამტკიცებენ თავიანთ სეპარატისტულ წყობას.

ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან ძალით დაკარგულს, როგორც წესი, ძალითვე იბრუნებენ.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყურადღება ქართული არმიის გაძლიერებაზე გადაიტანა. სხვა თუ არაფერი, შევარდნაძის დროიდან პირველად გაიზარდა არმიის ბიუჯეტი თითქმის ათჯერ. ამ დღეებში კი დამატებით 212 მლნ ლარიც დაემატა თავდაცვის ბიუჯეტს, რის შემდეგაც მისმა მაჩვენებელმა ექვსას მილიონს(!) გადააჭარბა.

ისე, ვინ რას უნდა უჩიოდეს იმ პრეზიდენტს, რომელიც ქვეყნის მთლიანობის აღსადგენად არმიას ამხელა თანხებს აძლევს, მაგრამ რეალობა გვარწმუნებს, რომ ფული თურმე სულაც არ ნიშნავს ბრძოლაში ავტომატურად გამარჯვებას.

თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს მიაჩნია, რომ იგი 2007 წლის 1-ელ იანვარს ცხინვალში შეხვდება და ვისაც მისი სჯერა, მოუწოდებს, თან გაჰყვეს.

საზოგადოდ, არც ერთი ნორმალური ქვეყნის ნორმალური პროფესიონალი სამხედროები არასოდეს აკონკრეტებენ ამა თუ იმ ბრძოლაში გამარჯვების დღეს.

ჯერ ერთი იმიტომ, რომ იკარგება მოულოდნელობის ეფექტი, რამაც შეიძლება გაზარდოს დანაკარგი შეტევაზე გადასულ პირად შემადგენლობაში. ამასთან, მიუღებელია რაიმე თარიღთან ამა თუ იმ გამარჯვების მიბმა.

მართალია, დღევანდელმა ხელისუფლებამ ვარდების რევოლუცია და ბათუმიდან ასლან აბაშიძის გაძევება გიორგობის წმინდა დღესასწაულს კი „მიაბა“, მაგრამ იმავეს გაკეთება ცხინვალელ სეპარატისტებთან არ იქნებოდა გამართლებული.

მიზეზი ძალიან მარტივია — როდესაც უშუალოდ მინისტრისგან განიცდის ზეწოლას, გინდა თუ არა ახალი წლის ღამეს ცხინვალში ქართული ხუთჯვრიანი დროშა უნდა აფრიალდესო, ბრიგადის მეთაური ბატალიონის მეთაურს აიძულებს, მიუხედავად მსხვერპლის გაზრდის საშიშროებისა, ბრიგადის შემადგენლობას შეტევაზე უკრას თავი. თავის მხრივ ბრიგადის მეთაური ბატალიონის მეთაურზე ახდენს ზეწოლას, ის — ასეულის დონეზე და ასე გრძელდება...

უახლოეს ისტორიას უკვე ახსოვს ერთი თავდაცვის მინისტრი, რომელმაც თავისი დაბადების დღისთვის, 31 დეკემბრისთვის მოისურვა ქალაქის აღება. ეს რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი იყო, რომლის ახირებაც სავალალო ტრაგედიად იქცა — 1995 წლის 1-ელი იანვრის დილას გროზნოს ქუჩებში ათასობით რუსი ჯარისკაცისა და ოფიცრის ცხედარი ეყარა, ქალაქის ქუჩებში კი ასობით ტანკი და ჯავშანმანქანა იწვოდა. გრაჩოვს რომ არ ეჩქარა პრეზიდენტ ელცინისთვის იმის მოხსენება, რომ ახალი წლის ღამეს გროზნოს ავიღებთო, რუსეთის არმია ასეთ სირცხვილს არ ჭამდა.

ჩეჩნეთის მეორე ომის დროს კი, 1999 წლის ბოლოს, ჭკუანასწავლმა რუსმა გენერლებმა ჯერ ალყაში მოაქციეს გროზნო და იგი უმოწყალოდ დაბომბეს და მხოლოდ შემდეგ შეუშვეს ქალაქის ქუჩებში ცოცხალი ძალა. შესაბამისად, რუს სამხედროთა დანაკარგები მინიმალური იყო.

საერთოდ, ის ფაქტი, რომ თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს, რომელიც სამო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქო პირია, უდიდესი გავლენა აქვს გენერალურ შტაბზე და თითოეული ბრიგადისა თუ ბატალიონის მეთაურსაც თავად აძლევს ბრძანებებს, რეალურ საბრძოლო მოქმედებებში შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. როგორი ენერგიულიც და მონდომებულიც უნდა იყოს, მინისტრს არ ეყოფა სამხედრო ცოდნა. ოპერატიული მოქმედებისთვის თუ სხვადასხვა ტაქტიკური ამოცანის დასახვისა და შესრულებისთვის პროფესიონალი სამხედროებია საჭირო, რომლებიც ასევე პროფესიონალი მზვერავების მოპოვებულ სადაზვერვო მონაცემებს ობიექტურად შეაფასებენ და ოპერაციას ზედმიწევნით გულმოდგინედ დაგეგმავენ.

პროფესიონალი სამხედროების კატასტროფულმა სიმცირემ საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარ დამგეგმავ „ტვინში" — გენშტაბში შესაძლოა კატასტროფამდე მიგვიყვანოს. ერთი წუთით არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სეპარატისტების უკან და გვერდშიც პროფესიონალი რუსი გენერლები დგანან, რომლებმაც საბჭოთა არმიის სკოლაც გაიარეს, ავღანეთშიც იბრძოლეს და ჩეჩნეთის მწარე გამოცდილებიდანაც ბევრი დასკვნა გამოიტანეს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ოქრუაშვილმა კი ერთ-ერთ ტელეგადაცემაში „ჟულიკი" ევნევიჩი ოთხვარსკვლავიან გენერლად მოიხსენია. არადა რუსეთის შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების სარდლის მოადგილე ევნევიჩი მხოლოდ გენერალ-ლეიტენანტია და შესაბამისად ორი ვარსკვლავი აქვს სამხრეებზე. ეტყობა, ჩვენმა თავდაცვის მინისტრმა მას ვარსკვლავები ორივე სამხრეზე ერთად დაუთვალა. ასე რომ ვიმსჯელოთ, მაშინ გენერალ-პოლკოვნიკი ექვსვარსკვლავიანი, ხოლო არმიის გენერალი კი რვავარსკვლავიანი გენერალი(?!) გამოვა.

შესაძლოა, ეს შეცდომა მექანიკურიც იყო, მაგრამ ქართული სამხედრო უწყების პროფესიონალიზმის დონეს მაღლა ნამდვილად არ ასწევს.

დავუბრუნდეთ ისევ ქართული დროშის აღმართვის პერსპექტივას ცხინვალის თავზე.

ეს ქმედება არსებით შედეგს ვერ მოიტანს, რადგან მთავარია არა დროშის აღმართვა, არამედ ის, ვინ და როგორ გააკონტროლებს დროშააღმართულ ტერიტორიას.

ამერიკულმა არმიამ ერაყის საზღვარი 2003 წლის 20 მარტს გადალახა და 9 აპრილს უკვე ბაღდადში ააფრიალა დროშა, მაგრამ მას შემდეგ სამ წელზე მეტმა განვლო და ძნელი სათქმელია, კოალიციური ძალები ბაღდადს მაინც ბოლომდე რომ აკონტროლებდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ, მთლიანად ერაყზე.

ცხინვალის რეგიონი, რა თქმა უნდა, ერაყი არ არის, მაგრამ საქართველოსა და აშშ-ს შორისაც მოიძებნება განსხვავება. ამასთან, ტერორისტული აქტების მოწყობასა თუ გზების დანაღმვას ოსი სეპარატისტები (და მათი მხარდამჭერი ათასი ჯურის დაქირავებული მებრძოლი) „ალ-ქაიდაზე" ნაკლებად როდი შეძლებენ.

პარტიზანულ ომს არ გააჩნია ფრონტის ხაზი, ამიტომ აქ არტილერიაში თუ ავიაციაში უპირატესობას ნაკლებად გამოიყენებ. თუკი თითოეული დივერსიული აქტის გამო მთელი ოსური სოფელი დაბომბე (ასეთი ხელწერით მოქმედებდნენ რუსეთის ფედერალები ჩეჩნეთში), მაშინ უკმაყოფილოთა რიცხვი გაიზრდება, ამით კი სეპარატისტების დივერსიული რაზმები შეივსება.

მეორე რეალური საშიშროება, რაც შეიძლება გვემუქრებოდეს, დაახლოებით იგივეა, რაც დღეს ისრაელ-ლიბანის საზღვარზე ხდება.

სეპარატისტების მთავარი თავდაცვითი ზღუდეები ჯავის რაიონშია განლაგებული. იქვეა გადამალული მათი არტილერია. მათ შორისაა ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა БМ-21 ГРАД-ებიც, რომლებიც უმართავ რაკეტებს თითქმის 21 კმ-ის სიშორეზე უშვებენ. 21 კმ-იან რადიუსში კი ბევრი ქართული სოფელი ხვდება.

ისრაელის ავიაცია ყოველდღიურად ბომბავს „ჰეზბოლაჰის" სარაკეტო დანადგარების სავარაუდო პოზიციებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ებრაულ ქალაქებში ასევე ყოველდღიურად ეცემა ლიბანის ტერიტორიიდან გამოშვებული რაკეტები.

ოსი სეპარატისტების შეიარაღებაშიც დაახლოებით იგივე სარაკეტო სისტემებია, როგორიც „ჰეზბოლაჰს" აქვს. თუკი ისრაელის ავიაციას, რომელიც ულტრათანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურითაა აღჭურვილი, არ შეუძლია „ჰეზბოლაჰის" „გრადების" ეფექტიანად განადგურება, როგორ შეძლებს ამას ქართული ავიაცია?!

აქვს კი აზრი ცხინვალის თავზე ქართული დროშის საზეიმოდ აღმართვას, თუკი ჯავის რაიონის ტყეებში შემალული სეპარატისტების БМ-21 „გრადები", 2С1 „აკაციები" და Д-30 ჰაუბიცები შეუწყვეტლივ დაბომბავენ ქართულ დასახლებულ პუნქტებს?!

ამიტომ, თუ მართლაც დაიწყო საბრძოლო მოქმედება ქართულმა მხარემ, აქცენტი ცხინვალში დროშის ფრიალზე კი არა, არამედ მოწინააღმდეგის შორეული მოქმედების არტილერიის მწყობრიდან გამოყვანაზე უნდა გააკეთოს.

კიდევ ერთი ძალზე საჭირბოროტო საკითხია, რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ცხინვალის რეგიონში დაწყებული ოპერაცია. არსებობს ძალიან ბევრი წინა პირობა იმისა, რომ იგი უსაზღვროდ გაჭიანურდეს, თუკი საბრძოლო ოპერაცია ანტიპარტიზანულ ქმედებებში გადაიზრდება. არადა, ეს თითქმის გარდაუვალია, რადგან რუსეთის მაღალი ოფიციალური პირები აღარც მალავენ, რომ ისინი ყველა საშუალებით დაეხმარებიან კონფლიქტის ზონაში მცხოვრებ „რუსეთის მოქალაქეებს".

სწორედ ამას ემსახურება როკის გვირაბის პორტალთან გამართული რუსული სამხედრო სწავლებების „კავკასიური ზღუდე-2006"-ის ერთ-ერთი მთავარი ფაზა. მოსკოვი დემონსტრაციულად უყრის თავს საბრძოლო ტექნიკასა და პირად შემადგენლობას (6 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე და 230 ერთეული საბრძოლო ტექნიკა) საქართველო-რუსეთის საზღვრის ცხინვალის რეგიონის მონაკვეთზე, რითაც ოფიციალური თბილისის დაშინება სურს.

სააკაშვილის გუნდის დაშინება კი არც ისე ადვილია, რადგან თუკი დავუჯერებთ საქართველოს პრეზიდენტის ორფოლოს პოლიგონზე ნათქვამს, მან პირველად იხილა ბრძოლისუნარიანი ქართული არმია, რომელსაც მთავარი გამოცდა ჯერ კიდევ წინ აქვს. პოლიგონზე გამართული ფართომასშტაბიანი სწავლების შემდეგ არც თავდაცვის მინისტრ ოქრუაშვილს აკლია ოპტიმიზმი: „არმიას ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესრულება შეუძლია!" — აცხადებს იგი.

საერთოდ ნებისმიერი საბრძოლო ამოცანის შესრულება ქართულ არმიას კი არა, ერთად აღებულ ამერიკულ-რუსულ არმიებსაც არ შეუძლიათ, რადგან ეს დამოკიდებულია სავარაუდო მოწინააღმდეგის ან მოწინააღმდეგეების შესაძლებლობებზე.

ძალიან ცუდია, თუკი ჩვენმა ხელისუფლებამ მართლაც დაიჯერა, რომ ორფოლოზე თვე-ნახევრის განმავლობაში მიმდინარე „კავკასიონი-2006"-ზე ქართული არმია ისე გაიწვრთნა, რომ ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა — ქალამნად.

არმიების ჩამოყალიბება ათწლეულების განმავლობაში მიმდინარეობს და ამ საქმეში სიჩქარე ძალიან სახიფათოა.

არ გვინდა, თვითდაჯერებამ და არასწორმა პოლიტიკურმა, სამხედრო და რაც მთავარია, ეკონომიკურმა გათვლებმა, საქართველოს ხელისუფლებას საბედისწერო ნაბიჯი გადაადგმევინოს. კრემლში ხომ დღედაღამ იმაზე ოცნებობენ, რომ ახალ შეიარაღებულ კონფლიქტში ხანგრძლივად ჩაგვითრიონ...

*ირაკლი ალადაშვილი*

# თბილისი კოდორის ხეობაში "შედის"



„არსენალის“ ეს ნომერი თითქმის მზად იყო დასაბეჭდად, რომ მოულოდნელად კოდორის ხეობაში სიტუაცია დაიძაბა. მოულოდნელად იმიტომ, რომ მთელი ყურადღება ცხინვალის რეგიონისკენ იყო გადატანილი, სადაც მდგომარეობის უკიდურესად დაძაბვას თითქმის დღე-დღეზე ელოდნენ.

წესით, ემზარ კვიციანის განცხადება საქართველოს ხელისუფლებისთვისაც სავსებით მოულოდნელი უნდა ყოფილიყო. კვიციანმა თავიდანვე საბედისწერო შეცდომა დაუშვა, როდესაც ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა და თანაც იარაღით ხელში. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, არ უყვარდეს ხელისუფალნი და გააკრიტიკოს კიდეც კანონით დაშვებულ ფარგლებში, მაგრამ თუკი ვინმე შეიარაღებულ დაუმორჩილებლობას აცხადებს, მაშინ იგი სახელმწიფოს უპირისპირდება.

უნდა ითქვას, რომ კვიციანის პრეტენზიის ზოგიერთი პუნქტი მართლაც ობიექტური იყო, მაგრამ მან გვერდით შეიარაღებული ხალხი დაიყენა, რის გამოც ხელისუფლებას სრული უფლება მისცა, დაუმორჩილებლობის აღსაკვეთად ასევე იარაღი გამოეყენებინა.

მართალია, კოდორის ხეობაში ჩატარებული ოპერაცია პოლიციურად მოინათლა, სინამდვილეში ის უფრო სამხედრო იყო, რაზეც კოდორის ხეობაში შვეულმფრენებითა და სატვირთო ავტომობილებით თავდაცვის სამინისტროს 2 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურის გადასროლა მეტყველებს. ამასვე ადასტურებს ხეობაში შეფრენილი არანაკლებ ოთხი დამრტყმელი შვეულმფრენი Ми-24, ორი Ми-8 და ამერიკული წარმოების „იროკეზები“.

მიუხედავად ოფიციალური წყაროების მტკიცებისა, რომ ეს შსს-ს შვეულმფრენები იყვნენ, სიმართლეს არ შეესაბამება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ შსს-ს შინაგანი ჯარების ცალკეული საშვეულმფრენო ესკადრილიის Ми-8 ტიპის შვეულმფრენები მეორე წელია თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაშია. ამასთან, შსს-ს არ ჰყავს ამერიკული „იროკეზები“ და მით უმეტეს, საბრძოლო Ми-24-ები. შსს-ს შემადგენლობაში მხოლოდ სასაზღვრო ჯარების სამიოდე შვეულმფრენია, რომლებსაც არც აქვთ უმართავი რაკეტების გასაშვები უნივერსალური ბლოკები და საავიაციო ქვემეხები. როგორც ირკვევა,





სწორედ შვეულმფრენიდან სროლის შედეგად დაიღუპა ხეობის მკვიდრი ქალბატონი...

გარდა ამისა, ხეობაში მყოფმა უცხოელმა და ქართველმა ჟურნალისტებმა არაერთხელ დააფიქსირეს ხეობისკენ მიმავალი სამხედრო „კამაზები“, რომლებსაც თავდაცვის სამინისტროს მწვანე ფერის სანომრე ნიშნები ჰქონდათ.

ფაქტია, რომ ხელისუფლებამ გადამეტებული სამხედრო ძალა გამოიყენა, თუმცა მთავარი ამოცანა — ამბოხებული კვიციანის დაპატიმრება ან ლიკვიდაცია — ვერ შეასრულა. ამან კი შემდგომი მოვლენები შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს, თუკი კვიციანი თავის რაზმთან ერთად პარტიზანულ ბრძოლას დაიწყებს ხეობაში დარჩენილი სახელისუფლებო ძალების წინააღმდეგ.

თუ ასე მოხდა, მაშინ კოდორის ხეობას საფრთხე დაემუქრება, რადგან სეპარატისტული სოხუმი შეეცდება კოდორის ხეობაში შესვლას, რაც დღემდე ვერ შეძლო.

ოფიციალური თბილისი აცხადებს, რომ ხეობიდან 30 მლნ დოლარის ღირებულების იარაღი ამოიღეს. ეს ციფრი გაკვირვებას იწვევს, რადგან უსაშველოდ გაბერილია. ისე კი, იარაღი ხეობას არც არასოდეს კლებია, ხოლო ბარამიძის თავდაცვის მინისტრობის დროს კოდორის ხეობაში დამატებით შეიზიდა იარაღის პარტიები.

მიუხედავად ყველა ნაკლოვანებისა, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი — სააკაშვილის ხელისუფლებამ მოახერხა კოდორის ხეობაში ოფიციალური თბილისის გავლენის აღდგენა, ისევე როგორც ორი წლის წინ ეს აჭარაში მოხდა...

ირაკლი ალადაშვილი

1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა იოსებ სტალინი. მართალია, ოფიციალურად მისი სიკვდილის მიზეზად ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობა დასახელდა, მაგრამ მაშინვე გაჩნდა ვერსია, რომ პროლეტარიატის ბელადი თანამებრძოლებმა მოწამლეს (ეს ვერსია დღესაც პოპულარულია). არც იმის დავიწყება შეიძლება, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა მის წინააღმდეგ დაგეგმილ ნამდვილ თუ ცრუშეთქმულებებს.
არცთუ ისე დიდი ხნის წინ უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა საიდუმლოობის გრიფი მოხსნა მასალებს, რომლებითაც ირკვევა, საიდან და ვისგან მომდინარეობდა საბჭოთა კავშირის პირველი პირის სიცოცხლის ხელყოფის მცდელობები.



# ნადირობა სტალინზე

## სეირნობა აკრძალულია

1931 წლის 18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკას პოლიტბიურომ მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც სტალინს კატეგორიულად აეკრძალა მოსკოვის ქუჩებში ფეხით სიარული. რამ გამოიწვია ეს გადაწყვეტილება?

რამდენიმე თვით ადრე სტალინს შინსახკომმა ამ უწყების მეორე პირის, აკულოვის ხელმოწერილი შეტყობინება გაუგზავნა, რომელშიც იტყობინებოდა, სარწმუნო წყარომ გვაცნობა, რომ მალე მოსკოვში უცხო ქვეყნიდან ჩამოვა ინგლისური დაზვერვისგან შეიარაღებული სტუმარი იოსებ სტალინის მოსაკლავადო. აკულოვი ბელადს ჰპირდებოდა, ტერორისტს ისე შევხვდებით, როგორც მას ეკადრებაო.

ლუბიანკაზე (ქუჩა, რომელზეც შინსახკომი მდებარეობდა) სტალინის მოსაკლავად გამოგზავნილ პირზე თითქმის ყველაფერი იცოდნენ, რადგან საფრანგეთში შექმნილ გენერალ ვრანგლერის რუსეთის საერთო-საჯარისო კავშირში (РОВС), რომელიც თეთრგვარდიელი ოფიცრებისგან შედგებოდა და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ტერაქტებს ამზადებდა, ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობაზე მუშაობდა გენერალ-მაიორი ნიკოლაი სკობლინი — კორნილოველთა დივიზიის ყოფილი მეთაური. ის რუსეთის სამხრეთში დაუნდობლად ებრძოდა წითელ ურდოებს სამოქალაქო ომის დასაწყისიდან მის დამთავრებამდე. ემიგრაციაში კი (საფრანგეთის საბჭოთა რეზიდენტურამ მოახერხა მისი გადაბირება, დაჰპირდნენ, რომ ყველაფერს აპატიებდნენ და სამშობლოში დაბრუნდებოდა) ОГПУ-ს აგენტი გახდა. სწორედ გენერალ-მაიორ სკობლინისგან მივიდა ინფორმაცია ლუბიანკაზე, რომ რუსი ემიგრანტი ოფიცერი გვარად ოგარიოვი, სამხედრო დავალების შესასრულებლად დანიშნულების ადგილიდან გავიდა.

1931 წლის 12 ნოემბერს ოგარიოვმა იმ ბინის ზღურბლს გადააბიჯა, სადაც მას თანამზრახველი და დამხმარე ელოდა. საზღვარგარეთიდან ჩამოსული ოფიცერი მასპინძელმა სიხარულით მიიღო. მასპინძელი, რა თქმა უნდა, ОГПУ-ს საიდუმლო ოპერატიული სამმართველოს თანამშრომელი იყო, რის გამოც ტერორისტი მაშინვე კონტრდაზვერვის მუდმივად სათვალთვალო ობიექტი გახდა. ჩამოსვლიდან ოთხი დღის შემდეგ სტუმარმა, რომელსაც ეჭვიც არ ჰქონდა, რომ ხაფანგში იყო მომწყვდეული, მასპინძელს სთხოვა ილინკაზე (ქუჩა, რომელზეც სტალინი ფეხით დადიოდა) სასეირნოდ გაყოლა. კონტრდაზვერვის თანამშრომელი სიამოვნებით დათანხმდა. 15 საათსა და 35 წუთზე ილინკაზე სასეირნოდ გამოსულებმა მათკენ მომავალი ულვაშიანი საშუალო სიმაღლის მამაკაცი შენიშნეს, რომელსაც კავკასიური ჩექმები და ჩვეულებრივი მაზარა ეცვა (სტალინის ორეული). როგორც კი ულვაშიანი მოსეირნეებს მიუახლოვდა, ოგარიოვმა პისტოლეტი იშიშვლა და გასროლა დააპირა, მაგრამ მისმა თანამგზავრმა ოსტატურად დაუკავა ხელი და კარგად გავარჯიშებული ილეთით პისტოლეტი გააგდებინა. არშემდგარი კილერი წამსვე დააპატიმრეს ოპერმუშაკებმა და ლუბიანკაზე მიიყვანეს, სადაც დაჰკითხეს და რამდენიმე დღის შემდეგ დახვრიტეს.

ამ ინციდენტის შემდეგ სტალინის პირადი დაცვის შემადგენლობა საგრძნობლად გაიზარდა.



## კამიკაძეები სოჭში და ნაღმი მავზოლეუმში

ჰასანის ტბასთან იაპონია-საბჭოთა კავშირს შორის 1938 წელს დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის დროს იაპონიის სპეცსამსახურმა დაამუშავა სტალინის მკვლელობის ოპერაცია და მისი ჩატარება სცადა. იაპონელებმა მანჯურიაში ჩარჩენილი თეთრგვარდიელი რუსი

ოფიცრებისგან მრავალრიცხოვანი სადივერსიო-ტერორისტული რაზმი შეაკოწიწეს. ჯგუფის წევრებს დავალებული ჰქონდათ თურქეთიდან სათითაოდ გადმოელახათ საზღვარი და ქალაქ სოჭში შეკრებილიყვნენ, თითქოს დასასვენებლად და როცა სტალინი შავიზღვისპირეთში ჩავიდოდა, ტერაქტი მოეწყოთ. იაპონელების აზრით, რუსი ოფიცრები მიწისქვეშა კომუნიკაციების საშუალებით მოახერხებდნენ მინერალურ წყალ „მაცესტას" პავილიონთან მიახლოებას და როცა იქ კრემლის ლიდერი გამოჩნდებოდა, დაცვიან-თანაშემწეებიანად ჩაცხრილავდნენ ავტომატური იარაღით.

როგორც შემდეგ იაპონელები ამტკიცებდნენ, თავდასხმის ეს გეგმა მათ შორეული აღმოსავლეთის შინსახკომის ყოფილმა უფროსმა ჰენრიხ ლუშკოვმა უკარნახა, რომელიც 1938 წლის ივნისში იაპონელების მხარეს გადავიდა. მოღალატე ლუშკოვს ადრე ცენტრალურ აპარატში, ლუბიანკაზე მოუწია მუშაობამ და კარგად იცოდა, როგორ უყვარდა სტალინს „მაცესტას" წყლებზე დასვენება, იცნობდა, აგრეთვე, დასვენებისას ბელადის დაცვის სისტემას. მოგვიანებით, 1945 წელს, იაპონურმა დაზვერვამ მოღალატე ლუშკოვი მოიცილა. მისი გვამი ქალაქ დალიანის მახლობლად, მდინარეში აღმოაჩინეს.

1938 წელს კი ლუშკოვის ინფორმაციასა და გეგმებს ერთობ მაღალი ფასი ჰქონდა. სწორედ მას მიანდეს იაპონელებმა ათასობით რუსი ოფიცრისგან რამდენიმე ათეული „კამიკაძეს" შერჩევა. თუმცა მანჯურიაში ჩანერგილმა შინსახკომის საგარეო დაზვერვის აგენტმა ლეომ (ჩვენი ცნობით მისი ნამდვილი სახელი და გვარი ჯერ კიდევ გასაიდუმლოებულია) ყველაფერი ჩაშალა. მან საბჭოთა რეზიდენტურას ტერაქტის გეგმისა და მისი შემსრულებლების შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა. მალე თურქეთის საზღვრებთან განლაგებულმა შინსახკომის მუშაკებმა ყველა იმ პირის დაჭერა და საფილტრაციო ბანაკებში გადაგზავნა დაიწყეს, ვინც კი მცირეოდენ ეჭვს იწვევდა.

დათქმულ ადგილამდე ჰენრიხ სამუილოვიჩ ლუშკოვის შერჩეულმა ვერც ერთმა ოფიცერმა ვერ მიაღწია, რამაც იაპონელებს მასზე ეჭვი აღუძრა.

აგენტმა ლეომ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადს კიდევ ერთი შეუფასებელი სამსახური გაუწია. მან საბჭოთა დაზვერვას მიაწოდა ცნობა, რომ იაპონური სპეცსამსახურები 1939 წლის 1-ელ მაისს დილის 10 საათზე, მაშინ როცა წითელი მოედანი დემონსტრანტების კოლონებით იქნებოდა სავსე, მავზოლეუმის თავზე მოწყობილი ტრიბუნა კი საბჭოთა მთავრობის წევრებით, აფეთქდებოდა ლენინის მუმიასთან მოთავსებული მძლავრი საათისმექანიზმიანი ნაღმი, რომელიც ცაში აიტანდა მკვდარ და ცოცხალ ბელადებს. ნაღმი მავზოლეუმის მოსყიდულ თანამშრომელს უნდა შეეტანა შენობაში. წარმატების შემთხვევაში ქვეყნის ხელმძღვანელობის ყველა პირველი პირი დაიღუპებოდა, უმეთაურო ქვეყანაში ქაოსი დაიწყებოდა და იაპონელებსაც მტერზე გამარჯვება გაუადვილდებოდათ. წინასწარ ინფორმირებულ ლავრენტი ბერიას უწყებას, რა თქმა უნდა, არ გასჭირვებია მოწინააღმდეგის გეგმების ჩაშლა.

იაპონელთა ტერაქტების გეგმათა რეალობას ადასტურებს სამურაების ქვეყანაში ფართოდ ცნობილი მკვლევარი ხიამა ესიაკი წიგნში „სტალინზე თავდასხმების იაპონური გეგმები".

## ტალახის გუნდა რიბენტროპისა და ჰიმლერისაგან

1944 წლის ზაფხულში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბენტროპმა ქვეყნის საგარეო დაზვერვის უფროსს სს-ის ბრიგადენფიურერ ვალტერ შელენბერგს თავისი იდეა გააცნო. ნაცისტური დიპლომატიის ხელმძღვანელმა შელენბერგს ურჩია, სტალინი სადმე საერთაშორისო კონფერენციაზე, ვთქვათ, სტოკჰოლმში მიეტყუებინათ და იქვე გაენადგურებინათ.

შელენბერგმა ჯერ იფიქრა, რიბენტროპი გადაიღალა და აუხდენელ ზღაპრულ ოცნებებს, როგორც ხავსს, ისე ეჭიდებაო. მით უმეტეს, რომ ერთი წლით ადრე ანალოგიური მცდელობა მარცხით დასრულდა. მესამე რაიხის მთავარი დივერსანტი არიელი კომანდოსების – „ვაფენ სს იაგდფერბანდის" შენაერთების მეთაურს, სს-ის ობერშტურმბანფიურერ ოტო სკორცენის ფიურერმა გზა დაულოცა ოპერაცია „გრძელი ნახტომის" ჩასატარებლად, რომელიც თეირანში ანტიჰიტლერული კოალიციის ლიდერების განადგურებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ყველაფერი პირიქით მოხდა – საბჭოთა და ინგლისელმა კონტრდაზვერვის მეომრებმა ერთიანად ამოულიტეს სკორცენის აგენტურა. თვით მეთაურმა კი ძლივს გამოასწრო ირანიდან.

მიუხედავად ამისა, როცა შელენბერგმა რიბენტროპის იდეის შესახებ თავის უშუალო უფროსს, ფაშისტების ობერჯალათს, სს-ის რაიხსფიურერ ჰიმლერს უამბო, მან მოიწონა სტალინზე მორიგი თავდასხმის იდეა და ბრძანება გასცა, იმპერიის უშიშროების მთავარი სამმართველოს საუკეთესო ძალების მობილიზაცია მოეხდინათ. მალე სდ-ს საიდუმლო ლაბორატორიიდან, სადაც ჯაშუშურ-სადივერსიო ტექნიკას აპროექტებდნენ და ამზადებდნენ, შელენბერგის განყოფილებას გადაეცა პორტატიული რადიომართვადი ნაღმი, რომელიც ტალახის გუნდად იყო შენიღბული. პორტსიგარში ჩამონტაჟებულ მოკლეტალღიან რადიოგადამცემს ნაღმის აფეთქება 11 კილომეტრის რადიუსში შეეძლო.

1944 წლის შემოდგომაზე გერმანელებმა საბჭოთა ზურგში პარაშუტით გადასხეს სდ-ს ორი აგენტი. თითოეულ მათგანს ნაღმის თითო კომპლექტი ჰქონდა. ერთ-ერთი ომამდე სტალინის გარაჟის მექანიკოსს იცნობდა. იგი მოსკოვში უნდა ჩასულიყო, აღედგინა მექანიკოსთან ნაცნობობა, რის შემდეგაც ნაღმი უმაღლესი მთავარსარდლის მანქანის ფსკერზე უნდა მიემაგრებინა, მაგრამ როგორც მოგვიანებით შელენბერგი იხსენებდა, პარაშუტისტების ფრონტის ხაზსიქით გადასმის შემდეგ სუპერაგენტების შესახებ მას არაფერი სმენია. სავარაუდოდ, ისინი საფრონტო კონტრდაზვერვა „სმერშის" („Смерть шпионам" – სიკვდილი ჯაშუშებს) მეომრებმა ჩაიგდეს ხელთ ან თავად ჩაბარდნენ.

## „პანცერკნაკე" და სასროლი ავტოკალამი

სდ-ს საიდუმლო ლაბორატორიის ინჟინრები შეუდარებელ ფანტაზიასა და კონსტრუქტორული ოსტატობის უდიდეს ხელოვნებას ფლობდნენ. ყოვლად უცნაურ და უნიკალურ მოწყობილობებს იგონებდნენ, რომელთა მეშვეობითაც სტალინის, რუზველტისა და ჩერჩილის სიცოცხლის მოსპობას ცდილობდნენ. მაგალითად, მათ დაამუშავეს და შექმნეს „პანცერკნაკე" (ჯავშანგამწეველი) მოკლელულიანი, შემსუბუქებული ფაუსტპატრონა (თანამედროვე ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარასატყორცნის РПГ-ს წინამორბედი), იმდენად კომპაქტური, რომ მისი მიმაგრება და დამალვა საგანგებო მანჟეტის საშუალებით ტანსაცმლის სახელოში შეიძლებოდა. ლულიდან გამოსროლილი 30-მილიმეტრიანი ყუმბარა კი 45 მილიმეტრის სისქის ჯავშანს 300 მეტრის მანძილიდან ხვრეტდა (გაწვავდა). ამასთან, ახალ იარაღს არა ერთის, არამედ ერთმანეთის მიყოლებით ცხრა ყუმბარის სროლა შეეძლო. სწორედ ამ იარაღით აპირებდნენ გერმანელები სტალინის ჯავშნიან ავტომობილზე თავდასხმას.

ეს თავდასხმის სათადარიგო ვარიანტად ითვლებოდა, ძირითად ვარიანტში კი მინიატიურული პისტოლეტის გამოყენებას გეგმავდნენ. პისტოლეტი საწერკალმად იყო შენიღბული და სკდომად, მოწამლულ ტყვიებს ისროდა. აგენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კამიკაძე“ ფრონტელი გმირის სახით უნდა შესულიყო კრემლში და ორდენებით დაჯილდოებისას (სტალინი ხშირად მონაწილეობდა დაჯილდოებაში) კალმისტრიდან გასროლით დაეხვრიტა ბელადი.

სდ-სა და აბვერის სპეციალისტები დიდხანს ეძებდნენ ამ ურთულესი დავალების შემსრულებელ კანდიდატს. ბოლოს მათი არჩევანი, ერთ-ერთი ვლასოველის რჩევით, სადაზვერვო სკოლის კურსანტ პეტრე ტავრინზე შეჩერდა, რომელიც გერმანელების მხარეზე 1942 წლის 30 მაისს გადავიდა.

მისი ნამდვილი გვარი შილო იყო. ტავრინი 1932 წელს გახდა, როცა სარატოვის საქალაქო საბჭოს ინსპექტორად მუშაობდა. ბანქოს თამაშისას დიდი თანხა წააგო და ანგარიში სახაზინო ფულით გაუსწორა მოგებულს. როცა დანაშაული გამოაშკარავდა, შილო დააპატიმრეს, მაგრამ საგამოძიებო იზოლატორის აბანოდან გაქცევა მოახერხა, შემდეგ კი ყალბი საბუთების მეშვეობით მოქალაქე ტავრინის გვარით პასპორტის მიღებაც მოახერხა. ამ გვარით მან ომის დაწყებამდე უმცროს მეთაურთა კურსები დაამთავრა, მაგრამ ფრონტის ხაზზე ასეულის მეთაურ ტავრინს კვალში კონტრდაზვერვა ჩაუდგა. 1942 წლის 29 მაისს, როგორც უშიშროების ფედერალური სამსახურის არქივში შემონახული მასალები მეტყველებს, იგი პოლკის საგანგებო განყოფილების რწმუნებულმა გამოიძახა სასაუბროდ და პირველივე კითხვით გააოგნა. ოპერრწმუნებულს აინტერესებდა: ხომ არ ატარებდა ოფიცერი ტავრინი ადრე შილოს გვარს. შილო ირწმუნებოდა, აკვნიდანვე ტავრინი ვარო და რწმუნებულს ემუდარებოდა, ვიღაცის პროვოკაციულ მონაჭორს არ აჰყოლოდა. ჩეკისტმა შილოს არგუმენტები არ დაიჯერა, დაჰპირდა, ადრე თუ გვიან ყველაფერს გავარკვევო და გაუშვა. იმავე ღამით უფროსი ლეიტენანტი ტავრინი, ფრონტის ხაზის გავლით, გერმანელების მხარეზე გადავიდა.



რამდენიმე თვის განმავლობაში სამხედრო ტყვეების ბანაკში იყო. გერმანელებს ტავრინი შინსახკომის აგენტი ეგონათ და ბანაკიდან ბანაკში დაუწყეს გადაყვანა გამოსააშკარავებლად. ერთხელ ის თვალში მოხვდა მოსკოვის ერთ-ერთი რაიონის ყოფილ რაიკომის მდივან გიორგი ჟილენკოვს, რომელიც ფაშისტების ტყვეობაში რუსეთის განმათავისუფლებელი არმიის (РОА) სარდლის გენერალ ვლასოვის უახლოესი ქვეშევრდომი იყო და საბჭოთა ტყვეების გადაბირება ევალებოდა. ჟილენკოვმა გერმანელები დაარწმუნა, დაეჯერებინათ ტავრინისთვის და აბვერის სადაზვერვო სკოლაში გაემწესებინათ. ყოფილი რაიკომის მდივანი შემდეგაც არ წყვეტდა კავშირს მასთან. როგორც გერმანელი მკვლევარები ამტკიცებენ, სწორედ ჟილენკოვმა წამოაყენა სტალინის სასროლი ავტოკალმით მოკვლის იდეა და შემსრულებლის კანდიდატიც მან შეურჩია აბვერის გენერალ ერვინ ლაჰუზენს.

აბვერის შეფმა ადმირალმა კანარისმა მოიწონა ჩანაფიქრი და ტავრინი ოპერაციის დეტალების დაწვრილებით დასამუშავებლად ქალაქ რიგაში გადაიყვანეს, სადაც საგანგებო სადივერსიო-სადაზვერვო ცენტრ „ცეპელინ-ნორდტის“ მეთაურ ოტო კრაუზის ხელში მოხვდა, რომელიც აგენტის უმნიშვნელოვანესი ოპერაციისთვის მომზადებას თითქმის ერთი წელიწადი პირადად ხელმძღვანელობდა. ტავრინის საბრალდებო მასალების მიხედვით თავდასხმის შემდეგი ვერსია ყალიბდება: ტერორისტს საფრონტო კონტრდაზვერვის „სმერშის“ მაღალი რანგის ოფიცრის სახით მოსკოვში უნდა შეეღწია, იქირავებდა ბინას კერძო სახლში, დაამყარებდა კავშირს ანტისაბჭოთა იატაკქვეშეთთან, ორგანიზაცია „რუსი ოფიცრების კავშირის“ წევრებთან, თავდაცვის სახალხო კომისარიატის კადრების სამმართველოში მომუშავე გენერალ ზაგლადინისა და თავდაცვის სახკომის სარეზერვო შტაბის მაიორ პალკინთან (სამხედრო მოსამსახურეთა გვარები ნამდვილია, ხოლო ორგანიზაციები, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ გამოგონილი.

**სტალინი მეგობრებსაც არასოდეს ინდობდა, მტრები კი „მეგობრებივით უყვარდა“...**

ბერიას უწყებამ ისინი გერმანულ დაზვერვასთან მოქნილი და მოხერხებული თამაშისთვის შექმნა). მოსკოველ „ამხანაგებთან“ ერთად ტავრინს კრემლში რომელიმე საზეიმო შეხვედრაზე შეღწევის საშუალება უნდა გამოეძებნა და როცა ამას მიაღწევდა, სტალინს მოწამლული ტყვიებით დაცხრილავდა. სტალინის სიკვდილი მოსკოვის მახლობლად დიდი დესანტის გადმოსხმის სიგნალი იქნებოდა, რომელიც დემორალიზებულ კრემლს ხელში ჩაიგდებდა და ხელისუფლებაში გენერალ ვლასოვის მეთაურობით „რუსულ მთავრობას“ მოიყვანდა. თუკი კრემლში შეღწევას ტავრინ-შილო ვერ მოახერხებდა, მას ოპერაციის მეორე ვარიანტისთვის უნდა მიემართა — სტალინის კორტეჟს გზაში უნდა ჩასაფრებოდა და „პანცერნაკეთი“ გაენადგურებინა. ძნელი სათქმელია, რამდენად სჯეროდათ ფაშისტ გენერლებს ამ ქიმერული მისიის შესრულება, მაგრამ 1944 წელს ჰიტლერის წინააღმდეგ განხორციელებულმა თითქმის წარმატებულმა ტერაქტმა, კანარისის, ლაჰუზენისა და აბვერის სხვა ხელმძღვანელების დაპატიმრებამ, ჰიმლერს, კალტენბრუნერსა და შელენბერგს ჟილენკოვის იდეა გაახსენა. ნაცისტური სპეცსამსახურების ისტორიაში არ მოიძებნება ოპერაცია, რომელიც ასე საფუძვლიანად მზადდებოდა. ყველა წვრილმანი გააზრებული და გათვლილი იყო.

## პალტო, რომელსაც ცალი სახელო ფართო ჰქონდა

1944 წლის 6 სექტემბრის ღამით სოფელ კარმანოვოსა და რჟევის გზების გადაკვეთაზე მდებარე პოსტი მილიციისფორმიანმა შინსახკომის ადგილობრივი რაიგანყოფილების უფროსმა, უფროსმა ლეიტენანტმა ვეტროვმა დაიკავა. დაახლოებით დილის 6 საათზე მან გზაზე მომავალი ეტლიანი მოტოციკლი გააჩერა შესამოწმებლად. მოტოციკლში ორნი ისხდნენ: მძღოლს ტყავის პალტო ეცვა, რომელზეც სახელმწიფო უშიშროების მაიორის სამხრეები ბრწყინავდა, მის გვერდით კი სანდომიანი ქალბატონი იჯდა. როცა მაიორი ჩეკისტს საბუთებს უწვდიდა, თითქოს შემთხვევით გაჰკრა ხელი გახსნილი პალტოს გულისპირს და მის მკერდზე ორდენებმა გაიბრწყინა (ორი წითელი დროშის ორდენი, ლენინის ორდენი, ალექსანდრე ნეველისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები), რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი აგვირგვინებდა. შინსახკომის რაიგანყოფილების უფროსი ჯილდოების დემონსტრირებას არ აუღელვებია და საბუთების შესწავლა განაგრძო. დოკუმენტების თანახმად ვეტროვის წინ 39-

არმიის კონტრდაზვერვა „სმერშის" განყოფილების უფროსის მოადგილე პეტრე ტავრინი იდგა. იგი მძიმე ჭრილობისგან გამოწვეული ავადმყოფობის გამო, სამედიცინო გამოკვლევის მიზნით, მოსკოვში იყო მივლინებული. პირადობის მოწმობაში იდო ერთ-ერთი ცენტრალური გაზეთის ამონაჭერი, რომელშიც ტავრინისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ იყო მოთხრობილი. არც მისი მეუღლის ლიდია ივანოვნა შილოვას საბუთები იწვევდა ეჭვს.

შეიძლებოდა მგზავრების ულაპარაკოდ გატარება, მაგრამ ვეტროვმა დამატებითი შეკითხვა დაუსვა მოტოციკლისტს. კითხვაზე, საიდან მოდიხართო, ტავრინმა ისეთი სოფელი დაასახელა, რომელიც იმ ადგილიდან 200 კილომეტრით იყო მოცილებული. მთელი ღამე მოტოციკლით შეუჩერებელი მგზავრობის შედეგად კარმანოვომდე მიღწევა კი შეიძლებოდა, მაგრამ მთელი ღამე გადაუღებლად წვიმდა. ვეტროვი თავიდან ფეხამდე სველი იყო, ამ სიშორიდან მომავალ მგზავრებს კი მშრალი ტანსაცმელი ეცვათ. ვეტროვმა არაფერი დაიტყო, ისე შესთავაზა მაიორს რაიონულ განყოფილებაში გაჰყოლოდა, რათა ოფიცრის პირადობის მოწმობაში საფრონტო ზონიდან გასვლის აღნიშვნა გაეკეთებინათ. ფორმალობა კი არის, მაგრამ სჯობია, კანონს დავემორჩილოთო, აუხსნა ვეტროვმა მგზავრებს. იგი დამაჯერებლად და მშვიდად ლაპარაკობდა, თუმცა მისი ხელის ერთი აქნევის შემდეგ ბუჩქებიდან ატალახებულ გზაზე მეავტომატეთა ოცეული გამოვიდა და სამივე ალყაში მოაქცია.

მაიორმა ტავრინმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ორი სოფლის გზაგასაყარზე მისი შეჩერება სულაც არ იყო შემთხვევითი: ღამის სტუმრებს არა მარტო აქ, არამედ სმოლენსკის გზატკეცილზე გამავალ ყველა გზაზე და ბილიკზე ელოდნენ. საქმე ის იყო, რომ ცოტა ხნით ადრე საჰაერო სივრცის სათვალთვალო პოსტებიდან გადაიცა ინფორმაცია, რომ აღმოაჩინეს მტრის თვითმფრინავი, რომელსაც გეზი მოჟაისკისკენ ჰქონდა. ღამის სამი საათისთვის კი ახალი შეტყობინება გადაიცა, რომ თვითმფრინავი კუბინკის თავზე, დედაქალაქის სიახლოვეს შენიშნეს. მეზენიტეებმა ცეცხლი გახსნეს და გერმანელ მფრინავს უკან გაბრუნება აიძულეს, რის შემდეგ თვითმფრინავი დაზიანდა და კარმანოვოს რაიონში სოფელ იაკოვლევოსთან დაჯდა.

მოსახლეობამ შინსახკომის თანამშრომლებს აცნობა, რომ დაინახეს „იუნკერსიდან" გამოსული ეტლიანი მოტოციკლი. ამის შემდეგ მილიციისა და შინსახკომის მთელი ძალები მოტოციკლის დასაკავებლად იქნა მობილიზებული.

სანამ ცოლ-ქმარ ტავრინებს საბუთებში შტამპებს უსვამდნენ, ვეტროვმა მოტოციკლი და მასში მოთავსებული სამი ჩემოდანი გაჩხრიკა და აღმოაჩინა „პანცერკნაკე" მთელი აღჭურვილობით, დისტანციური მართვის მაგნიტური ნაღმი, 7 პისტოლეტი და 5 ხელყუმბარა.

როდესაც დაკავებულების შესახებ მოსკოვს მოახსენეს, „სმერშის" მთავარმა სამმართველომ ცოლ-ქმრის დედაქალაქში გადასაყვანად საგანგებო თვითმფრინავი გააგზავნა. გაირკვა, რომ ლუბიანკაზე დაუპატიჟებელ სტუმრებს ელოდნენ, ისიც იცოდნენ, რომ ერთ-ერთი მათგანი ჩეკისტად იქნებოდა გადაცმული.

რიგელი იატაკქვეშელებისგან საბჭოთა დაზვერვისთვის ცნობილი გახდა, რომ ლატვიის დედაქალაქის ერთ-ერთ სამკერვალო ატელიეში უცნაური შეკვეთა გაკეთდა: რესპექტაბელურმა ბატონმა, რომელიც რუსულად და ლატვიურად კარგად ლაპარაკობდა, თერძს გულუხვი გასამრჯელო გადაუხადა ტყავის პალტოს (ზუსტად ასეთი პალტოები ეცვათ საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვის თანამშრომლებს) შეკერვისთვის. ინფორმატორი აგრეთვე იტყობინებოდა, რომ პალტო აშკარად სხვისთვის იყო განკუთვნილი, რადგან დამკვეთის ზომას არ ემთხვეოდა. ყველაზე უცნაური კი ის გახლდათ, რომ დამკვეთმა ოსტატს პალტოს მარჯვენა სახელო გაცილებით ფართო შეუკვეთა, ვიდრე მარცხენა. იატაკქვეშა ინფორმატორებმა მალე ისიც დაადგინეს, რომ შემკვეთი გერმანიის დაზვერვის თანამშრომელი იყო (იგი ხშირად ხვდებოდა სს-ის ჰაუპტშტურმფიურერ კრაუსს), ხოლო ფართო სახელო „პანცერკნაკეს" შესანიღბავად იყო საჭირო.

დივერსანტები უხმაუროდ აიყვანეს. ამის შესახებ ლუბიანკაზე მხოლოდ მცირე წრემ იცოდა. მალე რიგიდან ინფორმაცია მოვიდა — „კრაუსი დაწინაურებას ელოდება", იტყობინებოდა აგენტი. ე. ი. მან არაფერი იცოდა მისი მომზადებული ჯგუფის ჩავარდნის შესახებ. ეს გაითვალისწინეს ჩეკისტებმა და ლავრენტი ბერიას მოადგილის გენერალ-პოლკოვნიკ ვიქტორ აბაკუმოვის ბრძანებით დაიწყეს რადიოთამაში, რომელსაც პირობითად „ტუმანი" ეწოდა. კონტრდაზვერვის თანამშრომლების მეთვალყურეობით ლიდია შილოვა (ტავრინის მეუღლე) ეთერში გადიოდა და გერმანული დაზვერვის რადიოცენტრს დამაიმედებელ ინფორმაციას გადასცემდა. მაგალითად: „გავიცანით ექიმი ქალი, რომელსაც ნაცნობები ჰყავს კრემლის საავადმყოფოში. ვცდილობ მის გადმობირებას". ასევე „მუხლჩაუხრელად



ვალტერ შელენბერგი

შრომობდა" მესამე რაიხის გადასარჩენად მისი მეუღლეც. „მოსკოვში ჩანერგილი" კრაუსის აგენტების რადიოგრამების შესახებ ჰიმლერსაც ატყობინებდნენ. ასე რომ, რაიხსფიურერს საშუალება ჰქონდა ადოლფ ჰიტლერი ზღაპრული ამბებით გაეხარებინა.

შილოვას გაგზავნილი უკანასკნელი შიფროგრამა 1945 წლის 9 აპრილით თარიღდება, რომელზეც აღარავის უპასუხია, ომის დამთავრებამდე თვეზე ნაკლები რჩებოდა. ამ ჯაშუშური „სიუიტის" უკანასკნელი აკორდი შილოვასა და ტავრინის მოსკოვურ კონსპირაციულ სახლში გერმანული დაზვერვის ნარჩენების მიტყუება იყო, მაგრამ მათთან არავინ მისულა.

1952 წლის 1-ელ თებერვალს საბჭოთა კავშირის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ დახურულ სხდომაზე განიხილა პეტრე ივანოვიჩ შილოსა და მისი მეუღლის ლიდია იაკოვლევნა ბობრიკის სამშობლოს ღალატში ბრალდების საქმე. ქმარი 1952 წლის 28 მარტს დახვრიტეს, ცოლი კი — ოთხი დღის შემდეგ.



რიბენტროპი ნიურნბერგის პროცესზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსტოვრობის ისტორია საქართველოში

**XXI საუკუნე თანდათან ძლიერდება და მკვიდრდება. კაცობრიობა უსწრაფესი ტემპით ცხოვრობს და მუშაობს. ადამიანები ლამის მანქანა-შემსრულებლებად იქცნენ. ახლა მეტწილად ცინიკოსები და ტექნოკრატები იმარჯვებენ, რადგან უფრო პრაგმატულად უდგებიან პატრიოტიზმის ცნებას. სამწუხაროდ, პირადი კეთილდღეობისკენ მისწრაფება ქვეყნისთვის თავდადებას ჩრდილავს. საქართველოში 1991 წლიდან დღემდე ქვეყნის ღალატი და სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა ლამის ბიზნესად იქცა – თუ კარგი და სარფიანი წინადადებაა, ზოგიერთი ყველაფერზე თანახმა იყო და არის.**

დავით აღმაშენებლის მემატიანის ათასი წლის წინ ნათქვამი სიტყვები დღესაც საჭირბოროტოა: „ნათესავი ქართველთა... რაჟამს განდიდნენ, განსუქდენ და დიდება პოონ და განსვენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა...“

საქართველო ოდითგან იყო მზვერავ-ჯაშუშების გამოწვლილვით შესწავლის ობიექტი და სამიზნე. ამიტომ აშკარად თუ ფარულად:

– სწავლობდნენ ქართველი ხალხის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ღდათ-ჩვევებს (თემურლენგმა და შაჰ-აბასმა რომ შეიტყვეს, დაუმორჩილებელი ქართველები ღვინისა და ხილის გარეშე პურს არ ტეხენო, მსწრაფლ ვენახებისა და ხეხილის გაკაფვა-განადგურება უბრძანეს ჯარს. ამ გზით ქართველების ბრძოლისუნარიანობის დასუსტების იმედი ჰქონდათ მტარვალებს);

– იკვლევდნენ საქართველოს ეკონომიკურ პოტენციალსა (შაჰ-აბასმა კახეთში თუთის ხეები გააკაფვინა – აბრეშუმს ვეღარ მოიყვანენ და სპარსეთის მეაბრეშუმეობას მძლავრი მეტოქე მოაკლდებაო) და წიაღისეულ სიმდიდრეებს (1800 წელს რუსეთის იმპერიის ჯაშუშმა და იმავდროულად ქიმიკოს-მინერალოგმა აპოლონ მუსინ-პუშკინმა საქართველოს წიაღისეულის შესწავლის შემდეგ იმპერატორ პავლე I-ს „ნაყოფიერი და ყველაფრით მდიდარი“ ქვეყნის შეძენა-შემოერთება ურჩია და თან შეახსენა, ახლა ეს ფრიად ადვილი და იაფიაო);

– ადგენდნენ საქართველოს გზებისა და უღელტეხილების დაწვრილებით რუკებს (ვახუშტი ბატონიშვილმა XVIII საუკუნის შუახანებში რუსეთის ხელისუფლების დაფინანსებით საქართველოსა და კავკასიის ზუსტი რუკები შექმნა, რამაც შემდგომში მეტად გაუადვილა რუსეთის იმპერიას ამ რეგიონის დაპყრობის მზაკვრული გეგმის შესრულება);

– შეფარვით ზვერავდნენ სამხედრო ფორტიფიკაციებს – ციხე-ქალაქებს, ციხე-დარბაზებს, ციხესიმაგრეებს, ციხე-გალავნებსა და კოშკებს, მათთან იოლად მისასვლელ ბილიკებსა და გვირაბებს (XV-XVIII საუკუნეებში რუსეთის ელჩ-რეზიდენტები დაწვრილებით აღწერდნენ საქართველოს ფორტიფიკაციებსა და მათ ზუსტ ნახაზებს ადგენდნენ).

ყოველივე ამის შესასწავლ-დასაზვერად სპეციალური დავალებით აგზავნიდნენ ვაჭრებს, ექიმებს, მოგზაურებს, მისიონერებსა და ელჩ-დიპლომატებს.

ქართველი მეფეებიც ცდილობდნენ მსტოვრების გამოყენებას საგარეო და საშინაო პრობლემების მოგვარებისას. თავადაც სურდათ სხვა ქვეყნების იდუმალი გეგმების შეტყობა. სამწუხაროდ, მიზეზთა გამო სურვილი, შესაძლებლობები და შედეგები ყოველთვის არ ემთხვეოდა ერთმანეთს.

დღეს ყველაფერ ამას სახელად პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაზვერვას უწოდებენ. მათი ტყუპისცალია სამხედრო დაზვერვა, რომელიც ომისწინა პერიოდისა და თვით ბრძოლების განუყოფელი ატრიბუტია.

საქართველოს მეფეები ხშირად გამხდარან მოწინააღმდეგის სტრატეგიული და ოპერატიული სამხედრო დაზვერვის მსხვერპლნი, თავადაც ბევრი ბრძოლა მოუგიათ მამაცი და თავდადებული მსტოვრების დროულად მოპოვებული ცნობების წყალობით (თუნდაც დავით აღმაშენებლის ბასიანთან მოგებული ბრძოლა გავიხსენოთ, როცა ქართველთ ლაშქარი მსტოვრების წყალობით „უგრძნეულად“ დაესხა თავს თურქთ და „მოსრა ყოველი“).

საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებებს უცხო ქვეყნის ჯაშუშები მარტო ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე როდი აწარმოებდნენ. კონსტანტინოპოლი, თეირანი, მოსკოვი, პეტერბურგი, ასტრახანი – სხვადასხვა დროს ანტიქართული სადაზვერვო საქმიანობის ცენტრები იყო. რუსეთში საქართველოს ელჩის გარსევან ჭავჭავაძის მიმოწერა ერეკლე II-



სთან ადრესატზე ადრე რუსეთის დაზვერვისთვის ხდებოდა ცნობილი. საქართველოსა და ქართველების წინააღმდეგ ჯაშუშ-აეშაგების ბოროტი ზრახვანი და ქმედებანი 1801 წლიდან უფრო მოძლიერდა და პიკს თითქმის ორასი წლის შემდეგ, 1991 წელს მიაღწია. უცხო ჯაშუშ-აეშაგთა „ხლართვანი“, რა თქმა უნდა, დღესაც გრძელდება. ამიტომ ქვეყნის ისტორიის ცოდნა ნამდვილად წაადგება ჩვენი სპეცსამსახურების ახალგაზრდა თაობას.

## უწინარეს კი...

„მსტოვარი – ესე არს აეშაგი მომხილველი ქვეყანასა, გინა მტერთა ლაშქართა და ეგევითარცა უცნაურად. აეშაგი ესე არს, რა კაცი ვინმე გაგზავნო ქვეყანათა გასასინჯველად, ანუ მტერთა ლაშქართა და ეგევითარცა უცნაურად“; სულხან-საბა ორბელიანი, „ლექსიკონი ქართული“, ტ.1. გვ. 522;

„მზირი – ყაზახი, გინა მსტოვარი; გინა ჯაშუში“, იქვე, გვ.473;

„ჯაშუში სხვათა ენაა, ქართულად მსტოვარი და აეშაგი ჰქვიან“, იგივე, ტ. 2, გვ.452.

კოლხეთის მეფე აიეტი, ვახტანგ გორ-

გახალი, გიორგი I, დავით აღმაშენებელი, გიორგი III, თამარ მეფე, ვახტანგ VI, თეიმურაზ II, ერეკლე II და ბოლოს, საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XIII — ყველანი უცხო თუ შინაური მსტოვარ-ჯაშუშებით იყვნენ გარშემორტყმულნი. თავადაც მიუჩენდნენ ხოლმე მსტოვრებს ურჩ დიდგვაროვნებსა და თავადებს. ქვეყნის საჭიროებისა გამო ფარული დავალებებით თვითონაც მიავლენდნენ საბერძნეთს, რომს, სპარსეთს, ბიზანტიას, თურქეთსა და რუსეთს ერთგულ მზვერავებს. ასე რომ, საქართველოში უძველესი დროიდანვე საშინაო და საგარეო პოლიტიკურ დაზვერვას შეძლებისდაგვარი ყურადღება ექცეოდა. ომსა და ბრძოლას დაზვერვა რომ იგებს, ესეც კარგად სცოდნიათ ჩვენს დიდ წინაპრებს. ამიტომ სამხედრო დაზვერვაც მეტ-ნაკლები წარმატებით ვითარდებოდა.

ყველაფერი ეს ისტორიაა; ჩვენი ისტორია. ჟამთა სიავის გამო ჯერ კიდევ ბოლომდე ამოუცნობი და შეუსწავლელი. კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „წარსულის ასახვაში დიდი ზომიერებაა საჭირო. ყოველ ერს უთუოდ ვნებს როგორც გულის აყრა და ნიჰილიზმი წარსულის მიმართ, აგრეთვე... ბუმბერაზობის მანია“.

საქართველოს ისტორიის შესახებ შემორჩენილი დოკუმენტური წყაროების სიმცირე და მათი გადმოცემის ლაკონიური წესი უზომოდ ართულებს მსტოვრობის საკმაოდ სპეციფიკური თემის კვლევას. ამიტომ ჩვენი მიზანია მხოლოდ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით და მაქსიმალურად ობიექტურად მოგითხროთ საქართველოში მსტოვრობის განვითარების შესახებ უძველესი დროიდან დღემდე.

დიდი ივანე ჯავახიშვილი ცამდე მართალი იყო, როცა წერდა:

„ადვილად წასაკითხი და ლამაზი დაუსაბუთებელი თეორიებისა და დებულების წამოყენებას, ვფიქრობ, ყოველმხრივ დასაბუთებული ისტორიის წერა სჯობია“.

დოკუმენტური ცნობების სიმწირის გამო ხშირად მემატიანეთა მწირ ცნობათა მიღმა უნდა დავინახოთ მსტოვარ-აეშაგთა და ჯაშუშთა სახეები და საქმეები, მათი „მეეშავმწვრთნელების“ მიზნები.

საქართველოში მსტოვრობის შესახებ ისტორიულ ნარკვევებს დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდიდან ვიწყებთ (ეს არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ დავტოვებთ XI საუკუნემდე პერიოდს, მასაც მივუბრუნდებით), რადგან ეროვნული სიძლიერის სხვა მახასიათებლებთან ერთად მზვერავ-მსტოვრობის საქმის მეტ-ნაკლებად განვითარებაც მაშინ დაიწყო.

დავით მეფის პერიოდის შესახებ მწირი ისტორიული წყაროები შემორჩა, რადგან არაბების, სპარსელებისა თუ თურქების მრავალგზის შემოსევებისა და ბატონობის დროს საქართველოს სახელმწიფო არქივი და სიგელ-გუჯრები განადგურდა.

დავით IV-ის მეფობის ამსახველი ერთადერთი სანდო ქართული წყარო უცნობი მემატიანის „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისა“ არის. საქართველოს ისტორიის კორიფეებს: ივანე ჯავახიშვილს, ნიკო ბერძენიშვილს, სიმონ ჯანაშიას და სხვათა და სხვათა გამოწვლილვით შეუსწავლიათ ეს დოკუმენტი, კომენტარები დაურთავთ და განხილვათა ტომები მიუძღვნიათ ამ მცირე ზომის ხელნაწერისთვის. თითოეულ სტრიქონს სასოებით ჩაჰკირკიტებდნენ იმდენად უნიკალური და ყოვლისმომცველი იყო გრაგნილი. დავით მეფის ეპოქაში მსტოვარ-ჯაშუშთა საქმიანობის შესახებ ჩვენს კვლევასაც ძირითადად ეს დოკუმენტი და ქართველ ისტორიკოსთა შრომები დაედება საფუძვლად, რათა მარცვალ-მარცვალ ამოვკრიფოთ მემატიანის ძუნწ სტრიქონებს შორის ალაგ-ალაგ მიმობნეული მსტოვართა საქმენი.

ამასთან, არც კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან სანიკიძისა და სხვა ქართველ და უცხოელ შემოქმედთა მხატვრულ ნაწარმოებებს დავტოვებთ უყურადღებოდ.

## საქართველოს მდგომარეობა დავით IV-ის გამეფების წინ

1089 წელი იდგა, როცა მეფე გიორგი II-მ გვირგვინი დაადგა ჭაბუკ დავითს. ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა გიორგი მეფის ამ ნაბიჯს ერთადერთ გონივრულ გადაწყვეტილებად მიიჩნევს მისი მეფობის მანძილზე. ძალზე მწვავე შეფასებაა, განკითხვის ტოლფასი. მართლაც, გიორგის მეფობის 17 წელმა ისე ჩაიქროლა ბრძოლა-ნადიმობა-ნადირობებში, რომ ამ პერიოდის მკვლევარებს ხელთ მხოლოდ ქვეყნის მძიმე მდგომარეობის ამსახველი ისტორიული დოკუმენტებიღა შერჩათ, ხოლო მეფის ხშირად მართლაც გასაოცარ-გასაკვირი გადაწყვეტილებების დედააზრის ამხსნელ უტყუარ ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია...

ქვეყანა მართლაც მძიმე დღეში ჩაიბარა საქართველოს ჭაბუკმა მეფემ. თურქები დაუსჯელად დათარეშობდნენ საქართველოში, ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ ყველაფერს. შემოდგომის მიწურულს დედაბუდიანად აყრილები საქართველოს შუაგულს მოაწყდებოდნენ და გაჩიანის, ავჭალისა და დიღმის ბარაქიან ჭალებში დაბანაკდებოდნენ გამოსაზამთრებლად. „დიდი თურქობის“ შედეგად მემატიანის სიტყვებით: „და არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და მკა: მოოხრდა ქვეყანა და ტყედ გარდაიქცა და ნაცვლად კაცთა მხეცნი და ნადირნი ველისანი დაემკვიდრნეს მასა შინა“. გაიძარცვა და გაპარტახდა ეკლესია-მონასტრები, თურქები არ ინდობდნენ არც მოხუცს, არც ქალს, არც ბავშვს.

დიდგვაროვანი ფეოდალები გიორგი მეფეს არად აგდებდნენ და თავიანთ მამულებში თავად ნებობდნენ მეფობას. ერთი წლის განმავლობაში სამჯერ უღალატა ივანე ლიპარიტის ძე ბაღუაშმა, კლდეკარის პატრონმა. სამჯერვე აპატია მიმნდობმა გიორგიმ. მეტიც, ბრძოლაში დამარცხებულ მოღალატე ფეოდალებს კი არ სჯიდა, უხვად აჯილდოებდა. აღსართან კახთა მეფემ სამეფოს შენარჩუნების იმედით ქრისტიანობა უარყო, მუსლიმანობა მიიღო, ეახლა სულთან მელიქ-შაჰს და ასე დაიტოვა „ტახტი“. ამის შემყურე არაგვის ერისთავი ძაგან აბულეთის ძეც განუდგა გიორგი მეფეს და აღსართანს მიეკედლა. შინააშლილობა აძაბუნებდა სახელმწიფოს. გიორგი II-მ ვერ შეძლო ერთიანი სახელისუფლებო სტრუქტურების, ერთიანი ჯარისა და მსტოვარ-მზვერავების ერთგული გუნდის შექმნა. დიდგვაროვნებს თავიანთი ყმები გამოჰყავდათ საბრძოლველად და მხოლოდ მათზე იყო დამოკიდებული, საით მიმართავდნენ საკუთარ ლაშქარს. თუ დიდგვაროვანი განდგომილი იყო, მეფეს კი არ მიახმარდა ჯარს — პირიქით, მის წინააღმდეგ იბრძოდა. ამიტომ იყო, რომ სამმხრივ გლეჯდნენ საქართველოს თავგასული ფეოდალები. კახეთ-ჰერეთიდან აღსართან მეფე იბღვირებოდა, თრიალეთი ხომ ოდითგან კრაზანების ბუდე იყო — ივანე და ლიპარიტ ბაღუაშ ორბელიანებს და მათ საგვარეულოს ღალატი და განდგომა სისხლით მოსდგამდათ. თუ ქართველები არ ინდობდნენ საქართველოს, თბილისის ამირასთვის რაღა უნდა მოგვეთხოვა? მაჰმადიანობის ბუდედ და თურქ-სელჯუკ ჯაშუშთა თავშესაფრად ქცეულიყო მაშინ თბილისი.

საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც არ იყო ყველაფერი რიგზე. დავითის გამეფების პერიოდში ეკლესიის მესვეურნი დიდგვაროვან აზნაურთა წრიდან იყვნენ და ივანე ჯავახიშვილის თქმით, „ამიტომაც ზოგიერთი მათგანნი მეფე-აზნაურთა შორის ამტყდარი უთანხმოების დროს საიდუმლოდ თუ დაუფარავად, სწორედ ამ ურჩ და მოღალატე დიდგვარიან აზნაურ ხელისუფლებას უჭერდნენ მხარს“.

მტრის ჯაშუშები დაუსჯელად მოქმედებდნენ. იმრავლა ღალატმა ქართველთა შორისაც. ისტორიული ფაქტები მეტყველებს, რომ გიორგის მეფობის პერიოდში მისი მზვერავ-მსტოვრების სიძაბუნე უსაზღვრო იყო.

გარდა იმისა, რომ მეფის მსტოვრები დიდგვაროვანი ფეოდალების ზრახვებს ვერ იტყობდნენ დროულად, მტრის ლაშქრის შემოტევაც ეპარებოდათ. ერთი ისტორიული ფაქტი გავიხსენოთ.

გიორგი სამი-ოთხი წლის გამეფებული იყო, ყველისციხეს იდგა, როცა აჰმად ამირას მეთაურობით თურქთა ლაშქარი, მოღალატე ქართველების მიერ გზანასწავლი, „უგრძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეულად“ დაესხა თავს. მანამდე თურქებმა ქალაქი კარი აიღეს და მერე შეუტიეს ყველისციხეს. მეფისა და მისი მსტოვრებისთვის ეს გაათკეცებული ყურადღებისა და საბრძოლო მზადყოფნის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ პირიქით კი მოხდა: „აოტეს გიორგი მეფე და სპა მისი“. მტერს დიდძალი ქონება ჩაუვარდა ხელთ, თავად მეფემ კი აფხაზეთს შეაფარა თავი.

სად იყვნენ მეფის მსტოვრები? სად იყო საზღვრისპირა რაიონების დაცვა? სად იყვნენ ციხის მზირები?

გიორგი მეფის ლაშქარშიც ამ დროს ძალზე დაბალი სამხედრო დისციპლინა ყოფილა. მემატიანე მოგვითხრობს, რომ გიორგის ლაშქარში: „საეშმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი და გინება ღმრთისა“ და სხვა მრავალი „უწესოება“ ყოფილა გავრცელებული.

თითქოს ეს უბედურება არ კმაროდა, 1088-89 წლებში საშინელმა მიწისძვრებმა დაანგრია და მოსრა ქვეყანა. მემატიანის სიტყვებით: „რამეთუ მეფე იქმნა დავით, მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“.

ამ პერიოდსა და პირობებში გამეფდა დავითი. ის თავად ხედავდა მამამისის მეფობის სუსტ მხარეებს, მათ შორის უმთავრესი სანდო და ბრძოლაში ნაწრთობი დიდგვაროვნებისა და აზნაურების ნაკლებობა, ერთიანი ჯარის უქონლობა და მსტოვრების სისუსტე იყო.

## მსტოვრობის საქმე დავით აღმაშენებლის მეფობის პირველ პერიოდში

დასაწყისი ყველა საქმეში რთულია, მით უფრო 16 წლის ყმაწვილის მეფობა მტრებით გარემოცულ საქართველოში. პრობლემები მძიმე ტვირთად დააწვა ჭაბუკ მეფეს. რამდენიმე მიმართულებით უხდებოდა ერთდროულად ბრძოლა. ამ ყველაფერს ისიც ართულებდა, რომ დავითს ჯერ არ ჰყავდა სანდო და დროული ინფორმაციის შემკრებ-მიმწოდებლები. ინფორმაცია კი ყველაზე მთავარი და ძვირფასი მონაპოვარია.

ამიტომ დავით IV-ს ჯერ მსტოვარ-მზვერავთა ერთგული გუნდი უნდა შეეკრა და მერე შესდგომოდა თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ ბრძოლას, დიდგვაროვანი ფეოდალების მორჯულებას, საეკლესიო რეფორმების ჩატარებას, სახელმწიფოს მართვის სტრუქტურის სრულყოფასა და ერთიანი ჯარის შექმნას.

სავარაუდოა, რომ თავდაპირველად მეფის მზვერავთა გუნდი მისი ერთგული ქვეშევრდომების, ახალგაზრდა თაობისგან შედგა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ დავითის მეფობის პირველ ათწლეულში მზვერავთა გუნდს წარმატებებთან ერთად ხელიც ბევრჯერ მოეცარა, რაც გამოუცდელობას უნდა მივაწეროთ. შემდგომ განვითარებულმა ისტორიულმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ მსტოვართა ინსტიტუტის გაძლიერება და განვითარება დავით მეფის დიდი ჩანაფიქრი და მისი რეფორმების ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდა. ამაზე დავითის მემატიანე პირდაპირ არსად მიუთითებს, თუმცა იმდროინდელ მოვლენებში თვალნათლივ ჩანს ძალზე სერიოზული სახელმწიფო მიდგომა ამ საქმისადმი. საინტერესოა, რომ XX საუკუნეში მსტოვართა ინსტიტუტის ანალიზისას განსაკუთრებით ფრთხილობდნენ დიდი ქართველი ისტორიკოსები და მწერლები. გასაკვირი არც არის, რადგან საბჭოთა იმპერიის პირობებში მსტოვარ-ჯაშუშების თემა ტაბუდადებული იყო. კომუნისტურ დიქტატურას არასასურველი პარალელების ეშინოდა.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გიორგი II სერიოზულად არ ეკიდებოდა მსტოვართა ძალას, დავით IV-ს ეს საქმე თავიდან უნდა დაეწყო და მისი მეფობის პირველი ათწლეულის მთავარი დევიზი „ყველგან მსტოვრები“ უნდა გამხდარიყო. პირველი წარმატება კლდეკარის ერისთავ ლიპარიტის გარემოცვაში მსტოვარ-მზირთა შეგზავნა იყო.

პირველი ნაბიჯი ერთიანი ცენტრალური მმართველობის დამყარების მცდელობა იყო. ამ საქმეში კი დიდგვაროვანი ფეოდალების, უპირველესად ყველაზე ძლიერი და მზაკვარი ლიპარიტ IV კლდეკარის ბაღუაშთა დინასტიის მეთაურის შეუპოვარი წინააღმდეგობა იყო მოსალოდნელი. დავითის გამეფების პირველ ორ წელიწადს კლდეკარის ერისთავი მოჩვენებით ერთგულებას იჩენდა, მაგრამ დავითმა კარგად იცოდა ამ ფეოდალთა საგვარეულოს მოღალატური ბუნება. დავითის ისტორიკოსი ამბობს: „ლიპარიტ ამირამ იწყო მათვე მამა-პაპეულთა კუალთა სლვა“ და როცა ეს დავითმა შეიტყო „ინება გაწურთნა მისი“ — შეიპყრო და ციხეში-დილეგში ჩასვა. მემატიანე არ აზუსტებს, როგორ შეიტყო დავითმა ლიპარიტის მზაკვრული გეგმები, მაგრამ შექმნილი სიტუაციისა და შედეგის ლოგიკური ანალიზი გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ იმ დროს დავითს ლიპარიტის გარემოცვაში უკვე მრავლად ჰყავდა გადაბირებული და ჩანერგილი მსტოვრები. ისინი გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ჭირვეული დიდგვაროვნის თითოეულ ნაბიჯს, მიმოწერასა და შეხვედრებს სხვა ქართველ ფეოდალებთან, თურქმენ ამირებთან, ზვერავდნენ მათ ერთობლივ საწვრთნელ და სალაშქრო სამზადისს და ეს ცნობები დავითის ერთგულ ხელქვეითებთან მიჰქონდათ.

დიდგვაროვანთა შეთქმულების მზადების შესახებ მეფისთვის ცნობილი ხდებოდა მის საწყის ეტაპზევე, ამიტომ უფრო მძიმე შედეგები დროულად აღიკვეთებოდა.

დავით მეფემ ლიპარიტს პირველად აპატია და არც თანამდებობა ჩამოართვა, მაგრამ მეორე წელს კვლავ ორგულობა რომ შეამჩნია, ჯერ ორი წელი დილეგში ამყოფა, შემდეგ კი ექსორიაყო, ანუ საქართველოდან გააძევა და საბერძნეთში გაასახლა.

1092 წელს მალიქ-შაჰის გარდაცვალებისა და მისი პირველი ვეზირის ნიზამ ალ-მულქის მკვლელობის შემდეგ თურქ-სელჯუკთა სახელმწიფოში დიდი და სისხლისმღვრელი შინაპოლიტიკური დაპირისპირება იყო. გარდა ამისა, დაიწყო ჯვაროსნული ლაშქრობა (1096წ.), ჯვაროსნებმა იერუსალიმი აიღეს (1097წ.). დავით IV-მ სწორად აუღო ალღო სიტუაციას და 1097 წლიდან სულთანს ხარკის მიცემა შეუწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე დავითი, ბუნებრივია, უცხოეთში მყოფი ერთგული მსტოვრების ცნობებს ეყრდნობოდა. საერთაშორისო სიტუაციის რადიკალურმა ცვლილებებმა კარგი ამინდი შექმნა საქართველოსთვისაც. მემატიანე აღფრთოვანებული გვამცნობს: „და შეწევნითა ღმრთისათა მოეშენა ქუეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განიმრავლა სპანი და აღარა მისცა სულტანსა ხარაჯა“.

დავითის „მსტოვართა გუნდი“ თანდათან ძლიერდებოდა და ლიპარიტის გაძევების შემდეგ „საშინაო ფრონტზე“ უფრო დიდი წარმატებით იბრძოდა. დავითის უმთავრესი მიზანი უკვე ნაწილობრივ გაერთიანებული საქართველოს ფარგლებს მიღმა დარჩენილი ქართული მიწების დედასამშობლოსთვის შემოერთება-შემომტკიცება იყო. თბილისი და მისი შემოგარენი თურქ-სელჯუკების ბანაკად და „დასასვენებელ ზონად“ იყო ქცეული. ჰერეთ-კახეთის მეფე კვირიკე კი სრულ დამოუკიდებლობას იჩემებდა.

დავითმა გადაწყვიტა ჰერეთ-კახეთით დაეწყო. ეს სტრატეგიული თვალსაზრისით ძალზე გამართლებული გადაწყვეტილება იყო — ჯერ ერთი თბილისზე ლაშქრობის წინ ზურგი დაცული ექნებოდა, მეორეც — დინჯი, მაგრამ ბრძოლაში შეუპოვარი კახ-ქიზიყ-ჰერელები საქართველოს ერთიან ლაშქარს შეავსებდნენ, მესამე — შეივსებოდა ქვეყნის ხაზინა, და ბოლოს, კახეთ-ჰერეთის შემოერთებით თბილისის საამირო უკვე მთლიანად ალყაში მოექცეოდა.

1101 წელს დავითმა კვირიკე კახთა მეფეს ზედაზნის ციხე წაართვა, მაგრამ მერე ძმათა შორის სისხლის ღვრას მოერიდა, ლაშქარი უკან გამოაბრუნა და საქართველოს ამ კუთხის უსისხლოდ შემოერთება უფრო მოქნილი ხერხით — მსტოვრებისა და ერთგული აზნაურების დახმარებით ჩაიფიქრა.

მანამ კი სხვა, არანაკლებ საჭირბოროტო სატკივარი უნდა მოეგვარებინა დავითს. ეს ქართული ეკლესიის რეფორმირება იყო.

თოთხმეტწლიანი მეფობის შემდეგ უკვე დაბრძენებული დავით IV დარწმუნდა, რომ შინააშლილობისა და დიდგვაროვანთა მუდმივი ორგულობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმდროინდელ ეკლესიაში გაბატონებული წესები იყო. რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამდე, რომელიც 1103 წელს ქართლის ამ ორ სოფელში გაიმართა, ქართულ ეკლესიაში ისევ გიორგი II-ის დროინდელი „უკუნითი“ ბატონობდა. მემატიანის შეფასებით: „...წმინდა ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქვაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროს, ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი“... მაშინ დადგენილი წესით უმაღლესი საეკლესიო თანამდებობები არა პიროვნული ღირსებისა და დამსახურების გამო, არამედ მემკვიდრეობითი ნიშნის მიხედვით ნაწილდებოდა. ეკლესია მოღალატე და განდგომილ დიდგვაროვანთა ხელში აღმოჩნდა და მათ მთავარ დასაყრდენად იყო ქცეული. ისინი კი ყველანაირი ხრიკებით ცდილობდნენ მეფის ერთპიროვნული ხელისუფლების გაძლიერებისა და ქვეყნის გაერთიანებისთვის შეეშალათ ხელი.

დავით მეფემ ამ „სახლთა ღმრთისათა“ „ავაზაკთაგან“ განწმენდა გადაწყვიტა.

საყურადღებოა, რომ მან მრავალი წელი შეალია უღირს ეპისკოპოსთა გადაყენებისთვის აუცილებელი ღონისძიებების მომზადებას. მემატიანე წერს: „მრავალი დღე გამოწულილვითა ფრიადითა კეთილად გამოიძიეს“... ჩანს, დავით მეფეს ბევრი დრო და ხერხი დასჭირდა ხელსაყრელი სიტუაციისა და ეკლესიის ხელმძღვანელობაში საკუთარი მომხრეების შერჩევა-დაწინაურებისათვის. ივანე ჯავახიშვილი წერს: კრების მოწვევა „წინასწარ კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით და საეკლესიო კრებისთვის ხელმძღვანელთა მარჯვედ შერჩევის“ შემდგომ მომხდარა. უღირს მღვდელმთავართა ცოდვებისა და „ავაზაკობის“ გამოსავლენ-აღსარიცხავად მეფე უცილობლად მსტოვრებსა და აეშაგებს გამოიყენებდა. კონსტანტინე გამსახურდიას რომანში „დავით აღმაშენებელი“ მხატვრულად აქვს გადმოცემული, როგორ აგროვებდნენ უღირს ეპისკოპოსებზე კომპრომატს მეფის ერთგული მსტოვრები.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, ის მღვდელმთავარნი, რომლებიც დიგვაროვნობის გამო მემკვიდრეობით ფლობდნენ საეკლესიო თანამდებობებს, გადააყენეს და მათ ნაცვლად ღირსეულნი და განსწავლულნი აირჩიეს.

ასე რომ, 1103 წელს დავითმა მნიშვნელოვანი საშინაო „ბრძოლა“ მოიგო, რაშიც უცილოდ დიდი იყო მსტოვარ-მოენეთა წვლილი.

კახეთ-ჰერეთის დაბრუნებისთვისაც კარგად ილვაწეს დავითის მსტოვრებმა და იქაური დიდებულების დარწმუნება-გადმობირება შეძლეს. მათაც საქართველოს გაერთიანების დიდი საქმე ამჯობინეს, მემატიანის თქმით, „ცუნდრუკი, უსჯულო და უმეცრად უსამართლო“ აღსართან მეფის (რომელმაც 1102 წელს გარდაცვლილი ბიძა — კვირიკე მეფე შეცვალა) სამსახურს. ჰერთა დიდებულებმა: არიშიანმა, ბარამ და სხვებმა, უთუოდ საქართველოს მეფესთან წინასწარი შეთანხმებით, 1104 წელს კახთა მეფე შეიპყრეს და დავითს მხრებგაკრული მიჰგვარეს.

ამის შემდეგ დავით მეფემ უსისხლოდ და „ნებიერად აღიხვნა ციხენი სიმაგრენი მათნი, მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკვიდრთა ქვეყნისათა“ (დავითის მემატიანე).

ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ დავითი მეფობის პირველივე პერიოდშივე შეუდგა საგარეო და საშინაო პოლიტიკური დაზვერვის შექმნასა და მსტოვრების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოყენებაზე ზრუნვას. მაშინდელი მოვლენების განვითარება ადასტურებს ამ ვარაუდს. ეს მაგალითები, ერთი მხრივ, საგარეო დაზვერვის კარგ მუშაობაზე მეტყველებს, ხოლო მეორე მხრივ მსტოვრების გამოყენებით შინაპოლიტიკური სიტუაციების ოსტატურად მართვის ხელოვნებაზე მიგვანიშნებს.

*P. S. „არსენალის“ შემდეგ ნომერში მოგითხრობთ, როგორ მუშაობდა დავით მეფის სამხედრო დაზვერვა და როგორ „მოიპარეს“ მსტოვართა დახმარებით ქართველებმა სამშვილდის ციხე-ქალაქი, როგორ იყენებდა მეფე მტრის დეზინფორმაციის მეთოდებს, ვინ ხელმძღვანელობდა მსტოვრებს და ვინ იყო მანდატურთუხუცესი, მანდატური და ქონდაქართუხუცესი.*

**ბესიკ ალადაშვილი**


**წიგნის ავტორის შესახებ:**

ბესიკ ალადაშვილი დაიბადა 1959 წელს, მიღებული აქვს უმაღლესი ეკონომიკური და იურიდიული განათლება. ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. პროფესორი. თითქმის ორი ათეული წელია, ლექციებს კითხულობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მუშაობდა: სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, სექტორის გამგედ; საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოში (კურირებდა საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების საკითხებს); შინაგან საქმეთა სამინისტროში დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ; სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში — დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო „ქართული არმიის განვითარების ფონდის“ გამგეობის წევრი. სამხედრო წოდება უშიშროების პოლკოვნიკი. დაასრულა აშშ-ის „გფბ“-ს „ორგანიზებულ და საფინანსო დანაშაულთან ბრძოლის“ სემინარ-კურსები.




ეკონომიკის და გეოპოლიტიკის თემებზე გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნიერო და საგაზეთო სტატია.

სპეცსამსახურების ისტორიასა და დღევანდელ პრობლემურ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს ორმოცდაათზე მეტი სტატია.

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში!**

**ან დარეკეთ 42-43-40 და მიიღეთ წიგნი სახლში, ფასნამატის გარეშე**


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მონადირე მკვლელი არ არის... ამ დროს აზარტი იღვიძებს და..."

**მონადირეთა ერთი ნაწილის მტკიცებით, გაჩნდა თუ არა კაცი, ნადირობა დაიწყო — სხვანაირად თავს ვერ ირჩენდაო. ზოგი იმასაც ამბობს, ღმერთმა მამაკაცში თავიდანვე ჩადო ნადირობის კოდი. აბა, ისე რა აზრი ჰქონდა ამდენი ნადირ-ფრინველის გაჩენასო. რაც უნდა ითქვას, ფაქტია, ნებისმიერ კაცს აქვს მონადირის ინსტინქტი, მიუხედავად იმისა, ნადირობს თუ არა იგი გარეულ მხეცებსა და ფრინველებზე. არქეოლოგიური კვლევების შედეგად კი დადგინდა, რომ საქართველოში უხსოვარი დროიდან ნადირობენ. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ნადირობის კულტურის ჩამოყალიბება გარკვეულწილად ხალხის განვითარების მაჩვენებელიც იყო.**

როგორც ირკვევა, საქართველოში დღეს თითქმის სპორტის სახეობად ქცეული ნადირობის კულტურა რეგრესს განიცდის: ამის შესახებ პროფესიონალი მონადირე ვაჟა სულხანიშვილი გვესაუბრება. მას ნადირობის 43-წლიანი სტაჟი აქვს.

— **ბატონო ვაჟა, გახსოვთ პირველი ნადირობა?**

— თოფი პირველად რომ ვისროლე, ცხრა წლის გახლდით. მარტო ვიყავი ტყეში. მას შემდეგ თოფი ხელიდან აღარ გამიშვია. 14 წლამდე მარტოდმარტო დავდიოდი სანადიროდ. მერე უფროსებმა თავიანთ გუნდში მიმიღეს. შაბათს გაკვეთილებს მოვამზადებდი და კვირას ტყეში გავრბოდი. წინაპრებისგან გამომყვა ნადირობის სიყვარული. დიდი პაპა მყოლია მაგარი მონადირე. ბავშვობაში მიამბეს, დათვი მოკლა, ზურგზე მოიკიდა, მთის წვერზე აიტანა და იქიდან დაბლა დააგორაო. ისე, რომ იცოდეთ, დაგორებული დათვის ხორცი არ ლურჯდება.

რომანტიკული ხასიათი მაქვს, მიყვარს ბუნება, ტყე, ფრინველების გალობა, ნადირის ცქერა-თვალთვალი და არა მხოლოდ ნადირობა. ეს ჩვეულებრივი მოვლენაა მონადირეებში.

— **თუ ასე ძალიან გიყვართ ნადირ-ფრინველი, როგორღა ესვრით?**

— მონადირე მკვლელი არ არის. იცავს კიდეც ნადირს, ხელს უწყობს მათ გამრავლებას. დაკვლამდე შინ გაზრდილი გოჭი და ქათამიც გეცოდება, მაგრამ მაინც კლავ. ასეა ნადირობის დროსაც. თანაც, ტყეში უფრო სწრაფად, გააზრების გარეშე ხდება ყველაფერი. ამ დროს აზარტი იღვიძებს და... ისე კი ღმერთმა ნადირ-ფრინველი ხომ ადამიანისთვის შექმნა. ამასთან, მონადირეს ყოველთვის კარგად უნდა ახსოვდეს, რომ გაჭირვებაში ჩავარდნილი ან მაკე ნადირი არ უნდა მოკლას. ნადირის მოკვლა არც წყლის სმის დროს შეიძლება.

— **ნადირობისთვის ყველაზე კარგი დრო როდის არის?**

— გვიან შემოდგომაზე, სანამ დიდი თოვლი მოვა. ამ დროს ტყეში დიდი ბალახი დამჭკნარია და სიარული აღარ ჭირს. ფოთოლი გაცვენილია და ხილვადობაც უკეთესი. პატარა თოვლი რომ მოდის, იქ უკვე კვალიც კარგად ჩანს. როგორც რუკაზე, ისე კითხულობ ნადირის ნაკვალევს. გაზაფხულზე ნადირობა არ შეიძლება. გაზაფხულზე, ნადირ-ფრინველი მრავლდება, მათი დახოცვა მიუღებელია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ დღესაც მონადირე უფრო მეტი დარჩება, ვიდრე ნადირ-ფრინველი.

— **რა იარაღით ნადირობთ?**

— გლუვლულიანი თოფებით. ჩვენთან უმეტესად იჟევსკის იარაღის ქარხნის თოფები აქვთ. შეძლებული მონადირეები „გოლანგოლანს", „ზაუერსა" და სხვა მარკის თოფებს ყიდულობენ. ესენი ძვირი ღირს, ფასი ათასობით ლარამდე ადის.

— **ტყვია-წამალიც გაძვირდა?**

— ადრინდელთან შედარებით ძვირი ჯდება. 500 გრამი დენთი 12 ლარი და უფრო მეტიც ღირს. წინათ ყველაფერი იაფი იყო.

— **სამონადირეო მაღაზიებში შეუძლია მონადირეს ყველა საჭირო ნივთი იყიდოს?**

— ფული თუ გაქვს, ყველაფერს შეიძენ. ახალი, გლუვლულიანი რუსული თოფები 500-იდან 700 ლარამდე ღირს. კარაბინები უფრო ძვირია. ცუდია, რომ იაფფასიანი თოფების ასორტიმენტი არ აქვთ. ძვირად ღირებულ თოფებს ძირითადად არაპროფესიონალები ყიდულობენ. იარაღი უფრო საჩვენებლად აქვთ.

— **როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია სამონადირეო ტურიზმის განვითარება საქართველოში?**

— რა თქმა უნდა, მაგრამ არსებული კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. უპირველესად სანადირო რესურსები უნდა იქნეს შესწავლილი — სად და რაზე შეიძლება ნადირობა; რა რაოდენობის ნადირის მოკვლა შეიძლება და ა.შ.

ეს ბიზნესი ძალიან დიდ შემოსავალს მოგვცემდა. ტურიზმის ეს სახეობა ძირითადად მდიდარ ხალხს აინტერესებს. ბიუჯეტში არცთუ პატარა თანხები შევიდოდა.

— **ყველა ცხოველზე ნადირობას ალბათ თავისებური აზარტი აქვს.**

— რა თქმა უნდა. ზოგიერთს, ვინც უფრო აზარტულია, დათვზე ნადირობა უყვარს. რადგან საშიშია, მეტი ჟინი აქვთ ამ ცხოველზე ნადირობისას. ზოგს ბეწვიანი ნადირი მოსწონს. ვიცნობ კვერნაზე მონადირეებსაც. კვერნა ძალიან ბევრს დადის, შეიძლება 50 კილომეტრი გაიაროს ერთ ღამეში. აზარტული მონადირეები სანამ არ დაიჭერენ, არ ეშვებიან. მე მსხვილ ნადირზე მიყვარდა ნადირობა, მაგრამ ახლა აკრძალულია. ბოლო ხანს უფრო ფოტოების გადასაღებად დავდივარ ტყეში. სანადიროდ მარტო წასვლა დიდი ვერაფერი სიამოვნებაა. მეგობრებთან ერთად



ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა წახვიდე. ნადირობისას მოკლული სიხარული ხომ უნდა გაუზიარო სხვას. თანაც ყველასთან ვერ ინადირებ, ერთნაირი მისწრაფების ხალხი უნდა შეიკრიბოს. ჩვენთვის მთავარი არ არის ნადირობა, ერთად რომ გავდივართ ბუნებაში, ეგეც ძალიან ბევრს ნიშნავს. მონადირეს ნადირის დანახვა მხოლოდ იმიტომ არ უხარია, რომ მაინცდამაინც უნდა ესროლოს. უნდა ისიამოვნო კიდეც ნადირის ცქერით. ნამდვილი მონადირე არასოდეს ესვრის ბელებიან დათვს. არ შეიძლება დედა დათვის მოკვლა. ობლად დარჩენილი ბელი განწირულია, იშვიათად იზრდებიან — მგლები ჭამენ ან შიმშილით კვდება.

**— კიდევ რა იკრძალება მონადირეების დაუწერელი კანონით?**

– გასაჭირში ჩავარდნილი მონადირე არ უნდა მიატოვო; სხვასთან მისულ ნადირს შენ არ უნდა ესროლო; არ შეიძლება ესროლო ნამქერში ჩაფლულ ან სხვა რამით შეჭირვებულ ნადირს. უმწეო ნადირს რომ ესვრი, რაღა მონადირე ხარ. მონადირემ ცხოველს გადარჩენისთვის ბრძოლის შანსი უნდა მისცეს.

ნადირს არც მაშინ უნდა ესროლო, თუ ვერ ხედავ და მხოლოდ ხმა გესმის. შეიძლება ადამიანს მოარტყა. თუ სხვა მონადირის ძაღლი მისდევს ნადირს, არ უნდა ესროლო. თუ მაინც მოკლავ, ნანადირევი ძაღლის პატრონს უნდა მისცე. არც გატენილი თოფი უნდა მიაწოდო სხვას, ვინც უნდა იყოს იგი.

**— ბოლო დროს დიდი მითქმა-მოთქმა ატყდა — თითქოსდა ვიღაცამ გრანტების მიღების სანაცვლოდ საგანგებოდ მოაშენა წითური მგელი ჩვენს ტყეებში.**

– მეც დავინტერესდი ამ საკითხით. როგორც შევიტყვე, პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე ორი სახის: დასავლეთის, ანუ ტიანშანის, და აღმოსავლეთის, ანუ უსურიის წითური მგელი ყოფილა გავრცელებული. სავარაუდოდ ჩვენთან დასავლური ტიპის წითური მგელი ბინადრობს. ამბობენ, პატარა თავის ქალა აქვს, გარეგნულად მელასაც ჰგავს და ტურასაცო, მაგრამ მე ვნახე წითური მგელი, სულ სხვანაირია. ამიტომ მგონია, რომ საქართველოში წითური მგელი შესაძლოა ჩრდილოკავკასიიდან, დაღესტნიდან გადმოვიდა. ჩემი აზრით, შეჯვარებული უნდა იყოს ქართულ ან შუააზიურ ნაგაზთან.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ მგელმა საქართველოში საშიში მუტაცია განიცადა?**

– საქართველოში არა. უფრო ჩრდილოკავკასიაში, საიდანაც გადმოვიდა საქართველოში. ამას ხელი შეუწყო ბევრმა ფაქტორმა — იმან, რომ აქ მგელი უფრო უსაფრთხოდ გრძნობს თავს, ამასთან, ჩეჩნეთის ომმა დააფრთხო. სროლის ხმამ აიძულა ჩვენთან გადმოსვლა.

წითური მგელი ძალზე თავხედი და გულადია. ადამიანს არ უფრთხის, პირდაპირ გადმოდის იერიშზე. სამეცნიერო ლიტერატურაში აღწერილი მგელი კი პირიქით, ძალიან ფრთხილია და თითქმის შეუძლებელია მისი მოხელთება. ვფიქრობ, ეს ის წითური მგელი არ არის, რომელსაც აქამდე ვიცნობდით.

**— ნადირობისთვის რომელი ძაღლი უფრო მოგწონთ?**

– ჩვენთან ძირითადად რუსული მდევარია გავრცელებული. კარგია ნადირზე სანადიროდ. ფრინველზე სჯობია სეტერი და პოინტერი წაიყვანო. ძალიან მომწონს აღმოსავლეთციმბირული ლაიკა. ძლიერიც არის და პატრონის ერთგულიც. პატრონის გულისთვის დათვს შეაკვდება. არც ორიენტაციას კარგავს არასოდეს.

**— ამბობენ, ქართულმა ნაგაზმაც იცის ნადირობაო.**

– ჩვენი მეფეები ქართული ნაგაზებით მგლებზე ნადირობდნენ. მე მინახავს მეცხვარე ძაღლი რუსულ მდევართან ერთად მონადირე. როცა მსხვერპლს გაეკიდება, არ ყეფს. როცა ძაღლი არ ყეფს, ნადირს ძალიან ეშინია და ცხრა მთას გადაივლის. არადა ყეფა ნადირობის დროს აუცილებელია. მონადირემ ხომ უნდა გაიგოს ნადირი საით მიდის. ჩვენი ნაგაზი შეიძლება მტაცებლებზე სანადიროდაც გაწვრთნა.

**— ფრინველის გრიპის გამო ნადირობის აკრძალვამ იმოქმედა მონადირეებზე თუ მაინც ნადირობენ?**

– მე ვისაც ვიცნობ, არავინ ნადირობს. ვისაც თავი და ოჯახი უყვარს, არ ინადირებს. როგორ შეიძლება რამდენიმე ასეული გრამი ხორცისთვის თავი მოიკლა ან ოჯახი ამოწყვიტო. მტაცებელ ფრინველზეც კი არ უნდა ინადირო. მერე რა, რომ გადამფრენი არ არის, შესაძლოა დაავადებული გადამფრენი შეჭამოს და... ამიტომ ერთ-ორ წელიწადს უნდა მოვერიდოთ ნადირობას. ამასობაში საფრთხე გაივლის.

**— ალბათ ნადირობისას ბევრი რამ გადაგხდენიათ თავს.**

– ძალიან ბევრი. თანაც ისე დაუჯერებელი, რომ ხალხს ტყუილი ჰგონია. ერთხელ დათვზე სანადიროდ მთებში წავედი. ერთი სოფლის მცხოვრებმა შემოგვჩივლა, ღამით დათვი მოდის, ძაღლის ყეფამ რომ არ შეაწუხოს, მსხმოიარე ღოღნაშოს ხეებს ფესვებიანად თხრის, გადააქვს ხევში და იქ ჭამსო. არ დავიჯერეთ, მაგრამ ხევში რომ ჩამოვიარე, ჩემი თვალით ვნახე ფესვებიანად ამოთხრილი ღოღნაშოები.

ერთხელაც მეგობარსა და ბიძაშვილთან ერთად წავედი დათვზე სანადიროდ. ჩემმა ბიძაშვილმა დათვს ესროლა და დაჭრა. გაცოფებული ცხოველი მონადირისკენ წამოვიდა. დიდი დანა არ ჰქონდა და დასაკეცი დანა დააძრო ჯიბიდან. იმით რას იზამდა, მაგრამ მაინც, კაცს ხელში იარაღი რომ გიჭირავს, იმედიანად ხარ. თან გულადი მონადირისთვის ზოგჯერ ქვაც კმარა. სამი-ოთხი მეტრიღა აკლდა დათვს მონადირემდე, მაგრამ რატომღაც გაბრუნდა და გაიქცა...

საერთოდ, სანადიროდ წასული კაცი მხოლოდ ნადირ-ფრინველის დახოცვაზე არ ფიქრობს. ტყისკენ არც მხოლოდ მონადირის ჟინი ეძახის. ეს არის ადგილი, სადაც იწმინდები. რა შეედრება იმას, როდესაც მთის კალთაზე დგახარ, მზით გაჩახჩახებული ოქროსფერი ფოთლების შრიალს უსმენ, დაბლა კი ნისლი ჩაწოლილა. ტკბები ბუნების ცქერით, ცაში არწივებისა და ორბების ნავარდით. მაშინ ხვდები, რა ლამაზია ღვთის შექმნილი სამყარო. ნადირობის სურვილი აღარც კი გიჩნდება, ყოველდღიური პრობლემებიც გავიწყდება.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო — სამონადირეო საქმეს მიხედვა სჭირდება. ეს მოგებას მოუტანს ქვეყანას. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, მონადირემ უნდა ინადიროს და საამისო პირობებიც უნდა ჰქონდეს, სახელმწიფომ უნდა წაახალისოს. ნადირობის აკრძალვა საქმეს ართულებს. რეგულირება სჭირდება მტაცებლების გამრავლებას. ბუნებაში ბალანსი არ უნდა დაირღვეს.

*ეკა ლომიძე*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამაყი გენერალი

**შარლ დე გოლი (1890 წლის 22 ნოემბერი — 1970 წლის 9 ნოემბერი) — საფრანგეთის პოლიტიკური, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე, სამხედრო თეორეტიკოსი, წოდება — ბრიგადის გენერალი (1940 წლის 28 მაისი). საფრანგეთის პრეზიდენტად პირველად 7-წლიანი ვადით აირჩიეს 1958 წლის 21 დეკემბერს, მეორედ — 1965 წლის 19 დეკემბერს (1969 წლის სარეფერენდუმო წარუმატებლობის გამო პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა).**



## ვინ გამოჭედავს მახვილს?

ახალგაზრდობაში მობილური გვარდიის ლეიტენანტი, მოგვიანებით კი იეზუიტების კოლეჯის ფილოსოფიის პედაგოგი ანრი დე გოლი სამივე შვილს (შარლი შუათანა იყო) ხშირად დაატარებდა ხოლმე პარიზის შემოგარენის ყოფილ საბრძოლო ველებზე, სადაც ოდესღაც პრუსიელებს ებრძოდა და დაიჭრა. პატარებს იქ აჩვენებდა ქვეყნისათვის დაცემულ მამულიშვილთა ძეგლს, რომელზეც გამოსახული იყო დამსხვრეული მახვილი და ეპიტაფია: „აქ დაცემულ მამაცთა ხელში გადატეხილ მახვილს კვლავ გამოსჭედენ მათი შთამომავლები"... რას წარმოიდგენდა უფროსი დე გოლი, რომ ამ სასეირნო რიტუალით მემკვიდრის სულიერ ბაზისს რკალში ისევე ატარებდა, როგორც ეს საბრძოლო მახვილის გამოჭედვას ესაჭიროებოდა.

## ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული ბიჭუნა

შარლს ყმაწვილობიდანვე სჯეროდა ბედისა. 10 წლისა იყო (როცა ყველა ბიჭუნა ცელქობს), როცა კიბის მოაჯირზე დასრიალებულმა წონასწორობა დაკარგა და ძალზე მტკივნეულად დაეცა. წამოაყენეს და — ხომ არ შეგეშინდაო? — ლმობიერად დაეკითხნენ. „შემეშინდა? — ამაყად განაცხადა პატარამ, — მე განა ბედნიერ ვარსკვლავზე არ დავიბადე?"

## სასწორის პინაზე – არმია და ეკლესია

დე გოლების ოჯახში ფრანგული საზოგადოების მხოლოდ ორი ინსტიტუტი იმსახურებდა პატივისცემასა და ნდობას – არმია და ეკლესია... ჭაბუკი პირველმა გადასწონა, მას ხომ ბავშვობიდანვე უნერგავდნენ გვარის დიდებული წარსულის გამგრძელებლის მისიას, იმის შეგნებას, რომ მათი წარმომავლობის ხალხს არასოდეს უნდა ეღალატათ თავიანთი ისტორიული მისიისთვის, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მუდამ გაეღვივებინათ ნაციის სულიერი სახე, ქცეულიყვნენ პატრიოტიზმის ბურჯებად... აი, რას ეფუძნებოდა მომავალი გენერლის ოჯახური აღზრდის გაკვეთილები.

## „ორმეტრიანი შარლი"

1910 წლის ოქტომბერში სრულუფლებიანი „სირორი" ბრძანდებოდა (სამხედრო ჟარგონზე ასე უწოდებდნენ სენ-სირელებს). 20 წლისა მწყობრში იდგა პირველი ოცეულის პირველ რიგში, პირველი მარჯვნიდან. როცა ბრძანება „სმენა" გაისმოდა, მხოლოდ იგი იდგა გაუნძრევლად. მარშირებისას კი სწორედ მასზე, მარჯვენაფლანგელზე, იყო დამოკიდებული სამწყობრო მოძრაობის სისწორე და სიზუსტე.

## განსწავლული „მეცამეტე" უარს ამბობს პოლიტიკაზე

1912 წლის 1-ელ ოქტომბერს შარლ დე გოლმა სენ-სირი დაამთავრა და უმცროსი ლეიტენანტის წოდება მიიღო. აკადემიური მოსწრების მხრივ მე-13 ადგილი მიეკუთვნა 211-კაციან კურსდამთავრებულთა შორის. ბედის ირონიით ისე მოხდა, რომ მე-20 საუკუნის საფრანგეთის მომავალმა უდიდესმა პოლიტიკოსმა ოფიცრის წოდების მიღებისას დადო ფიცი, რომ ხელს არასოდეს მოჰკიდებდა... პოლიტიკას.

## მაიორი, რომლისთვისაც ტრადიცია დაარღვიეს...

პირველ მსოფლიო ომში რამდენჯერმე იყო დაჭრილი და მკვდრადაც შერაცხული (გმირულად „დაღუპულმა" საპატიო ლეგიონის ორდენი დაიმსახურა). ფეხოსანთა ასეულის მამაცმა მეთაურმა გერმანელთა ხელში თითქმის 3 წელი გაატარა ტყვეობაში და თავს რაღა არ გადახდა... ომის შემდეგ მაინც სამხედრო კარიერა გააგრძელა. 1927 წელს მაიორი გახდა და მოტოქვეითთა ბატალიონის მეთაურად დაინიშნა. გენერალმა, რომელიც საფრანგეთის საქვეითო ჯარებს სარდლობდა, რჩეული ნაწილის მეთაურად დე გოლის დანიშვნის ფაქტი ასე განმარტა (ტრადიციულად ასეთი დანაყოფის მეთაურად მხოლოდ მასში ადრე ნამსახურებ ოფიცერს ნიშნავდნენ): „მე ამ ადგილზე დავნიშნე მომავალი გენერალისიმუსი"... არა, ის შეცდა: 1940 წლის მაისის ბოლოს მას ბრიგადის გენერლის წოდება მიენიჭა... და მაინც, ის შორსმჭვრეტელი ქვეითთა გენერალი თავისებურად მართალი აღმოჩნდა...

## 1940 წლის 18 ივნისი — დიდი მიჯნა კაცის ცხოვრებისა და ქვეყნის ისტორიაში

ინგლისის დედაქალაქში თავშეფარებულმა გენერალმა 1940 წლის 18 ივნისის დილით ორგვერდიანი მოწოდების ტექსტი შეადგინა და „ბი-ბი-სის" რადიოსადგურიდან თანამემამულეებს მიმართა. ის ორმოციოდე სტრიქონი ლეგენდარულ მიმართვად გადაიქცა, თვით თარიღმა კი ერთგვარად დაასრულა ოფიცერ დე გოლის სამხედრო კარიერა და სათავე დაუდო სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრებას...

18 ივნისს რადიოგადაცემისას შეურიგებელმა და დაუმორჩილებელმა გენერალმა რატომღაც ხელნაწერის ერთი ფრაზა აღარ გაახმიანა: „საფრანგეთმა წააგო ბრძოლა, მაგრამ მას არ წაუგია ომი", არადა მიკროფონში უთქმელი ფრაზა ბეჭდური სახით გავრცელებულ ტექსტში მოხვდა და სწორედ მან გამოხატა საქმის სრული არსი.

## ისტორიული მიმართვიდან: „მე, გენერალი დე გოლი"...

„...მხედართმთავრებმა, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში საფრანგეთის არმიას მეთაურობდნენ, მთავრობა შექმნეს. აქაოდა, ჩვენი არმია დამარცხდაო, ამ მთავრობამ მოლაპარაკება გამართა მოწინააღმდეგესთან და ბრძოლა შეწყვიტა... მაგრამ განა ვთქვით უკანასკნელი სიტყვა? განა ბოლო იმედიც ჩაქრა? განა გადამწყვეტი მარცხი მოგვაყენეს? არა! საფრანგეთი მარტო არ არის! ის მარტო არ არის! ის მარტო არ არის!.. ეს ომი არ შემოიფარგლება მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მრავალტანჯული ტერიტორიით. ამ ომის ბედი არ წყდება საფრანგეთისათვის ბრძოლით. ეს მსოფლიო ომია... მე, გენერალი დე გოლი, ამჟამად ლონდონში მყოფი, მოგმართავთ ფრანგ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს... ინჟინრებსა და მუშებს... მოწოდებით, რომ დაამყაროთ ჩემთან კონტაქტი, რაც უნდა მოხდეს, ფრანგული წინააღმდეგობის ალი არ უნდა ჩაქრეს და არც ჩაქრება!"

## დაუნდობელი, მაგრამ... ლმობიერი

დასახული მიზნისკენ ჯიქურ მიიწევდა, მაგრამ ცხოვრების ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც არ მიმართავდა რეპრესიებს თავისი უამრავი პოლიტიკური მოწინააღმდეგისა და აშკარა მტრის მიმართ... მისი სიცოცხლის ხელყოფა 15-ჯერ სცადეს და მან მხოლოდ ერთხელ დაამტკიცა სასიკვდილო განაჩენი 1962 წლის აგვისტოში მოწყობილი ტერაქტის ორგანიზატორთა თავკაცის, პოლკოვნიკ ბასტენ-ტიერის დასასჯელად. პრეზიდენტმა დე გოლმა მისი მიახლება ბრძანა. მიჰგვარეს და პირადად განუცხადა, რომ მისი შეწყალების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა არა იმიტომ, რომ მან ტყვია პირადად ესროლა, არამედ იმიტომ, რომ მას, საფრანგეთის არმიის ოფიცერს... ზუსტი სროლა არ სცოდნია...

...როცა თავდასხმებზე ელაპარაკებოდნენ, მოსაუბრეებს სიტყვას ბანზე უგდებდა და სიცილით აცხადებდა: „უმჯობესია, ტყვიით მოკვდე, ვიდრე ინფარქტისაგან ვოტერკლოზეტში".

## არავისი და... ყველასი

შარლ დე გოლი არასოდეს ყოფილა არჩეული არც დეპუტატად, არც მერად, არც პარტიებსა და მათ ზურგს უკან მდგომ პოლიტიკურ და ეკონომიკურ წრეებთან თანამშრომლობდა... „მე მარტოხელა კაცი ვარ, — განმარტავდა სამხრეებიანი პრეზიდენტი, — რომელიც შორსაა ყოველგვარი პარტიული ინტერესებისგან, მე ის ადამიანი ვარ, ვინც არავის არ მიეკუთვნება და ამასთან, წარმოადგენს ყველას საკუთრებას".

## რისთვის ღირს ბრძოლა?

ბრწყინვალე ორატორი, მწერლური ნიჭით დაჯილდოებული, რომლის მკაცრი სტილი საფრანგეთის აკადემიამ უზადო ლიტერატურული ენის ნიმუშად აღიარა, მრავალმნიშვნელოვნად ბრძანებდა: „ამ ქვეყანაზე ერთადერთი, რისთვისაც ბრძოლა ღირს, ეს არის ადამიანი!"

## ტრადიციის ერთგული პრეზიდენტი, რომელსაც დედაქალაქში ბინა არ გააჩნდა

1958 წლის დეკემბერში პრეზიდენტად ახალარჩეული დე გოლი ელისეს სასახლეში, საფრანგეთის პრეზიდენტების რეზიდენციაში შევიდა, არ მოეწონა და ახალი სასახლის მოძებნა მოისურვა, მაგრამ ტრადიცია მაინც არ დაარღვია და იქ სამუშაოდ დარჩა... არადა ყველა თანამდებობრივი მემკვიდრისაგან (ჟორჟ პომპიდუს, ვალერი ჟისკარ დე სტენის, ფრანსუა მიტერანის, ჟაკ შირაკის) განსხვავებით მას საკუთარი ბინა პარიზში არასოდეს ჰქონია.

## საბედისწერო დილის ტკივილი

1970 წლის 9 ნოემბრის დილით გენერალი-პრეზიდენტი, როგორც წესი, კოლომბელე-დეზ ეგლიზის კარ-მიდამოში ფუსფუსებდა, სეირნობდა, ფიქრობდა... რაზე?.. იქნებ იმაზე, რომ 13 დღეში დაბადებიდან მე-80 წლისთავი უსრულდებოდა და უნდა აღენიშნა?.. კაბინეტში მემუარებზე მუშაობას ჩაუჯდა... საღამოხანს პასიანსი გაშალა. უცებ სხეული მოუდუნდა, მხოლოდ ერთის თქმა მოასწრო: „როგორ მტკივა"...

ყველაზე ცნობილი ფრანგთაგანი საკუთარ მამულში დაკრძალეს, მხოლოდ ახლობელთა ვიწრო წრის გარემოცვაში. მან ანდერძად დაიბარა, რომ მოკრძალებულად დაესაფლავებინათ და ცერემონიას არ უნდა დასწრებოდნენ ოფიციალური პირები — არც პრეზიდენტი, არც პრემიერი, არც მინისტრები და დეპუტატები (მისგან განსხვავებით, ყველაზე დიდი ბრიტანელი უინსტონ ჩერჩილი საგანგებოდ ბრძანებდა, როცა საკუთარ სიკვდილს წარმოიდგენდა ხოლმე: „რაც შეიძლება მეტი ჯარისკაცი, რაც შეიძლება მეტი მუსიკა!").

...ასეთი მოკრძალებული სიდიადე სჩვეოდა მხოლოდ მას, ყველაზე ცნობილ ფრანგთაგანს, რომლის შესახებაც ახალმა პრეზიდენტმა ჟორჟ პომპიდუმ რადიოთი გამოსვლისას ბრძანა: „საფრანგეთი დაობლდა"... რესპუბლიკის დედაქალაქში ცნობილ ვარსკვლავის მოედანს, სადაც ნაპოლეონის გამარჯვებათა აღსანიშნავად აღმართული ტრიუმფალური თაღის ქვეშ მარადიული ძილით განისვენებს უცნობი ჯარისკაცი, სახელად დაენათლა „შარლ დე გოლის მოედანი".

მისი დაკრძალვის დღეს ნიუ-იორკში (აშშ) გაიმართა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის სპეციალური სხდომა, რომელიც დე გოლის ხსოვნას მიეძღვნა.

**ამირან ტალახაძე**



# საფრანგეთის უცხოური ლეგიონის საგანგებო დანიშნულების რაზმები

## პარაშუტისტთა მეორე პოლკი

საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პარაშუტისტები ელიტას წარმოადგენენ. ყველა მათგანს საგანგებო სამედიცინო კომისია ამოწმებს, რომელიც პარაშუტით ხტომებში მათ ვარგისიანობას ადგენს. გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ, საგანგებო საპარაშუტო მომზადების პროგრამა HALO-ს (დიდი სიმაღლიდან პარაშუტის გაშლის შეყოვნებით გადმოხტომა) და HAHO-ს (დიდი სიმაღლიდან დათქმულ წერტილში პლანირებით დაშვება) ნახტომებს ყველა როდი ასრულებს. ამის საშუალება მხოლოდ იმ ლეგიონერებს აქვთ, რომლებსაც ინსტრუქტორის წოდება ეძლევათ, რისთვისაც საჭიროა სერჟანტის სამხრეები და სამხედრო სამსახურის ოთხწლიანი გამოცდილება. დანარჩენები კი საპარაშუტო მომზადების ჩვეულებრივ კურსს გადიან. ამასთან, ყველა მათგანს შეუძლია პოლკის საპარაშუტო სპორტულ სექციაში ვარჯიში.



პოლკის საბრძოლო ოცეულები როგორც ბრძოლის ველზე სამოქმედოდ, ასევე საგანგებო ამოცანების გადასაწყვეტად არიან მომზადებული. პოლკის თითოეული პარაშუტისტი, როცა საბრძოლო ოცეულში ან კომანდოსების ჯგუფში მოხვდება, ვალდებულია შეისწავლოს ოთხი ძირითადი სამხედრო სპეციალობიდან ერთ-ერთი: კომანდოს ინსტრუქტორი, სამხედრო ალპინისტი და მოთხილამურე, მოცურავე-მზვერავი, სნაიპერ-ამფეთქებელი. ყველა საგნის მთავარი სპეციალისტები არა ოფიცრები, არამედ სერჟანტები არიან.

ლეგიონერები საფრანგეთის საერთო საჯარისო „Commando“ კურსის სამხედრო მომზადების ეროვნულ ცენტრში (CNEC) გადიან.

სახელგანთქმულ ცენტრებში CEFE (ეკვატორულ ტყეში ბრძოლის მომზადების ცენტრი) და გვინეის CECAP (კომანდოსების ჯიბუტში მომზადების ცენტრი), სადაც უმთავრესად ველურ ბუნებაში თავის გადარჩენის ჩვევებზეა გამახვილებული ყურადღება, სწავლებას ლეგიონის ინსტრუქტორები უძღვებიან. გაბონში განთავსებული მე-2 პოლკის ქვედანაყოფები ზოგჯერ საგანგებო ცენტრ CEFOGA-ში ვარჯიშობენ.

პოლკის ეთნიკური შემადგენლობა ერთობ თავისებურია. ჩუმი რასიზმი, რომელიც აქ არის გამეფებული, ომის შემდგომი პერიოდის მემკვიდრეობაა, რადგან მაშინ უცხოური ლეგიონის უმრავლესობა გერმანელი მეომრები იყვნენ, რომლებიც თავის დროზე რესპუბლიკური საფრანგეთის მხარეზე გადავიდნენ და ლეგიონს ძლიერი სამხედრო სპეციალისტების სახით შეერივნენ. ამის გამო მე-9 პოლკის რიგებში ახლაც კი ერთ პროცენტზე მეტი შავკანიანი მეომარი არ არის.



თავად ლეგიონში ახლოაღმოსავლელი არაბები ძალიან ცოტაა, პოლკში კი საერთოდ არ არიან.

პოლკში შეხვდებით ჩრდილოეთ აფრიკის ფრანგული ნაწილის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს, მაგრამ ისინი ემიგრანტების შვილები არიან, ყველა მათგანი საფრანგეთში დაბადებული.

## პოლკის ამოცანები

მე-2 პოლკის საბრძოლო დანაყოფების ამოცანები ზუსტად არის განსაზღვრული: დაზვერვითი ოპერაციები, შეტევითი და ე. წ. სპეციფიკური მოქმედებები.

დაზვერვითი ოპერაციები მოიცავს: მოწინააღმდეგის რაოდენობის, მისი გადაადგილების, დისლოკაციისა და განლაგების, სამხედრო ობიექტებისა და ინფრასტრუქტურის მონაცემების შეგროვებას.

შეტევით მოქმედებებს მიეკუთვნება: საკვანძო წერტილების დაკავება და მათი დროებითი კონტროლი, ძირითადი ძალების განსათავსებელი ადგილის მომზადება, ფრონტსმიღმა მოწინააღმდეგის ობიექტების ინფრასტრუქტურის განადგურება ან მოშლა (მწყობრიდან გამოყვანა), მოქმედების ზონაში კონტროლის დაწესება, დეზორგანიზაციისა და პანიკის დათესვა მტრის კონტროლირებად ტერიტორიებზე.

სპეციფიკური მოქმედებები გულისხმობს სამხედრო მოქმედებების ზონებში საფრანგეთის მოქალაქეების და მათი მოკავშირე სახელმწიფოების მოქალაქეების მოძებნას და მათ

უსაფრთხო ადგილებში გადაყვანას. სპეციფიკურ მოქმედებებში შედის აგრეთვე მოწინააღმდეგის სნაიპერებთან ბრძოლა და საჰაერო-მოლაშქრო ... მოღვაწეების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

## პოლკის ისტორია

გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს ინდოჩინეთში საფრანგეთის უცხოური ლეგიონის შემადგენლობაში დაახლოებით 18000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი იბრძოდა, რომელთაც მეორე მსოფლიო ომში ბრძოლის გამოცდილება ჰქონდათ.

სწორედ SS-ისა და ვერმახტის სხვა საგანგებო ნაწილების მებრძოლები შეადგენდნენ იმ დროს ლეგიონის საპარაშუტო ქვედანაყოფების ხერხემალს. ლეგიონის სტრუქტურაში საპარაშუტო-სადესანტო ნაწილების შექმნის შესახებ გადაწყვეტილება 1948 წელს მიიღეს.

პირველად მესამე გაძლიერებული საპარაშუტო-სადესანტო ასეული შეიქმნა, რომელშიც მეორე და მესამე გაძლიერებული ასეულებისა და მე-13 გაორმაგებული ასეულის ჯარისკაცები და უნტერ-ოფიცრები შევიდნენ. მალე ასეულმა საბრძოლო ნათლობა მიიღო. ვიეტნამის არმიის მთავარსარდალმა გენერალმა ვონგუენ ზიაპმა საფრანგეთის ჯარებს რამდენიმე მწვავე დარტყმა მიაყენა. საპასუხოდ ფრანგებმა მათ ზურგში საპარაშუტო დესანტი გადასხეს. ოპერაცია ისეთი მოულოდნელი იყო, რომ ვიეტნამის კომპარტიის ლიდერმა ხო ში მინმა ერთი ფეხით გაასწრო მედესანტეებს.

წარმატებით აღფრთოვანებულმა ფრანგებმა ინდოჩინეთში საპარაშუტო-სადესანტო ძალების რიცხვის გაზრდა გადაწყვიტეს. დაიგეგმა ორი ასეთი სადესანტო ბატალიონის შექმნა.

1948 წლის ივლისში ალჟირში შეიქმნა პირველი უცხოური საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი (1 Batallion Etranger de Parachutistes - 1 BEP), რამდენიმეთვიანი მომზადების შემდეგ იგი ჰაიფონში გადაისროლეს.

მეორე ბატალიონის სამშობლოდ მაროკო იქცა. მოგვიანებით, 1949 წლის თებერვალში, ის საიგონში გადაიყვანეს. 1949 წელს მესამე საპარაშუტო-სადესანტო ბატალიონი კვლავ ალჟირში, ქალაქ ხეტიფის მახლობლად შეიქმნა. აქვე ამზადებდნენ მედესანტეებს ინდოჩინეთში მებრძოლი პირველი და მეორე ბატალიონების შესავსებად.

ინდოჩინეთში ჩასვლისთანავე ორივე ბატალიონის პარაშუტისტები ცეცხლის მოწინავე ხაზზე აღმოჩნდნენ. მათ ყველაზე აქტიური მონაწილეობა მიიღეს დენ ბენ ფუს ველზე მდებარე №4-ე გზატკეცილისთვის სახელგანთქმულ ბრძოლაში.

მიუხედავად უმძიმესი მდგომარეობისა, გარნიზონის სრული ბლოკადის პირობებში მედესანტე-ლეგიონერებმა პოზიციები მანამ არ დათმეს, სანამ სარდლობის ბრძანება არ მიიღეს.

ინდოჩინეთიდან ჯარების გაყვანის შემდეგ ლეგიონერთა მებრძოლი სული შესამჩნევად დაეცა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის სახელმწიფოს არმიის სარდლობა უცხოური ლეგიონის პარაშუტისტთა მომზადებას უმაღლეს შეფასებას აძლევდა. ამიტომაც გადაწყდა ბატალიონების ბაზაზე ორი საპარაშუტო-სადესანტო პოლკის შექმნა.

## დაბადებიდან გაუქმებამდე

პირველი ბატალიონის საბრძოლო დროშისა და ტრადიციების მემკვიდრე 1955 წელს სექტემბერში ფორმირებული პირველი უცხოური საპარაშუტო პოლკი გახდა, ხოლო ამავე წლის დეკემბერში მე-2 და მე-3 ბატალიონების ბაზაზე უცხოური ლეგიონის მე-2 საპარაშუტო პოლკი – 2 RE შეიქმნა.

ორივე პოლკი ერთობ აქტიურად მონაწილეობდა ალჟირის ნაციონალური ფრონტის წინააღმდეგ ბრძოლებში 1956 წელს.

ალჟირში ლეგიონერებმა ოპერაცია „შამპანი“ ჩაატარეს. იგი გულისხმობდა საცხოვრებელი რაიონების მეთოდურ შემოწმებას ნაციონალური ორგანიზაციის აქტივისტების აღმოჩენისა და დაკავების მიზნით. პარაშუტისტები ალყაში აქცევდნენ მთელ უბნებს, ჩხრეკდნენ და აპატიმრებდნენ აქტივისტებს. მათ მეთაურობდა პოლკოვნიკი გარდერი – დაზვერვის ოფიცერი, რომელიც ადგილობრივ პირობებს ზედმიწევნით კარგად იცნობდა. არაბთაგან ყველა, ვისაც პირადობის მოწმობა არ ჰქონდა, პოტენციურ აჯანყებულად ითვლებოდა, მათ აპატიმრებდნენ და დაკითხვებს უტარებდნენ. ერთ-ერთი ასეთი შემოწმებისას ლეგიონერებს ძლიერი შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. დახმარების გამოძახების შემდეგ მათ მთელი უბნის ნანგრევებად ქცევა და დაკავება მოახერხეს. როგორც გაირკვა, წინააღმდეგობა იმით იყო გამოწვეული, რომ ამ ადგილებში თავს აფარებდა ალჟირის ეროვნული წინააღმდეგობის პარტიის ლიდერი იასეფ სადა. ამიტომ ლეგიონერებმა მოქმედება უფრო გაამკაცრეს, რაც იასეფ სადას დაპატიმრებით დამთავრდა. სამდღიანი მკაცრი დაკითხვის შემდეგ მოჯანყეთა ლიდერმა ყველა თანამოაზრის ვინაობა დაასახელა. ეს მოვლენა სეპარატისტებისთვის დიდი დარტყმა იყო. ამის შემდეგ ალჟირის ქალაქებში მრავალი თვის განმავლობაში სიმშვიდე დაისადგურა, რამაც საშუალება მისცა ლეგიონერებს ძალები პროვინციებში გადაენაწილებინათ.

ტებლეტ მედეას რაიონში ლეგიონერებმა მოჯანყეების წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდი გამოიყენეს. მოშორებულ რაიონებში ოპერატიული მოქმედების შესასრულებლად ძალები თვითმფრინავ „პაიპერების“ ნაცვლად ვერტმფრენებით გადაისროლეს, ეს ხერხი ერთობ ეფექტიანი გამოდგა.

ალჟირში სეპარატისტული მოძრაობის ჩახშობის შემდეგ პოლკის სამეთაურო პუნქტი ვერტმფრენთა ბაზასთან ერთად ქალაქ ტულგურტში გადაიტანეს.

ალჟირელი აჯანყებულების საბოლოოდ დასათრგუნავად მხოლოდ სამხედრო ზომები არ კმაროდა, მით უმეტეს, რომ პარტიზანული ომები ძალზე გაჭიანურდა. ამის გამო საფრანგეთის პრეზიდენტმა გენერალმა დე გოლმა ომის დასამთავრებლად პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, მან ალჟირს დამოუკიდებლობა მიანიჭა, რითაც ლეგიონერების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

პრეზიდენტ დე გოლის წინააღმდეგ პუტჩის მოწყობის მცდელობის გამო 1961 წელს პირველი საპარაშუტო პოლკი გააუქმეს. ამ გადაწყვეტილების მიღებისას მისი აღრინდელი დამსახურებები არავის გახსენებია. მეორე პოლკი კი 1967 წლის ივნისში კუნძულ კორსიკაზე, ქალაქ კალვიში გადაიყვანეს.

## ოპერაცია „ლეოპარდი“

1978 წლის 13 მაისს 1500 აჯანყებული და 7000 ეგრეთ წოდებული „ვეფხვი“, „კონგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის“ ჯარისკაცები, გენერალ ნათანიელ მუმბას მეთაურობით თავს დაესხნენ ზაირში ყველაზე მდიდარი პროვინციის შაბას (კატანგა) დედაქალაქ კოლვეზის. მათი ალვირახსნილი მოქმედებები, ძარცვა და ძალადობა, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქეების წინააღმდეგ სჩა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიოდნენ, რეალურ საფრთხეს უქმნიდა 2300 ევროპელ სპეციალისტს, რომლებიც ზაირში სასარგებლო წიაღისეულის მომპოვებელ საწარმოებში მუშაობდნენ. ადგილობრივი სამართალდამცველი სტრუქტურები დემორალიზებული და ცუდად მომზადებულნი იყვნენ, მათ არ შეეძლოთ აჯანყებულთათვის წინააღმდეგობის გაწევა და ზაირის პრეზიდენტმა მობუტუმ 14 მაისს დახმარება სთხოვა ბელგიისა და საფრანგეთის მთავრობებს. ბელგიელები საზღვარგარეთ ძალისმიერი აქციის ჩასატარებლად მზად არ აღმოჩნდნენ. ფრანგებმა კი გადაწყვიტეს დამოუკიდებლად ემოქმედათ.

18 მაისს დაიწყო კუნძულ კორსიკიდან მე-2 პოლკის 620 პარაშუტისტის ზაირის დედაქალაქში გადასროლის ოპერაცია, რასაც ერთი დღე-ღამე დასჭირდა. ტექნიკისა და შეიარაღების გადასროლას ამერიკელები ახდენდნენ, რომლებიც ზაირში წესრიგის დამყარებით იყვნენ დაინტერესებული.

ოპერაციის სირთულე იმაში მდგომარეობდა, რომ საპარაშუტო დესანტი დღისით, მოწინააღმდეგის ჭარბი ძალებით სავსე რაიონში უნდა გადაესხათ.

პარაშუტისტების დასაშვებ მოედნად ძველი აეროკლუბის აეროდრომი შეირჩა. პირველ სამ ოცეულს წინასწარ ჰქონდა შერჩეული საიერიშო ობიექტი. პირველს — იოანე XXIII-ს სახელობის ლიცეუმი, რომელიც დასაშვები პუნქტიდან სამხრეთით ერთ კილომეტრში მდებარეობდა; მეორეს — საძიებომომპოვებელი კომპანია „გეტამაინეკსის" ადმინისტრაციული შენობა, დასაშვები მოედნიდან ორკილომეტრ-ნახევარში; მესამე ჯგუფს კი იერიში უნდა მიეტანა სასტუმრო „იმპალაზე", სადაც დაზვერვის მონაცემებით მძევალთა ნაწილი იყო დატყვევებული. შემდეგ ჯგუფს თავისი კონტროლისთვის უნდა დაექვემდებარებინა ფოსტა და პოზიციები ქალაქის მისადგომებთან. მიუხედავად სირთულეებისა, დესანტირება წარმატებით ჩატარდა. როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, აჯანყებულები არ ელოდნენ საჰაერო დესანტის გადმოსხმას. ამიტომ ლეგიონერებს დასახული ამოცანების შესასრულებლად მხოლოდ ორი საათი დასჭირდათ. თუმცა დესანტმა მაინც დაიგვიანა. წინა დღეს აჯანყებულებმა ხოცვა-ჟლეტა მოაწყვეს — ქალაქ კალვეზის მრავალი მშვიდობიანი მოქალაქე დახვრიტეს, რომელთა შორის 91 თეთრკანიანი იყო. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ ლეგიონერებმა „ვეფხვების" შეუბრალებელი ჟლეტა დაიწყეს, რომლებსაც სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდათ.

19 მაისს აჯანყებულთა მოზრდილი რაზმი შეეცადა, იერიში მიეტანა მესამე ჯგუფის პოზიციებზე, მაგრამ იერიშზე გადასულებს მედგარი წინააღმდეგობა დაუხვდათ, ნახევარზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს შეტევისას და იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. ამ დროისთვის კი სხვა ჯგუფმა მოახერხა ხელში ჩაეგდო ტყვია-წამლით დატვირთული ეშელონი, რითაც ძალზე დაასუსტა მოჯანყეები. საღამოს ორი ჯავშანტრანსპორტიორის დახმარებით „ვეფხვები" შეტევის გამეორებას შეეცადნენ, მაგრამ კვლავ მარცხი განიცადეს — ორივე საბრძოლო მანქანა და ცოცხალი ძალის დიდი ნაწილი დაკარგეს და ისევ უკან დაიხიეს. ოც რიცხვში, დილით, ქალაქის გარეუბანში ჩამოსხეს პოლკის მეოთხე ასეული, რომელმაც მესამესთან ერთად მთლიანად დაიკავა ქალაქი კალვეზი და მისი მიმდებარე გარეუბნები კემპ-ფორესტი და მანიკა. რაიონი მოჯანყეთა წვრილმანი ჯგუფებისგან გაიწმინდა. ამ დროისთვის ცნობილი გახდა, რომ „ვეფხვების" დიდი ჯგუფი, დაახლოებით 300 კაცი, რომლებსაც მძევლებად 40 თეთრკანიანი ჰყავდათ, ანგოლაში გადასვლას ლამობდა. მეოთხე ასეულს, რომელიც დაზვერვის ოცეულთა და ნაღმმტყორცნელთა რაზმით იყო გამაგრებული, უბრძანეს, ხელი შეეშალა მოწინააღმდეგის მოქმედებებისთვის. დასახლებულ პუნქტ მეტალ-შაბადან დაახლოებით ათი კილომეტრის დაშორებით აჯანყებულები ორი ტანკის დახმარებით შეეცადნენ, იერიში მიეტანათ ლეგიონერთა პოზიციებზე. საბოლოოდ ორივე ტანკი და ცოცხალი ძალის მეოთხედი დაკარგეს. მძევლები კი ლეგიონერებმა უვნებლად გაათავისუფლეს.

ოპერაცია „ლეოპარდი" 25 მაისს აჯანყებულთა სრული მარცხით დამთავრდა, მათ დახოცილთა სახით სამასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს. ლეგიონერთაგან დაიღუპა მხოლოდ ხუთი, ოცდახუთი კი დაიჭრა. ევროპელთა ძირითადი ნაწილი, დაახლოებით 95 პროცენტი, რომელიც მძევლად იყო აყვანილი, გადარჩა.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში პოლკის ქვედანაყოფები არაერთხელ მონაწილეობდნენ დამოუკიდებლად GEO-ს საგანგებო და სამშვიდობო ოპერაციებში. მაგალითად, პირველმა ასეულმა სახელი მოიხვეჭა ჩრდილოეთ აფრიკაში, ბანგისა და ბრაზავილში, მე-2 ასეულმა უმაღლესი შეფასება მიიღო ბოსნიაში სამშვიდობო მისიისთვის. ცოტა უფრო ადრე კი, 1976 წელს, ჯიბუტიში და გაბონში 1990 წელს, ამფიბიურმა ასეულმა თავი გამოიჩინა რუანდაში, სარაევოსა და ბანგიში; პარაშუტისტების ასეულმა კი თავი ისახელა ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხლის" მსვლელობისას, მან ერაყის ფორტი ალ-სალმანი დაიკავა.

## პოლკის სტრუქტურა და მისი ქვედანაყოფები

მეორე უცხოური საპარაშუტო პოლკი დღეისათვის კუნძულ კორსიკაზე ქალაქ ბალანშია განლაგებული. ლეგიონის ჯარისკაცთა რიცხვი 1050-ს შეადგენს. მათი ხელფასი 30 პროცენტით აღემატება საფრანგეთში დისლოცირებულ პოლკების ჯარისკაცთა გასამრჯელოს. პოლკი საფრანგეთის საპარაშუტო დივიზიის შემადგენლობაში ირიცხება და მისი ხელმძღვანელობით მოქმედებს.

პოლკი შედგება სამმართველოსგან, შტაბისა და შვიდი ასეულისგან. ოთხი მათგანი, ინდივიდუალური სპეციალობებით, სამხედრო მოქმედებებისთვის არის მომზადებული, დანარჩენი სამი კი უზრუნველყოფის ქვედანაყოფებს წარმოადგენს. პირველი საპარაშუტო ასეული სპეციალიზებულია ქალაქში საბრძოლველად, ტანკების გასანადგურებლად და ღამით საბრძოლო მოქმედებების ჩასატარებლად. ქალაქში საბრძოლო მოქმედებებში ვარჯიშები ტარდება საგანგებოდ მოწყობილ პოლიგონზე - „საომარ სოფელში", კუნძულ კორსიკაზე.

ღამით საომარი მოქმედებებისთვის ჯგუფის საომარი შაშხანები ლაზერული სამიზნეებით, მაყურებითა და ალჩამხშობებითაა აღჭურვილი, რაც ორმაგად ამძაფრებს პირობით მოწინააღმდეგეზე თავდასხმის დროს მოულოდნელობის ეფექტს. მებრძოლთა არსენალშია თოფები, რომლებიც კარტეჩსა და საფანტს ისვრიან, შეუძლიათ აგრეთვე ცრემლსადენი გაზიანი მუხტის გასროლა. შენობაში შესაღწევად სპეცრაზმელები იყენებენ საგანგებო ტრაპებსა და საიერიშო კიბეებს. მეომრები კარგად ფლობენ საქალაქო ალპინიზმის ხერხებსა და მეთოდებს.

მეორე საპარაშუტო ასეული დაოსტატებულია მთიან რელიეფზე საომარ მოქმედებებში და ექსტრემალურ კლიმატურ პირობებში, უმეტესად ზამთარში სამოქმედოდ. მაღალმთიან ადგილებში, დაბალი ტემპერატურის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლისუნარიანობის შენარჩუნებას. ამიტომაც ველურ გარემოში თავის გადარჩენის ჩვევების გამომუშავებას ყველაზე დიდი ყურადღება ეთმობა. ჯარისკაცებს ასწავლიან მთებში კარვის დადგმას, თოვლისგან საფარის აშენებას, ქოხებისა და მიწურების მოწყობას და ა.შ.

ლეგიონერები სწავლობენ თხილამურებით სრიალს, ითვისებენ მეკლდეურთა უნარჩვევებს, სხვადასხვა სიმაღლიდან დაშვებას, სწავლობენ მთაში დათოვლილ ფერდობებზე ჩაბმულად გადაადგილებას.

მაღალმთიან ადგილებში ბრძოლის ეფექტიანობის ასამაღლებლად ლეგიონერები ვარჯიშობენ პირადი იარაღით ზემოდან ქვემოთ და ქვემოდან ზემოთ სროლას.

ასეულის საჰაერო-სადესანტო მომზადებას განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს — პროგრამაში შედის პარაშუტის იძულებითი გახსნით თოვლზე დესანტირება. მესამე საპარაშუტო ასეულის ამოცანაა საზღვაო დესანტის მოწინავე დისტანციებზე მოქმედება. ლეგიონერებს ევალებათ იმ სანაპირო ზოლის დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, სადაც საზღვაო დესანტის გადასხმაა დაგეგმილი. ამასთან, მათი ვალია დესანტის გადმოსხმამდე ბრძოლით დაიკავონ და შეინარჩუნონ სანაპიროზე განლაგებული პლაცდარმები.

საბრძოლო მეცადინეობის დროს ლეგიონერების ძირითადი ნაწილი მომზადებას ერთ-ერთ ძირითად სპეციალობაში გადის. მაგალ-



თად, ეუფლება სახმელეთო ჯარების მყვინთავის პროფესიას (Plonger Armee de Terre - PAT). თუ ლეგიონერს მყვინთავის საბაზო კურსი აქვს გავლილი, რომელიც სუნთქვის და სქემის მქონე აპარატით 300 ჩაყვინთვას მოიცავს, მას შეუძლია Io (Intervention offensif – შეტევითი მოქმედებები) შესარჩევ კურსში მიიღოს მონაწილეობა, სადაც დახურული სასუნთქი სქემის აპარატებით ყვინთვას ასწავლიან სახმელეთო ჯარების ოპერაციებში მონაწილეობისთვის.

წელიწადში რამდენჯერმე მე-3 ასეული მონაწილეობს საფრანგეთის საზღვაო-სამხედრო ფლოტის მანევრებში, რომლის დროსაც ლეგიონერები წყალზე ახდენენ დესანტირებას (ასევე ვერტმფრენებიდან დაბალი სიმაღლიდან) უპარაშუტოდ, წყალქვეშა ცურვის საშუალებებით აღჭურვილნი პირდაპირ ზღვაში ხტებიან.

ლეგიონერთა მე-4 საპარაშუტო ასეულის ამოცანებში შედის მოწინააღმდეგის ზურგში მცირერიცხოვანი ჯგუფებით საომარი მოქმედებების წარმოება, სნაიპინგი და ძირგამომთხრელი მუშაობა.

ლეგიონში ძალზე დაფასებულია სნაიპერების ოსტატობა — პროფესიონალიზმის წყალობით, მათ საბრძოლო ამოცანების გადაწყვეტა ენერგიის მინიმალური დახარჯვით შეუძლიათ.

ლეგიონერები კარგად იცნობენ სხვადასხვა ასაფეთქებელ ნივთიერების და მათზე მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. გარდა იმისა, რომ ასეულის შემადგენლობა კარგად არის დაუფლებული იარაღს, სარდლობა მას ლაბორატორიის სახით, ახალი სისტემის იარაღის ეფექტიანობის შესაფასებლადაც იყენებს. სწორედ ამ ასეულის ჯარისკაცებმა გამოსცადეს ბრძოლებში მსუბუქი ტყვიამფრქვევი „მინიმი“, ბრიტანული საიერიშო შაშხანა L-96A1, მსხვილკალიბრიანი (12,7მმ) სნაიპერული შაშხანა „ბარეტი“, „გეკატა-2“ და ბრიტანული სნაიპერული შაშხანა „სუპერმაგნუმი“. ამ ასეულის ბაზაზე ხდება ახალი საშტატო სტრუქტურების ვარგისიანობის შემოწმება.

სხვა შენაერთების ინტერესებიდან გამომდინარე, დაზვერვისა და მხარდაჭერის ასეულის მოვალეობაა სადაზვერვო მონაცემების მოპოვება და ბრძოლაში მხარდაჭერა. დაზვერვა ცალკე აღნიშვნის ღირსია. მას მტრის ღრმა ზურგში აწარმოებს მზვერავთა ოცეული და პარაშუტისტების ჯგუფი (G roup de Commandos Parachutistes GCP). ამ დროს კომანდოსები იყენებენ საგანგებო ვიდეოკამერას, რომელსაც საბრძოლო მდგომარეობის გამოსახულების გადაცემა დანიშნულების ადგილზე რეალურ დროში შეუძლია. ასეთი ტექნიკა საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ ისეთ ქვედანაყოფებს აქვთ, რომლებსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა აკისრიათ. GCP შედგება ოცდახუთი უნტერ-ოფიცრისა და ოფიცრისგან, რომლებიც ორ ათეულად არიან გაყოფილნი (თითოში ათი კაცი, პლუს მეთაური). ჯგუფებში შეჰყავთ მოხალისე ლეგიონერები, რომლებმაც პოლკში არანაკლებ ორ წელიწადს იმსახურეს და კაპრალზე ნაკლები ჩინი არ აქვთ. მას შემდეგ, რაც კანდიდატებს შეარჩევენ, ისინი პირენეებში დამატებით ინტენსიურ მომზადებას გადიან, შემდეგ მათ საპარაშუტო მომზადების ცენტრში აგზავნიან პარაშუტისტ-ოპერმუშაკის კვალიფიკაციის მისაღებად. GCP-ს ჯარისკაცების საშუალო ასაკი სხვა ქვედანაყოფებთან შედარებით ოდნავ მაღალია და 28-30 წელიწადს შეადგენს. ისინი ძირითადად იტალიელები, ესპანელები და ბრიტანელები არიან. მათ შორისაა რამდენიმე გერმანელი და ამერიკელი. საომარი მოქმედებების დროს წარმატების მიღწევა მათ მონდომებასა და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებებზეა დამოკიდებული.

დლეისთვის მე-11 საპარაშუტო-სადესანტო დივიზიის ყველა საპარაშუტო პოლკს ჰყავს ერთი ან ორი BCP ჯგუფი, რომლებიც საგანგებო მართვადი პარაშუტებით არიან აღჭურვილი. კომანდოსები კარგად ახერხებენ ჰაერში ორიენტირებას. შეყოვნებული გადმოხტომის შემთხვევაში, შეუძლიათ ზუსტად დაეშვნენ უშუალოდ მიზნად დასახული ობიექტის სიახლოვეს, შეზღუდული ფართობის მოედანზე, რომელიც დაახლოებით 90 კვადრატულ მეტრს მოიცავს. სპეცსამსახურ Direction Generale de la Securite Exterieure (DGSE) — საგარეო უსაფრთხოების გენერალურ დირექციას, რომელიც საგარეო დაზვერვასაც აწარმოებს, შეუძლია GCP ჯგუფები გამოიყენოს საზღვარგარეთ სპეციფიკური ოპერაციების ჩატარებისას.

ამ ოპერაციების უმრავლესობას სპეციალური საპარაშუტო ცენტრის (Centre Parachutiste d,Instruction Szusialise) მომზადებული და გაწვრთნილი მეომრები ატარებენ. პოლკში არ არის ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებოდ მომზადებული ქვედანაყოფი. თუმცა GCP-ს მეომრები პერიოდულად გადიან სამხედრო წვრთნებს საფრანგეთის ანტიტერორისტულ ქვედანაყოფებთან ერთად, მაგალითად, GIGN-თან ერთად.

GCP მუდმივად ატარებს წვრთნებს არმიის სპეცდანიშნულების ნაწილებთან ერთად, რადგან იგი ოპერატიულად საგანგებო ოპერაციების ხელმძღვანელობას ემორჩილება.

## ეპილოგი

როცა ლეგიონის პარაშუტისტები შორ პატრულირებას არ ახდენენ, არც მოწინააღმდეგის ტანკებს ებრძვიან და ავიაციას ცეცხლის ზუსტ კოორდინატებს არ უჩვენებენ, მაშინ დაზვერვითი ინფორმაციის მოპოვებითა და მათი ანალიზით არიან დაკავებულნი. ინფორმაცია მოიცავს მოსალოდნელი საომარი მოქმედებების რეგიონის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებს, ეკონომიკას, ეთნიკურ შემადგენლობას, ტრადიციებსა და სხვა სპეციფიკურ თავისებურებებს.

გარდა ამისა, ლეგიონის პარაშუტისტები მუდმივად თვალს ადევნებენ მიმდინარე კონფლიქტებს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ჩეჩნეთის, ახლო აღმოსავლეთისა და ავღანეთის ომებს, და სამხედრო გამოცდილებას იღრმავებენ.

ლეგიონერთა სამხედრო მომზადების სრულყოფა ყოველდღიურად მიმდინარეობს. ისინი სხეულსა და სულს ერთნაირი მონდომებით ავარჯიშებენ, პარაშუტით ხტებიან კორსიკის ნებისმიერ მონაკვეთში, ნებისმიერ დროს, ატარებენ სანაპიროზე გადმოსხდომის სასწავლო ოპერაციებს, იერიში მიაქვთ თოვლიან კლდეებზე და თხილამურებით თავბრუდამხვევი სისწრაფით ეშვებიან მწვერვალებიდან, რათა ყოველთვის მზად იყვნენ, ნებისმიერ მომენტში გაჩნდნენ ყველაზე მძაფრი დაპირისპირების ადგილას, სადაც კი საფრანგეთის სწრაფი რეაგირების ნაწილები მონაწილეობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რითი ებრძვიან ებრაელები და არაბები ერთმანეთს

**თითქმის ერთი თვეა, რაც ბრძოლები არ წყდება ისრაელი-ლიბანის საზღვარზე. ებრაელი კაპრალისა და ორი ჯარისკაცის გატაცებამ ისრაელის არმია „ცახალი" ჯერ ღაზის სექტორისკენ დაძრა, „ჰამასის" ტერორისტული გამოხდომების აღსაკვეთად, მოგვიანებით კი ებრაელი ჯარისკაცები მეორე ფრონტზეც, ლიბანის საზღვართანაც გამოჩნდნენ.**



საბრძოლო დაპირისპირების პირველი კვირები წმინდა დისტანციურ ხასიათს ატარებდა. „ჰეზბოლაჰი" ებრაული ქალაქებისკენ უმართავ „გრადების" რაკეტებს (რომლებსაც ებრაელები რატომღაც „კატიუშებად" ნათლავენ, თუმცა „გრადი" „კატიუშაზე" ბევრად მძლავრია) უშვებდა, სამაგიეროდ ებრაელი პილოტები წერტილოვან სარაკეტო დარტყმებს აყენებდნენ „ჰეზბოლაჰის" სარაკეტო დანადგარების პოზიციებს.

22 ივლისს ისრაელის არმიის დანაყოფებმა ლიბანის საზღვარი გადალახეს და სახმელეთო ოპერაცია დაიწყეს არა მარტო სარაკეტო დანადგარების, არამედ მთლიანად „ჰეზბოლაჰის" გასანადგურებლად.

მკითხველისთვის საინტერესო იქნება, ასეთ რა ძალას ფლობს ოციოდე წლის წინ შექმნილი და ტერორისტულად აღიარებული ორგანიზაცია, რომ ბრძოლაში ისრაელის მთელი არმია გამოიწვია.

რა თქმა უნდა, ძალები არათანაბარია, მაგრამ „ჰეზბოლაჰის" სამხედრო შესაძლებლობები ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ირანის წყალობით. ყოველ შემთხვევაში, ამას ამტკიცებენ ებრაელი სამხედროები.

„ჰეზბოლაჰის" სამხედრო ფრთას თავისი სახელი აქვს – „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა" და მასში დაახლოებით 6500 კაცია გაერთიანებული. ისინი გადანაწილებული არიან ბექაას ველზე,

## რას წარმოადგენს ისრაელის „ცახალი" და შიიტური „ჰეზბოლაჰი"

სამხრეთ ბეირუთსა და ლიბანის სამხრეთში.

ბრძოლების დაწყებამდე სამხრეთ ბეირუთში „ჰეზბოლაჰს" ორი ქვეითი ბატალიონი ჰყავდა განთავსებული (თითოეული ბატალიონის შემადგენლობა 252 კაცს აღწევს). მათგან ერთი მოტორიზებული იყო. ბექაას ველზე შვიდი ბატალიონი იდგა, ისევე როგორც სამხრეთ ლიბანში.

„ჰეზბოლაჰის" მებრძოლები ძირითადად საბჭოთა, ჩინური და ირანული წარმოების „კალაშნიკოვებით" (АК-47, АКМ, АК-74) და ამერიკული М16-ებით არიან შეიარაღებული. მათ არსენალშია ასევე РПК, РПК-74, РПД და ПК ტიპის ტყვიამფრქვევები და РПГ-7 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები.

ისრაელის ნაქებ „მერკავას" ძველი საბჭოთა РПГ-7-დან ან მისი ირანული ასლიდან Saghegh-იდან ნასროლი კუმულაციური ქობინიანი რაკეტით ძნელად თუ ააფეთქებთ. ამიტომაც „ჰეზბოლაჰი" ებრაული ჯავშანტექნიკის წინააღმდეგ უფრო სერიოზულ ტანკსაწინააღმდეგო იარაღს იყენებს. მაგალითად: საბჭოთა მართვად რაკეტებს „მალიუტკას", „ფაგოტს", „კონკურსსა" და ამერიკულ Tow-ის ირანულ ასლს Toophan-2-ს. ირანელი სპე-



ისრაელის ავიაციამ ბეირუთში მორიგი წერტილოვანი დარტყმა განახორციელა



„ჰეზბოლაჰი“ ძალებს არ იშურებს ისრაელისთვის მაქსიმალური ზიანის მისაყენებლად...



ციალისტების განცხადებით, ამ უკანასკნელს ტანკის დინამიკური დაცვის აფეთქების შემდეგ კიდევ 760 მმ სისქის ტანკის ჯავშნის გახვრეტა შეუძლია.

„ჰეზბოლაჰის“ მთავარი იარაღი, რომელიც ბევრად ძლიერ ისრაელის არმიასაც აიძულებს, ანგარიში გაუწიოს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციად მიჩნეულ გასამხედროებულ შენაერთს, რა თქმა უნდა, რაკეტებია. კერძოდ კი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, რომლებიც მაღალი გამავლობის სატვირთო ავტომობილებზეა დამონტაჟებული. ისინი მაღალი მობილურობით გამოირჩევიან, უმართავი რაკეტების ზალპის შემდეგ რამდენიმე წუთში, ტოვებენ სასროლ პოზიციას და ებრაულ „აპაჩებსა“ და „ფალკონებს“ უკვე უჭირთ მათი აღმოჩენა.

ისრაელის დაზვერვის მონაცემებით, შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე „ჰეზბოლაჰის“ განკარგულებაში იყო ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების შემდეგი სახეობები: 122 მმ კალიბრიანი „გრადისა“ და მისი ირანული ასლის „არაშის“ 76 ერთეული დანადგარი, 107 მმ კალიბრიანი ჩინური წარმოების ბუქსირებადი, ზალპური ცეცხლის რეაქტიული დანადგარი და მისი ირანული ასლი „ჰასემი“ – სულ 244 ერთეული (აქედან გაშვებული რაკეტა 8,5 კმ-ზე მიფრინავს, მაშინ როდესაც „გრადი“ თითქმის 21 კმ-ს ფარავს).

გარდა ამისა, „ჰეზბოლაჰს“ აქვს რამდენიმე 240 მმ კალიბრიანი ირანული წარმოების ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა „ფაჯრი-3“, რომლის რაკეტები 30 კმ-ზე მიფრინავენ. დაგეგმილი იყო ირანისგან „ფაჯრი-5“-ების ყიდვაც, რომლიდანაც გაშვებული რაკეტა უკვე 50 კმ-ს ფარავს.

„ჰეზბოლაჰის“ არსენალი ითვლიდა 7,500 ცალ 107 და 122 მმ კალიბრიან რაკეტას, რაც პრინციპში დადასტურდა კიდევაც, რადგან ებრაულ ქალაქებს ყოველდღიურად 50-80 რაკეტა მაინც ეცემა.

გარდა ამისა, „ჰეზბოლაჰის“ შეიარაღებაშია რამდენიმე ათეული სხვადასხვა კალიბრის ნაღმსატყორცნი, ავტომატური საზენიტო ქვემეხები და გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ოღონდ შედარებით მოძველებული (ძირითადად „სტრელა-2M“) ტიპის.

სწორედ ამიტომაც იყო, რომ ისრაელი ყოველნაირად ცდილობდა, ჩაეშალა რუსეთის მიერ სირიისთვის „იგლას“ ტიპის თანამედროვე საზენიტო რაკეტების მსროლელი დანადგარების მიყიდვის პროცესი, რადგან თელ-ავივში არცთუ უსაფუძვლოდ მიიჩნევენ, რომ რუსული იარაღი „ჰეზბოლაჰის“ ხელში სწორედ სირიისა და ირანის გავლით ხვდება.

რაც შეეხება ისრაელს, მისი რეგულარული შეიარაღებული ძალები 168,3 ათას კაცს ითვლის. აქედან სახმელეთო ჯარებში 125 ათასი მსახურობს, რომელთა შეიარაღებაშია ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტების 20 კომპლექსი, 3.657 ტანკი (მათ შორის სხვადასხვა მოდიფიკაციის 1.681 „მერკავა“), 10.420 ჯავშანმანქანა, 1700-მდე სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო დანადგარი (მათ შორის 212 ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა და 960 თვითმავალი საარტილერიო დანადგარი), 1.890 ნაღმსატყორცნი და სხვა.

ისრაელს 402 საბრძოლო თვითმფრინავი და 100 დამრტყმელი შვეულმფრენი, სამი წყალქვეშა ნავი, ამდენივე კორვეტი, 10 სარაკეტო და 31 საპატრულო კატარღა და სადესანტო ხომალდი ჰყავს.

ადვილი მისახვედრია, რომ ძალები არათანაბარია, მაგრამ მიუხედავად ამხელა უპირატესობისა, ისრაელის არმიას მაინც უჭირს დასახული ამოცანის მოკლე დროში რეალიზება.

ზემოხსენებული აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათ, ვისაც ცხინვალის რეგიონში ომი უბრალო „გასეირნებად“ წარმოუდგენიათ... ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ სხვის მაგალითზე სწავლა სჯობია საკუთარ შეცდომებზე სწავლას...

**ირაკლი ალადაშვილი**





ისრაელი ერთი-ათად უბრუნებს „ჰეზბოლაჰს“ სასიკვდილო „ამანათებს“



# NLOS-Cannon

უკვე სამ წელზე მეტია მსოფლიოში ცნობილი სამხედრო თამაში სტრაიკბოლი თანდათან საქართველოშიც პოპულარული ხდება. ქართველი ბიჭებიც სიამოვნებით ერთობიან და საგანგებოდ შერჩეულ საბრძოლო პოლიგონებთან ახლოს მცხოვრებ მოქალაქეებს ხშირად უჩენენ თავსატეხს. სათამაშო ავტომატებისა და ბომბების გრგვინვასა თუ ტკაცუნში ხალხს ვერ გაუგია, ომის შუაგულში აღმოჩნდნენ თუ მოჩვენებები დაეწყოთ...

ვინც თბილისის ინტერნეტ-ფორუმზე სამხედრო გვერდის ხშირი სტუმარია, აუცილებლად შეამჩნევდა ქართველი სტრაიკბოლისტების აგრესიულ თვითრეკლამას. ყოველი მეორე თემა სტრაიკბოლის გარშემო ტრიალებს და ხშირად დაახლოებით ასეთ სურათამდე მივდივართ: რომელიმე არასტრაიკბოლისტი წამოჭრის რაიმე (სხვა, განკერძოებულ) თემას და აგროვებს მოსაზრებებს. თუმცა როგორც კი ფორუმში სტრაიკბოლისტი მოხვდება, თემატურობა ნელ-ნელა იცვლება... ვფიქრობთ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რა მიმართულებით...

ასეთი გამალებული პიარი მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ქართულ სტრაიკბოლს ნამდვილი ენთუზიასტები უდგანან სათავეში და ცდილობენ ეს გართობა საყოველთაო თუ არა, ფართო მასებისთვის გასაგები და ხელმისაწვდომი გახადონ...

„არსენალმა" გადაწყვიტა, ხელი შეეწყო ქართველი სტრაიკბოლისტების წამოწყებისთვის და გაეშუქებინა მათი საქმიანობა. ამიტომაც ჟურნალისტი საგანგებო დავალებით მივავლინეთ „ბრძოლის ველზე." გადაწყვეტილება ოდნავ ორიგინალური გამოგვივიდა: სამხედრო რეპორტიორად გოგონა ვაქციეთ. ჩვენი აზრით, „საბრძოლო ოპერაციებს" ქალი უფრო ობიექტურად განსჯიდა, რადგან, მამაკაც ჟურნალისტებს სამხედრო თამაშის გაგონებაზე თვალები ძალიან საეჭვოდ აენთოთ და მივიჩნიეთ, რომ ისინი არცთუ ობიექტურები იქნებოდნენ თამაშისა და მისი მონაწილეების შეფასებისას..



ამ თამაშით კაცი ცოტაოდენ სამხედრო ცოდნასაც იძენს. საომარ სიტუაციაში ჩავარდნის შემთხვევაში მართალია აქაური გამოცდილება ბევრად ვერაფერს წაგადგება, მაგრამ იმას მაინც ხვდები რომ დამალვა, სანგრის თხრა და შეთანხმებული მოქმედება აუცილებელია

# სტრაიკბოლი

არ მეგულება ჟურნალისტი, რომელსაც ბრძოლის ველიდან რეპორტაჟის მომზადებაზე არ უოცნებია. შეიძლება ითქვას, ახლახან ნაწილობრივ ავიხდინე ოცნება. პირდაპირ ფრონტის წინა ხაზზე ვადევნებდი თვალს ორი მხარის დაუნდობელ დაპირისპირებას. ბრძოლა თბილისის გარეუბანში, ბაგებში მიმდინარეობდა, ტყის პირას, მიტოვებულ მშენებლობაზე. თბილისელი ბიჭები მსოფლიოში ცნობილი და პოპულარული თამაშით, სტრაიკბოლით ერთობოდნენ. ამიტომაც ეს არ იყო სისხლისმღვრელი ბრძოლა. როგორც „მეომრები" ამბობენ, თამაში ძალიან ჰგავს ნამდვილს და მოწინააღმდეგეებს პირისპირ შეხვედრისას ისეთივე გრძნობა უჩნდებათ, როგორიც ჯარისკაცებს ომში. მათი არ ვიცი, მაგრამ მე „ბრმა ტყვიის" მოლოდინში ადრენალინი ბლომად დავხარჯე. უბედური შემთხვევისგან მხოლოდ თვალები მქონდა დაცული. ბიჭებმა დიდსულოვნად მათხოვეს თამაშისთვის აუცილებელი ატრიბუტი — სათვალე. ამასთან მიბრძანეს, მკლავზე რაიმე ფერადი შემება, რათა არც ერთ მხარეს არ ავრეოდი სამიზნეში. ალბათ, ამის შემდეგ ერაყში, ავღანეთში და პალესტინაშიც აღარ გამიჭირდება რეპორტაჟების მომზადება.

საქართველოში სტრაიკბოლს მრავალწლიანი ისტორია არ აქვს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენი ბიჭები არაერთ უცხოელ კოლეგას აღენენ ცხვირში ძმარს. ქალის თვალისთვისაც კი იოლად შესამჩნევია „მეომრების" მოხერხებულობა და ტაქტიკური გათვლის უნარი.

სტრაიკბოლი განსაკუთრებით პოპულარულია ევროპასა და იაპონიაში. ამ თამაშს თავისებური წესები აქვს და იარაღიც განსაკუთრებული სჭირდება — სტრაიკბოლის სპეციალური თოფი, რომელიც ექვსმილიმეტრიან ტყვიებს ისვრის. კარგი იარაღი 500 დოლარი ღირს. ვისაც სპეციალური იარაღის შეძენა არ შეუ-



ძვირად ღირებულ უცხოურ მოდელებთან ერთად სტრაიკბოლისტების შეიარაღებაში იაფფასიანი და თვითნაკეთი მოდელებიც ბევრია...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლია, თბილისის ბაზრობებზე საბავშვო ვინჩესტერებს ყიდულობს და სტრაიკბოლის თოფებად გადააკეთებს. მთავარია, იარაღი მხოლოდ ექსმილიმეტრიან ტყვიებს ისროდეს. თამაშში გამოიყენება სპეციალური ტყვიები ან ისევ ბაზრობაზე ნაყიდი სათამაშო თოფების პლასტმასის ბურთულები. ბრძოლის დროს ერთ მეომარს 200-იდან 500 ცალამდე ტყვია სჭირდება. თუმცა ზოგი ისე თამაშობს, 50 ტყვიასაც არ ისვრის. როგორც ქართველმა სტრაიკბოლისტებმა ამიხსნეს, სულაც არ არის საჭირო ტყვიების მთელი მარაგი ერთ დღეს დახარჯო...

ბიჭები თამაშისთვის ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან სხვადასხვა პოლიგონზე. იმ დღეს ომი ბაგებში „გამოცხადდა“. შეხვედრის ადგილზე პირველები მივედით თქვენი მონა-მორჩილი, საქართველოში სტრაიკბოლის სულისჩამდგმელი უჩა აბაშიძე, მეტსახელად „კიბორგა“ და ერთ-ერთი მეომარი „მისტერ ჩე“ (ბიჭებმა მთხოვეს, ყველა მათგანი მეტსახელებით ან მხოლოდ სახელებით მეხსენებინა.). მალევე შემოგვიერთდნენ „ზუმი“, „ლეონი“, „ბე ემ ვე-ბე“, „გროკი“, „აკაცია“, „აკნოტა“, „დეპადელი“ და სხვები. მეომრების ასაკი 17-დან 34 წლამდე მერყეობს. ზოგჯერ უფრო „მოხუცებიც“ მოდიან. მათ შორის ყველა პროფესიის წარმომადგენელს ნახავთ, საპატრულო პოლიციელს და სკოლის დირექტორსაც კი.

თამაშის დაწყებამდე ბიჭები სამხედრო ფორმებს იცვამენ. როგორც უჩა მიხსნის, რადგან სტრაიკბოლის მიზანია რეალურ ომთან მაქსიმალური მსგავსება, აუცილებელია რაზმები რომელიმე ქვეყნის სამხედრო დანაყოფის ფორმით იყვნენ წარმოდგენილი. მოთამაშე ნამდვილი ჯარისკაცივით უნდა აღიჭურვოს ჯავშანჟილეტით, ჩაფხუტითა და ყველა საჭირო საბრძოლო აქსესუარით. ქართველი სტრაიკბოლისტების ლაშქარი ამ მხრივ სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს. ბიჭები იმას იცვამენ, რაზეც ხელი მიუწვდებათ. ზოგიერთს სამხედრო ფორმა არც აქვს, ურჩევნიათ, კარგი იარაღი იყიდონ. ეს უფრო მნიშვნელოვანია სტრაიკბოლში, ამიტომაც არ ანაღვლებთ, რომ აღკაზმულობით პარტიზანებს ჰგვანან.

„ომის“ დაწყებამდე „მეომრებს“ ვესაუბრები. „გროკი“ და „აკაცია“ პირველად მოსულან საომრად. ძველებს უხარიათ, დღეს საზარბაზნე ხორცი „ბლომად“ გვაქვსო.

პირველი საბრძოლო ნათლობა „მწარეა“. თუ ახალი ხარ, არავინ დაგინდობს. თუ პლასტმასის ტყვიების წვიმას გაუძლებ და ტკივილის გამო ნერვები არ გიმტყუნებს, გამოდის, ბრძოლაც შეგიძლია. სტრაიკბოლში ჩართულს შესაძლოა ერთ დღეს ნამდვილ ჯარში მსახურობის სურვილიც გაგიჩნდეთ, როგორც ეს უკვე დაემართა რამდენიმე სტრაიკბოლისტს.

„გროკს“ პირველი იერიშის მოგერიება ჩემგან უწევს. რა დროს ეს არისო, უკვირს ჩართული დიქტოფონის დანახვაზე. ამაოდ ცდილობს, თავი აარიდოს.

„გროკი“: — სტრაიკბოლის შესახებ ინტერნეტფორუმიდან შევიტყვე. ყოველთვის მაინტერესებდა ომი, მაგრამ არა კომპიუტერული. ვირტუალური თამაშები, ცოტა არ იყოს, აღებილებს ადამიანებს, მაგრამ ნამდვილ ომშიც არ მინდა წასვლა. დღეს აქ ვცდი ბედს და ალბათ, მომავალშიც ვივლი...

„აკაციასაც“ არ აშინებს მოსალოდნელი მარცხი. ამბობს, რომ ეს თამაში აინტერესებს, საბრძოლო მოქმედებები მოსწონს და დღეს ცხრაჯერ რომ „მოკლან“, მაინც დაბრუნდება. სტრაიკბოლის შესახებ მასაც ინტერნეტფორუმიდან შეუტყვია. თურმე სტრაიკბოლის მოთამაშეებიდან ის ერთადერთია, რომელიც ბავშვობაში ომობანას არ თამაშობდა.

„მეომრები“ მოგროვდნენ. თითოეული „ჯარისკაცის“ გამოჩენას ბიჭები ოვაციით ხვდებიან. ვერანაირ აგრესიას ვერ ვგრძნობ. ყველა ისეთი მშვიდი და ღიმილიანია, რომ ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა იომონ. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ დიდი ფაციფუცი აქვთ, კამუფლაჟს ირგებენ, იარაღს სინჯავენ. მოკლედ, ისეთივე მზადებაა, როგორიც ნამდვილი საომარი ოპერაციის წინ. ისე სწრაფად მოძრაობენ, რომ დათვლას ვერ ვახერხებ. იქნებიან ასე, 14-მდე. სანამ ერთმანეთს „დასცხებენ“, კურიოზებს იხსენებენ ჩემს გასამხიარულებლად. თურმე ერთხელ, გაგანია „ომის“ დროს, „საბრძოლო პოლიგონზე“ ვიღაც მთვრალი ბაბუ გამოჩნდა. ბალახზე წამოწვა და მზეს მიეფიცხა. სტრაიკბოლისტები უცნობ ობიექტს არ ინდობენ, ორივე მხარეს მოწინააღმდეგე ჰგონია და ტყვიების სეტყვას უშენენ. მართალია, ტყვიით ვერა, მაგრამ შიშით კინაღამ მოუკლავთ მოხუცი. საწყალს პლასტმასის ტყვიების წვიმაში ვეღარ გაუგია, რა ხდებოდა.

ბიჭები ორ ჯგუფად იყოფიან. მალე ბრძოლის, ანუ თამაშის სცენარს შეარჩევენ. მანამდე უჩას ვთხოვ, განმიმარტოს, რას აპირებენ.

„კიბორგა“: — ყველა ქვეყანაში სხვადასხვანაირად თამაშობენ. ჩვენთან ორდროშობანას ვარჩევთ. დროშები სხვადასხვა პუნქტშია განლაგებული და დაპირისპირებული მხარეების მიზანია, მოწინააღმდეგეს დაცვის ობიექტი წაართვას. არსებობს სხვადასხვა საბრძოლო სცენარი. შეიძლება რაღაც „განაღმო“, ვიღაც ან რაღაც გაათავისუფლო და ა.შ. საბრძოლო სცენარს პოლიგონის სპეციფიკის მიხედვით ვირჩევთ. თუ „ომი“ შენობაში მიმდინარეობს, ვიღაცის გათავისუფლებაზე ან განაღმვაზე უფრო ვთამაშობთ. ტყეში შეკრების შემთხვევაში კი მთავარი დროშების მოპოვებაა...

თამაშში მონაწილე მამებს ბრძოლის ველზე პატარა ვაჟკაცებიც მოჰყავთ. სანამ მამები ომობენ, შვილები „საბრძოლო წვრთნებს“ ატარებენ. სამიზნეს ხვრეტენ და რაც მთავარია, მიბარებულ ავტომობილებსა და ტანსაცმელს დარაჯობენ. ბავშვების მოყვანის მიზეზი რომ ვიკითხე, ბიჭები გამეხუმრნენ, უსაქმოდ რომ არ ყოფილიყავი, შენთვის მოვიყვანეთ, ქალის საქმე ხომ სწორედ ბავშვების მოვლააო. ხუმრობა იქით იყოს და, სტრაიკბოლს გოგონებიც თამაშობენ. რაღა თქმა უნდა, სტრაიკბოლელ „ამორძალებზე" კარგს ვერაფერს ათქმევინებ ბიჭებს — ქალი სტრაიკბოლში „საზარბაზნე ხორცია“, სწრაფად მოძრაობა უჭირს და ვერც სროლაში გამოირჩევაო.


ჯერ ერთად არიან, მაგრამ მალე დაიყოფიან და დასცხებენ...


ერთხელ, „ომის“ დროს, „პოლიგონზე“ ვიღაც მთვრალი ბაბუ გამოჩნდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა




გუნდი ორ ნაწილად გაიყო. ჯგუფებმა დისლოკაციის ადგილები შეარჩიეს. დროშები აღმართეს (პატარა ალამი) და წინასაომარი თათბირი გამართეს. როგორც ირკვევა, ამ თამაშში შერჩეული მეთაური არ არსებობს. „მისტერ ჩე“ მიხსნის, რომ ბრძოლის წინ ყველა ერთად ამუშავებს სტრატეგიას. მომენტალურად ხდება მეომრების სამოქმედო პოზიციების შერჩევა. წინ მიმავალი ბუნებრივად ხდება მეთაური.

ბრძოლა დაიწყო. ცხადია, სტრაიკბოლის ავტომატებსა და ვინჩესტერებს ცეცხლსასროლი იარაღივით მჭექარე ხმა არ აქვს, მაგრამ იარაღის დროდადრო გაკაკანება და შეძახილი — „მოვკვდი!“ ბრძოლის შთაბეჭდილებას ნამდვილად ქმნის. როგორც კი ტყვია მოგხვდება, უნდა განაცხადო, რომ მოკვდი. ტყუილი წესის დარღვევად გეთვლება და ჯერ თამაშიდან, მერე კი საერთოდ სტრაიკბოლისტების კლუბიდან გაგაძევებენ. ეს წესი და ბიჭების გულწრფელი აღიარება ჩემს აღფრთოვანებას იწვევს.

ბიჭები მიშლიან „ომის“ დროს ფოტოების გადაღებას, ასე „გავიყიდებით“ და მოწინააღმდეგე იოლად მიძებნის ჩვენს ადგილსამყოფელსო. შავ დღეში ვარ. გამოდის, ფოტო ყველაზე მძაფრი შერკინების დროს უნდა გადავიღო, როდესაც არავინ იმალება. არადა, ამ დროს შეიძლება ტყვია მომხვდეს. მითხრეს, „ნატყვიარი“ განსაკუთრებით მწარეა ზურგში მოხვედრისასო. ამაში დარწმუნების არანაირი სურვილი არ მაქვს.

აი, პირველი რაუნდიც დამთავრდა. ბრძოლა იმ ჯგუფმა წააგო, სადაც ახალბედა „გროკი“ და „აკაცია“ არიან. მიუხედავად იმისა, რომ ტყვიამ გვარიანად აუწვათ სხეული, საბრძოლო შემართება არ განელებიათ. ერთი კია, როგორც ახალბედები, სირბილისგან მალე დაიღალნენ. ხვნეშით, პირველ შერკინებას იხსენებენ და სიგარეტს აბოლებენ. ისე, ბიჭების უმრავლესობა არ ეწევა.

შესვენებაზე უჩა-„კიბორგა“ იარაღებს ათვალიერებს „აკნოტასთან“ ერთად. „აკნოტა“ მაგარი ვინმეა. ოქროს ხელი ჰქონია. ბიჭები მის იარაღზე მეუბნებიან, თვითონ გააკეთაო.

„კიბორგა“: — ახალ იარაღზე ჩალიჩი ყველა ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ახლახან ესპანეთში გააკეთეს მაგარი „სნაიპერკა“... ამ თოფისთვის „აკნოტას“ ჩემი ძველი ავტომატის მექანიზმი მივეცი, მაგრამ ჩალიჩის დროს ბაზა დაემტვრა და თავიდან გამოჩარხა ახალი. მართალია, უცხოელებს სიახლეები არ უკვირთ, მაგრამ ჩვენი გამოგონებების შესახებ ინფორმაციებს ვავრცელებთ. აი, „დეპადელს“ რომ უჭირავს, ეგ არის ძალიან იაფი „პუგი“. კარგა ხნის წინ სამმა კაცმა ბაზრობაზე ვიყიდეთ სამი სათამაშო, რაღაცები შევუცვალეთ და სტრაიკბოლის იარაღად გადავაკეთეთ. მერე ორმა კარგი იარაღი შევიძინეთ და ძველები მივეცით „დეპადელს“. მაგან კიდევ სამისგან ერთი ისეთიააწყო, რომ აშკარად ვარგა სამუშაოდ.

**— მოთამაშეები რა პრინციპით იკრიბებიან? კლუბში გაწევრება როგორ ხდება?**

— როგორც მთელ მსოფლიოში, ჩვენთანაც კლუბში ნაცნობობით და რეკომენდაციებით ვიღებთ ხალხს. თავიდან ცოტანი ვიყავით, მერე თამაშის ფორმაც გაუმჯობესდა და ხალხიც შემოგვემატა. ძირითადად, კომპიუტერული თამაშებიდან იკრიბებიან. უკვე 4 წელია ვთამაშობთ. თავიდან ბევრი არ მოდიოდა, ვერ წარმოედგინათ, თუ ასეთი თამაში საინტერესო იქნებოდა. უცხოებს სტრაიკბოლში გაწევრება ასე შეუძლიათ: თავისით უნდა მოაწყონ თამაშები ორი ორზე ან ოთხი ოთხზე, როგორც უნდათ. ითამაშონ, დაპირეკონ, მივალ, ვნახავ, როგორ თამაშობენ „ჩეტერობენ“ თუ არა, ანუ აღიარებენ თუ არა, ტყვია რომ მოხვდათ. თუ ესმით სტრაიკბოლის არსი, კლუბში მივიღებთ.

საერთოდ, კლუბმა უნდა დაპატიჟოს მოთამაშეები, რომლებსაც ენდობა და შეეფერებიან თამაშს. თავისუფალი მიღების პრინციპმა ვერ გაამართლა, რადგან ზოგიერთი აგრესიის დაუკმაყოფილებლად მოდის. არადა სტრაიკბოლი სამისო ადგილი არ არის. აჯობებს, რაგბი ითამაშონ.

ახალბედებს ყოველთვის ვხოცავთ. ზოგი არ ამბობს, ტყვია რომ მოხვდა. ასეთს ტყუილში გამოჭერისთანავე ტყვიებით ხვრეტენ. ერთ დღეს ტიპი მოვიდა გადაკეთებული კისტის თოფით. ჩვენთან წესია, თოფს რომ გააკეთებ, შენს თავზე უნდა გამოსცადო. კატეგორიულად იუარა. ჩვენც თამაშის უფლება არ მივეცით, გაბრაზდა და ერთ ჩვენიანს დააჭედა. ამაზე ატყდა ჩხუბი. ასეთი სისულელების აღსაკვეთად შემოვიღეთ წესი — ვისაც ჩვენ დავურეკავთ, თამაშში მხოლოდ ის მიიღებს მონაწილეობას. აი, „გროკსა“ და „აკაციას“ დიდი ხანია ფორუმიდან ვიცნობ. ამიტომაც მოვიწვიე. „მისტერ ჩეც“ ფორუმიდან გავიცანი. ერთხელ რომ მოვიდა, თამაში მოეწონა. მერე თავისი ძმაკაცი მოიყვანა. ყველას ასე მოჰყავს ძმაკაცები. ასე მოსული მოთამაშე იოლად უშინაურდება დამხვდურებს. როდესაც სრულიად უცხო ადამიანები მოდიან, თავისთვის იკეტებიან ხოლმე. ამ დროს თამაში სასიამოვნო აღარ არის. სტრაიკბოლში მტრობა დაუშვებელია.

**— კლუბის წევრებს ან თამაშის მონაწილეებს რაიმე გადასახადი აქვთ?**

— არა. სტრაიკბოლის სიამოვნება სწორედ ის არის, რომ არავის უწევს ზედმეტი ფულის დახარჯვა. ყველა თავისთვის ცდილობს აღჭურვილობის, იარაღისა და ტყვიების შეძენას.

**— უცხოურ კლუბებთან გაქვთ ურთიერთობა? საერთაშორისო შერკინებაზე ხომ არ ფიქრობთ?**

— ძირითადად, ონლაინურთიერთობა გვაქვს. ჯერჯერობით ერთმანეთთან არ გვითამაშია. შეხვედრების სურვილი გვაქვს, მაგრამ ფეხს ვითრევთ, რადგან კარგი იარაღი საკმარისად არ მოგვეპოვება. ბევრი რამ გვჭირდება თამაშისთვის სრულყოფილი სახის მისაცემად. ფორმებიც არ გვაქვს. ყველა სათანადოდ უნდა იყოს გამოწყობილი. უცხოეთში ეს პრობლემა არ არის, ჩვენთან კი ერთი ბიჭი წელიწადია აგროვებს 150 დოლარს, რომ მინიმალური ავტომატი იყიდოს.

**— თუ ახალ მოთამაშეს იარაღი არ აქვს, თქვენ აძლევთ?**

— ვათხოვებთ თოფსა და სათვალეს. ტყვიებს კი თვითონ შეიძენენ ბაზრობაზე ან ჩვენთან. იაპონიიდან ჩამომაქვს სპეციალური ტყვიები. ბაზრობაზე ნაყიდი უხარისხოა. ტყვიის ფორმაც კი არ აქვს.

**— სნაიპერები გყავთ?**

— მოთამაშის ფუნქციას იარაღის სახეობა განაპირობებს. გვყავს სნაიპერებიც, მეტყვიამფრქვევებიც, „პისტოლეტჩიკებიც“, მაგრამ რადგან „სნაიპერკები“ ძვირი ღირს, უმეტესობა ავტომატით ან ვინჩესტერით მოდის...

შესვენება დასრულდა. ბრძოლა თავიდან იწყება. გუნდები პოზიციებს ცვლიან. მეორე ბრძოლა აშკარად უფრო ენერგიულია. როგორც ჩანს, პირველი რაუნდი მოთელვა იყო.

„ზუმი“ ბუჩქებში იმალება. აშკარად მოთმენიდან გამოსულია... ბუჩქებში ინაბება. აშკარად მოძგების სიტუაციაშია. სამალავიდან კარგად აკონტროლებს გარემოს. ამაოდ მანიშნებს, არ მომიახლოვდეო. ჩემი გადამკიდე, იძულებულია, ბრძოლას გამოეთიშოს ან მეც დამმალოს. უკვე ნახევარ წელზე მეტია, თამაშობს.

„ზუმი“: — როგორც ყველა ბიჭი, ბავშვობაში მეც მანქანებზე და თოფებზე ვგიჟდებოდი. სტრაიკბოლი საინტერესო და კარგი გასართობია ყველა მამაკაცისთვის, რომელშიც მეომრის ინსტინქტი ბუდობს. ამასთან, ფიზიკურ ფორმას ვინარჩუნებ. ისეთი სამსახური მაქვს, რომ ცოტას ვმოძრაობ. აქ სირბილისა და აქტიურობის საშუალება მეძლევა. ბრძოლის წინ სახლში სამიზნეზეც ვვარჯიშობ ხოლმე.

საუბრის დროს „მტრისგან“ თავდაღწეული „მისტერ ჩე“ შემოგვიერთდა.

„ჩეს“ მოსწონს, რომ აქ შეიძლება ჯერ ითამაშო, მერე კი „დახოცილ“ ხალხთან ერთად იქეიფო კიდეც. თუ ბიჭებს ფული აქვთ, „ომის“ შემდეგ სახინკლოდ მიდიან.

„მისტერ ჩე“: — საინტერესო პროცესია. აქაც ნამდვილი ომივით ხდება დაგეგმარება, ფიქრობ ბრძოლაზე, მეტოქის განადგურებაზე. ალბათ, ნამდვილი ომისთვის ურიგო პრაქტიკას არ იძლევა. მომწონს კომპიუტერული თამაშებიც, განსაკუთრებით საჰაერო ბრძოლე-

ბი. ისე, რა დროს ინტერვიუებია, ახლა „მემენტომ“ რომ დაგინახოს, მოგკლავს.

„მემენტო“ ჟურნალისტების რისხვად არის წოდებული. არ მოსწონს, როდესაც ბრძოლაში ხელს უშლიან. თუმცა, ამჯერად როგორც „ტრუპი“ ბაზაზე იმყოფება. ჩემთვის არ სცალია, „ფიცხელ ომში“ ჩართულებს აქეზებს. „მემენტოს“ კი გადავურჩი, მაგრამ „ლეონმა“ ამომიღო მიზანში. ვანიშნებ, თუ „მომკლავ“ შენს ფოტოს კომპრომატად გამოვიყენებ-მეთქი. „ლეონი“ მოცეცხლავე. დანარჩენებთან ის უპირატესობა აქვს, რომ ძველი ქართული საბრძოლო ხელოვნების ილეთებიც იცის. კარგად ხანჯლაობს და მოქნილია. ჩემი გადამკიდე „მტერმა“ შენიშნა და „გააგორა“. უნდა მოგკლათ, ამბობს „დანანებით“...

**— „ლეონ“, როგორ ფიქრობ, შეიძლება სტრაიკბოლიდან მიღებული გამოცდილებით კაცი ნამდვილ ომში წავიდეს?**

– არა. ნამდვილი ომი სხვაა, ეს კი თამაშია. აქ კაცს კლავ, მაგრამ არ კლავ...

კიდევ ერთი რაუნდი დამთავრდა. ამჯერად „სტარიკებს“ „ნოვიჩოკები“ უგებენ. ყველაფერი მე მბრალდება. არცთუ უსაფუძვლოდ.

მაინტერესებს, ბიჭებს სამხედრო იდეალი თუ ჰყავთ. „კიბორგა“ ყველას ასწრებს და აცხადებს, რომ ასეთი რამ მათ ცნობიერებაში არ არსებობს. რომელიღაც შაყირობს, „რემბოზე“ ვგიჟდებით. „მისტერ ჩე“ კი ამბობს, ჟუკოვი მომწონს როგორც სამხედრო სტრატეგიო.

„ბე-ემვე-ბე“ 5 წლის შვილთან, ვაჟასთან და 12 წლის დისშვილ გიორგისთან ერთად იარაღს უჩხიკინებს. ეგეც სტაჟიანი მებრძოლია. ბრძოლაში უპირატესობას პროფესია აძლევს, მეტყევე ინჟინერია. ტყის ცოდნა კი მეომრისთვის თურმე ძალიან ბევრს ნიშნავს. ბუნებას იოლად და სწრაფად ალიქვამს და სხვებზე უფრო იოლად არჩევს კამუფლაჟს მცენარისგან.

**— „ბე-ემვე-ბე“, გამოდის, დაზვერვის რისხვა ხარ.**

– ასე გამოდის. ამ თამაშით კაცი ცოტაოდენ სამხედრო ცოდნასაც იძენს. საომარ სიტუაციაში ჩავარდნის შემთხვევაში მართალია აქაური გამოცდილება ბევრად ვერაფერს წაგადგება, მაგრამ მაინც გამოგადგება.

„მემენტო“ ახალბედებს ეხუმრება, რა გემრიელი ლუკმა ხართო. ჟურნალისტების რისხვა ძალიან ხალისიანი ვინმეა. უცებ თვალში რაღაც ჩაუვარდა. ვურჩიე, ხმამაღლა ნუ იტყვი, თორემ „მტერი“ სანგარში შეგამჩნევს-მეთქი. ბიჭებს გაეცინათ – ჩანს, შენც შეხვედი როლში, თორემ კინოფილმი „ღიმილის ბიჭები“ რამ გაგახსენაო.

„მემენტო“: – გვიხარია, ახალბედები რომ მოდიან. ბრძოლის აზრზე არ არიან და ამიტომაც ყველა მაგათზე ვნადირობთ, მაგრამ გვყავს ისეთი გამოცდილებიც, რომლებთან მიახლოებაც არ ღირს. მაგალითად, „აკნოტა.“ მაგარია, იარაღიც ძალიან მაგარი აქვს.

**— ყველაზე მეტად რომელი იარაღი მოგწონს?**

— „ჰეკლერ-კოხი სენტეკლერი“, სპეცდანიშნულების იარაღია. მოკლეა და შენობაში ძალიან მოსახერხებელია.

**— სად გირჩევნია ბრძოლა?**

— უფრო ბუნებაში, თუმცა ძალიან შორს მსროლელი იარაღი არ მაქვს. ბუნებაში უფრო საინტერესოა. ბევრი ისეთი ადგილია, რომ შეიძლება მოწინააღმდეგემ ვერ დაგინახოს, დაიმალები, გამაგრდები... შენობაში კი იოლად გიპოვიან.

**— როდესაც პირველად გახვედი ბრძოლის ველზე, რა შეგრძნება გქონდა?**

— აღტაცებული ვიყავი. ოთხი კაცი „მოვკალი“. პირველად ჟურნალისტს გამოვუყვანე წირვა. ფოტოს მიღებდა...

ომი განახლდა. თავიდანვე მძაფრად დაიწყო ბრძოლა. ლადო გმირულად იღუპება. არ ჩქარობს წამოდგომას და ბაზაში დაბრუნებას. როგორც ჩანს, ტყვიების წვიმაში წამოწოლას და დასვენებას აპირებს.

„კალაშა“ გამოვარდა ბუჩქებიდან. მოწინააღმდეგის ბაზაზე გადახტა და დროშა გაიტაცა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, რომ ფოტოს გადაღება ვერ მოვასწარი. ბაზისკენ მიმავალ „კალაშას“ მოწინააღმდეგის ტყვიებთან ერთად ჩემი ხმაც დაეწია. გავძახე, „კალაშ“, მაგარი კადრი იყო, იქნებ კიდევ გაგემეორებინა-მეთქი. ბიჭების სიცილი რომ გავიგონე, მაშინ მივხვდი, რომ სისულელე ვთქვი.

„კალაშას“ ამ თამაშში რეალიზმი მოსწონს. საერთოდ სამხედრო საქმეც აინტერესებს. შევარდნაძის ხელისუფლების დროს ჯარი ჯარს რომ ჰგვანებოდა, ახლა ნამდვილი ჯარისკაცი იქნებოდა.

— პროფესიას რომ ვირჩევდი, მაშინ სხვა ჯარი გვყავდა. უსახური. ახლა ვფიქრობ, უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ ოფიცერთა სკოლა დავამთავრო, — მითხრა ბრძოლის განახლებამდე. „კალაშამ“ საკუთარ ბაზამდე ვერ მიაღწია. „აკნოტას“ ემსხვერპლა. მე ბრძოლას ვეთიშები და „მკვდრებს“ ვესაუბრები. „კალაშა“ ამბობს, რომ ომს დიდი ჭკუა სჭირდება. რადგან მისი მხოლოდ ტყვიით და იარაღით მოგება შეუძლებელია. მთავარი როლი უფრო სტრატეგიამ უნდა შეასრულოსო. „ომი შეიძლება მოიგო ჭკუით და ძალიან ცოტა ტყვიით“, — მიხსნის „კალაშა“.

„აკნოტა“ თეორიულად ყველაზე ნასწავლი ჯარისკაცია, რადგან ასაკითაც დიდია და ჯარიც აქვს გამოვლილი. მიუხედავად ამისა, უკვდავი არც ის არის. მასაც „დააჯდა“ მავანის ტყვია. ამიტომაც ბაზაზე დაბრუნებულს სალაპარაკოდ ვიწვევ.

— ვისაც საბრძოლო ტექნიკა მოსწონს, მისთვის მისწრებაა აქ გართობა.

**— რომელი იარაღი მოგწონს?**

— არც ერთი. რადგან ფანატიკოსი არ ვარ. აქ უფრო მოქმედება მაინტერესებს. ერთხანს კომპიუტერთან ვერთობოდი, მაგრამ სინამდვილე სჯობია ყველაფერს. სულ სხვა ეფექტი აქვს. ეს თამაში მთელ მსოფლიოშია პოპულარული. საქართველოში ამხელა დონეზე არ არის განვითარებული, რადგან ქართველებს თამაში, განძრევა ეზარებათ. მე კი ქუჩაში დგომა არ მომწონს, დროის დაკარგვად მიმაჩნია. ამიტომ ან ვმუშაობ, ან ასე ვერთობი. შვილიც დამყავს. თავისთვის დარბის ხოლმე.

პოლიციელი დავითიც დაბრუნდა ბაზაზე. ისიც იაფფასიან იარაღს უჩხიკინებს. უკვე ორი წელია ომობს.

— ბავშვობაში მეც ვთამაშობდი ომობანას. ეს თამაში საჭირო უნარ-ჩვევებს გამოიმუშავებს. სანამ პროფესიას ავირჩევდი, მანამ დავიწყე აქ თამაში. ვერ ვიტყვი, რომ ერთი და იგივე გრძნობა მაქვს აქაც და სამსახურშიც. თამაშისთვის საჭიროა აზარტი, სამსახურისთვის კი პასუხისმგებლობა.

**— რითი იბრძვი?**

— იაფფასიანი საბავშვო სათამაშო მაქვს, სტრაიკბოლისთვის არის გადაკეთებული. არაავტომატური შაშხანაა.

ბრძოლის ზარმა ისევ „ჩამოჰკრა“. დავიღალე და გადავწყვიტე, „კულისებში“ დავრჩე ბავშვებთან.

სანამ დიდები გაფთრებულ ომში იყვნენ, პატარებში ყველაზე უფროსმა გიორგიმ შთაბეჭდილება გამიზიარა. პირველად რომ უთამაშია, გვარიანად შეშინებია. „აკნოტას“ 8 წლის გიორგი კი ექვსი წლის ძმას დასცინის, რომელსაც თურმე ძალიან ეშინია ომისა და ტყვიების წვიმის.



ეროვნული ბიბლიოთეკა



ბრძოლებს შორის შესვენებისას სტრატეგიაზე მსჯელობენ...

— დიდებმა ომობანას თამაში რომ დაიწყეს, მამაჩემმა ავტომატები მომიტანა და მითხრა, ივარჯიშეო. მანამდეც ვთამაშობდი ომობანას, მაგრამ უფრო ფეხბურთი მიტაცებდა. მინდა ფეხბურთზე სიარული, მაგრამ მამაჩემი ამბობს, ფეხებს გადაგიტეხენო. ცურვაზეც დავდიოდი...

„ბე-ემვე-ბეს" 5 წლის ვაჟა სიტყვაძუნწი კაცია. მხოლოდ იმას მიმხელს, რომ ნამდვილ ომს კომპიუტერზე თამაში ურჩევნია.

ბაზაზე პაატა შემოვიდა. ისარგებლა იმით, რომ „მოკლეს" და წყლის დასალევად მოირბინა. ესეც „სტარიკი" სტრაიკბოლელია.

— ძალიან აზარტულია ეს თამაში. ნათქვამი რომ არის, კაცები არ იზრდებიან და მთელი ცხოვრება თამაში უნდათო, აქ ნათლად ჩანს. „აკნოტა" გვყავს ძალიან მაგარი. მაგის იარაღთან ევროპული იარაღიც კი ვერ მივა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩინურზე.

— **რა ჰქვია „აკნოტას" იარაღს?**

— (ეცინება) „აკნოტა აკა".

— **თამაშის დროს როლში ძალიან შედიხართ ხოლმე?**

— დიახ. ერთხელ ოთახში ვიყავი გამოკეტილი და ორი მოწინააღმდეგე მიტევდა. კარგი პოზიცია მქონდა და თავდაცვა შემეძლო, მაგრამ ჩემი იარაღი გაიჭედა. მოწინააღმდეგემ ეს არ იცოდა. განწირული ადამიანის შეგრძნება გამიჩნდა. ვფიქრობდი, შემოვლენ და მომკლავენ-მეთქი. დავიწყე ფაციფუცი, ვითომ იარაღს ვტენიდი, რომ არ შემოსულიყვნენ. ამასობაში დამხმარე რაზმიც მოვიდა და გადამარჩინეს...

უჩაც შემოგვიერთდა. უკვე ბევრს უმტყუნა იარაღმა. ახლა რემონტის დროა. „ომი" დროებით წყდება. უჩა იარაღს უჩხიკინებს, თან მე მელაპარაკება:

— გასაკვირი არ არის, რომ მოთამაშეებიდან ბევრი ნამდვილ ჯარში წავიდა. ამ თამაშში გამოცდილებას და თავდაჯერებას იძენენ და ფიქრობენ, რომ შეიძლება ჯარშიც კარგად გამოუვიდეთ სამსახური. სხვათა შორის, სამხედროებმა ბევრი ისეთი რამ არ იციან, რასაც თამაშის დროს ვიგებთ. ერთი ყოფილი ჩვენიანი ახლა ერაყში მიდის და დაიჟინა, მაგარი დანა უნდა ვიყიდოო. დავუმტკიცე, რომ დანა არაფერში სჭირდება ერაყში. მთავარია, გადარჩე. ამიტომ ისეთი რაღაცები უნდა შეიძინო, რაც გადარჩენის შანსს გაზრდის.

— **ალბათ, ცუდი არ იქნებოდა, პატრიოტთა ბანაკებშიც ეთამაშათ სტრაიკბოლი.**

— ეგ ბანაკები სასაცილო რამ არის. ამიტომაც არ გვინდა მაგათთან თამაში. არ შეიძლება, ყველაფერი სასაცილოდ გადააქციო. წინათ საქართველოში მომავალ ჯარისკაცებს თამაშითაც წვრთნიდნენ. გარკვეულმა ჯგუფებმაც შემოგვთავაზეს ბრძოლა, მაგრამ ვერ მოვრიგდით. მთაში უნდა წასულიყვნენ. მიეცემოდათ დავალება — დივერსიული ჯგუფის გატაცებული ნივთი უნდა დაებრუნებინათ 30 კმ-ით დაშორებულ ბაზაში. ღამით გზაზე ჩვენ დავესხმებოდით თავს...

წინათ, ომიანობის დროს, სვანეთში რაჭის გზით საგანძური გადაჰქონდათ ხოლმე. ეს რიტუალი დღესაც გრძელდება თამაშის სახით. ძველი ქართული საბრძოლო ისტორიის მკვლევარმა კობა ჭუმბურიძემ შემოგვთავაზა, იქნებ თამაშზე მოილაპარაკოთ და ერთ დღესაც თავდასხმა მოაწყოთ მათზეო. იარაღი არ გვაქვს საიმისოდ, რომ ტექნიკურად მაღალი დონის სცენარები გავათამაშოთ. უცხოეთში ქალაქზე მოაწყვეს თავდასხმა, 500 კაცი თამაშობდა „ბეტეერებითა" და ყველანაირი საბრძოლო ტექნიკით. მაგარი სანახაობა იყო. ზაფხულში თუ ხალხი შევკრიბეთ, შეიძლება ორდღიანი გასვლა გავაკეთოთ ჩარუბეთში. ჩემი სოფელია. იქ ძალიან ბევრი მიტოვებული აგარაკია. კაი ბრძოლა გამოგვივა. აქედან ახალქალაქამდე ჩავალთ ტრანსპორტით, მერე სამი საათი სოფლამდე დაგვჭირდება ფეხით.

— **ბიჭებმა მითხრეს, მზად ვართ, პოლიციისა და სამხედრო დანაყოფებს ვეთამაშოთო.**

— მოვუგებთ ყველას. შავნაბადას „კომანდოს" ბატალიონს ველაპარაკეთ ერთხელ, ჩვენთან უნდოდათ თამაში, მაგრამ იქაც იარაღის არარსებობამ შეგვიშალა ხელი.

— **„კიბორგ", ალბათ ყველა სამართალდამცველმა არც იცის სტრაიკბოლის შესახებ. ამიტომაც მგონია, რომ კამუფლაჟებში გამოწყობილებს და იარაღასხმულებს არაერთხელ გექნებოდათ კურიოზული სიტუაცია.**

— მაგის მეტი რა ყოფილა. ერთხელ „ბრძოლიდან" ქანცგაწყვეტილები ვბრუნდებოდით მანქანებით. ერთმა მოძრაობის წესი დაარღვია. პოლიციამ თვალი გვკიდა და გაგვაჩერეს. რახან ძალიან ახალგაზრდები ვიყავით, ეტყობა, რაღაც ეჭვმა შეაწუხა და ერთმა პოლიციელმა მანქანის დათვალიერება გადაწყვიტა. საბარგული აგვახდევინა. იქ კი სამი დიდი ჩანთით სტრაიკბოლის თოფები იდო. ჩანთები გახსენითო, გვიბრძანა. გავხსენით... თვალები კეფაზე გადაუვიდა. ეს რა არის, ბიჭოო... თუმცა, ხელი შეავლო თუ არა, ყველაფერს მიხვდა, ა, თქვენ ისინი ხართ, კოჯორს რომ „აწიოკებთო"?.. მოკლედ, გამოგვიშვეს.

საერთოდ, ქუჩაში გადატანისას იარაღს კარგად ვფუთავთ ხოლმე. ერთმა ჩვენიანმა კი თოფს ცელოფანი ისე შემოახვია, რომ ლულა ჩანდა. ზურგჩანთაში ჩადო და ასე ჩაბრძანდა მეტროში. ცხადია, პოლიციამ შეამჩნია, რომ ვიღაც „გიჟი" მშვიდად მისეირნობდა. ორ-ორი პოლიციელი ამოუდგა გვერდებიდან. რა თქმა უნდა, თოფი ამოაღებინეს, გაისროლეს, დაუბრუნეს და „სთხოვეს", სხვა დროს რომ წამოხვალ, ნამდვილი წამოიღეო.

ერთხელაც გახურებული თამაშის დროს „ბომბებს" ვაფეთქებდით. ახლომდებარე მოსახლეობიდან ვიღაცას დაურეკავს პოლიციაში: ფორმიანი ბიჭები დარბიან და ერთმანეთს ხოცავენო. წამში მოგვადგა პატრული...

იარაღების შეკეთება დამთავრდა. ომი ისევ განახლდა. რაც დრო გადის, მით უფრო ხურდება ბრძოლის ჟინი. თვალის შევლებას ვერ ვასწრებ, ისე სწრაფად დარბიან და დაძვრებიან ხეებზე და ბუჩქებში.

თამაშის შემდეგ ყველა კარგ ხასიათზეა. ხუმრობენ, აანალიზებენ ბრძოლას. ბიჭებმა წყლის ცარიელი პლასტმასის ბოთლები მოხვეტეს და წამოიღეს. ტყვიებს რას უპირებთ-მეთქი? ეგ ისეთი ნივთიერებისგან არის დამზადებული, რომ წვიმის მოსვლისთანავე იშლება და ეკოლოგიურ პრობლემებს არ ქმნისო, მითხრა უჩამ.

რაღა დაგიმალოთ და, მომეწონა ომში. თუ ბიჭები ნებას მომცემენ, ავტომატსაც დავიკავებ ხელში. როგორც ჩანს, სტრაიკბოლმა მებრძოლი სული გააღვიძა ჩემში.

ეკა ლომიძე

# "არსენალი" "გენერალ მაზნიაშვილს" დაუმეგობრდა




**საზოგადოებისგან გამოჩენილი მცირეოდენი ყურადღებაც საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებას წაადგება... მკითხველს უნდა ენახა „გენერალ მაზნიაშვილის“ ეკიპაჟის წევრების თვალები, როდესაც მათთვის მოულოდნელად „არსენალის“ რედაქციამ საჩუქარი გადასცა და განუცხადა, რომ სანაპირო დაცვის ამ კატარღაზე იღებს შეფობას.**

სამხედრო კატარღებზე თუ კრეისერებზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების შეფობა ახალი ხილი არის. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს ხშირად იმ ქალაქების სახელებს არქმევენ, რომელთა მერიები და ქალაქის საზოგადოება მუდმივ ყურადღებას იჩენს „სეხნია“ ხომალდის ეკიპაჟისადმი.

დაახლოებით ანალოგიური ტრადიციის დამყარება ჯერ კიდევ ექვსი-შვიდი წლის წინ ამ სტატიის ავტორმაც სცადა „კვირის პალიტრის“ საშუალებით.

ეს საინტერესო ისტორია შემდეგნაირად დაიწყო:

1999 წელს საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების საპატრულო კატარღა №301 საერთაშორისო საზღვაო სწავლე-



ეროვნული ბიბლიოთეკა



დამრღვევი გემის დევნა

ბებში მონაწილეობის მისაღებად ბულგარეთის საზღვაო პორტ ვარნას ეწვია. ამერიკული, თურქული, ბულგარული, რუმინული და უკრაინული კორვეტები და ფრეგატები გარდა საბორტე ნომრისა, სახელებსაც ატარებდნენ, რომლებიც ლამაზი ასოებით ეწერა ბორტებზე, ქართული კატარღა კი ყველგან მხოლოდ ბორტი №301-ად მოიხსენიებოდა.

სწავლების დამთავრებისთანავე „კვირის პალიტრის“ საშუალებით შემოვიტანეთ ინიციატივა, რომ არცთუ ისე მრავალრიცხოვან ქართულ სამხედრო კატარღებს სახელები დარქმეოდა, კერძოდ კი საქართველოს ქალაქებისა და რაიონების, რათა ამ დასახლებული პუნქტების მერიებსა და გამგებლებს ზრუნვა დაეწყოთ „სეხნია“ კატარღების ეკიპაჟებზე.

ჩვენმა იდეამ მალევე პოვა სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობის მხარდაჭერა და ფოთის სამხედრო პორტში მდგარ კატარღებს სახელებიც გამოუჩნდათ — „თბილისი“, „ბათუმი“, „ქუთაისი“, „ახმეტა“, „მესტია“, „ივერია“ თუ „გურია“...

შემდეგი ნაბიჯი უკვე ამ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელობას უნდა გადაედგა, მაგრამ დრო გადიოდა და ყურს არავინ იბერტყავდა. ამიტომაც პირველი ნაბიჯის გადადგმა ისევ „კვირის პალიტრამ“ ითავა და შეფობა აიღო ქართული სამხედრო ფლო-

აბორდაჟის მოლოდინში





დამრღვევი აბორდაჟზეა აყვანილი — სწავლება წარმატებით დასრულდა!



**ჩვენი დოსიე:** გენერალი გიორგი მაზნიაშვილი 1872 წელს სოფელ სასირეთში, გლეხის ოჯახში დაიბადა.

მეფის რუსეთის სამსახურში ჩამდგარმა თავი ჯერ კიდევ რუსეთ-იაპონიის ომში ისახელა. შემდეგ კი პოლონეთში გამოჩენილი გმირობისთვის ოქროსვადიანი ხმლით, მოგვიანებით კი წმინდა გიორგის სამივე ხარისხის ორდენითაც დააჯილდოეს. დაჯილდოებაში თავად იმპერატორი ნიკოლოზ მეორეც მონაწილეობდა.

1917 წლიდან მაზნიაშვილი საქართველოში მოღვაწეობდა. მან წარმატებით დაიცვა გურია ოსმალთა შემოტევების დროს. მოქმედებდა აფხაზეთის პრობოლშევიკური ამბოხის ჩასახშობად. სოჭის კონფლიქტის საწყის ფაზაში აიღო ქალაქები სოხუმი, გაგრა, ტუაფსე. ქართულ-სომხური ომის დროს დაამარცხა გენერალ დროს ჯარები. ბოლშევიკური აგრესიის პერიოდში გახლდათ თბილისის კომენდანტი და დიდ წინააღმდეგობას უწევდა წითელარმიელებს. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სხვა მალალჩინოსნებივით ემიგრაციაში არ წასულა, ამიტომაც 1923 წელს დააპატიმრეს და სპარსეთში გაასახლეს. იქიდან კი საფრანგეთში მოხვდა. რამდენიმე წლის შემდეგ მას ნება დართეს სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1937 წელს კი კვლავ დააპატიმრეს და გაუსამართლებლად დახვრიტეს.





საზენიტო ДШК-თი „გენერალი მაზნიაშვილი“ საზღვაო აკვატორიის დამრღვევებს აფრთხილებს

ჩვენი დოსიე: „გენერალი მაზნიაშვილი“ ორი ტყვიამფრქვევითაა შეიარაღებული, მათგან ერთი 12,7მმ კალიბრის საზენიტო ДШК-ა. 9-კაციანი ეკიპაჟის საშტატო შეიარაღებაშია მოკლელულიანი „კალაშნიკოვები“, ხელის ტყვიამფრქვევი და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი.

ტის ფლაგმანზე, სარაკეტო კატარლა „თბილისზე“. ეს 2001 წლის ივლისში მოხდა.

ვინმეს არ ეგონოს, ეს შეკრება კატარლისთვის ტყვია-წამლის ან საწვავის შეძენას ითვალისწინებდა. ეს ჩვენი საქმე არ იყო. ჩვენს საზრუნავს ეკიპაჟზე ყურადღების მიქცევა წარმოადგენდა, რათა ზღვაში გასულ სამხედრო მეზღვაურს სცოდნოდა, რომ ნაპირზე მას ოჯახის გარდა „კვირის პალიტრის“ ერთგული მკითხველიც ელოდა...

„თბილისის“ ეკიპაჟისთვის წლების განმავლობაში გადაცემული მცირე საჩუქრები არაფერი იყო იმასთან შედარებით, როდესაც თავად კატარლის ეკიპაჟზე დაწერილ სტატიებს საზოგადოების დიდი ნაწილი ეცნობოდა. თავად ეკიპაჟი კი 2001 წლის ზაფხულის შემდეგ ყოველკვირეულ საჩუქრად იღებს „კვირის პალიტრის“ საგამომცემლო სახლის მიერ გამოშვებულ პერიოდულ პრესას.

მიუხედავად „კვირის პალიტრის“ ინიციატივისა, არც თბილისის და არც ქუთაისის მერიებს აქტივობა არ გამოუჩენიათ. ჩვენს ინიციატივას მხარი დაუჭირეს თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო კათედრების ხელმძღვანელებმა. მათ „ახმეტასა“ და „ქუთაისზე“ აიღეს შეფობა. სამხედრო კათედრის სტუდენტები კატარლების ეკიპაჟებს გააცნეს. ახალგაზრდებმა მალე გამონახეს საერთო ენა. ზოგიერთმა სტუდენტმა კახეთიდან სამხედრო მეზღვაურად სამსახურის სურვილიც კი გამოთქვა.

ეს მეგობრობა უფრო განმტკიცდებოდა, რომ არა თავდაცვის სამინისტროს მოულოდნელი ბრძანება, რომლის თანახმადაც სამხედრო კათედრები გაუქმდა...

ამჯერად სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი „არსენალი“, როგორც საგამომცემლო სახლის „კვირის პალიტრის“ ერთ-ერთი წევრი, „კვირის პალიტრისგან“ ესტაფეტად მიღებულ საქმეს გააგრძელებს და შეფობას შსს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის საპატრულო-სამაშველო კატარლა ბორტი №-211 „გენერალ მაზნიაშვილზე“ იღებს.

ვფიქრობთ, სიმბოლურია, რომ „გენერალ მაზნიაშვილის“ ცხრაკაციანი ეკიპაჟის მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი როინ ტაგიძე ბათუმის საზღვაო სასწავლებლის სწორედ ის ყოფილი კურსანტი აღმოჩნდა, ვინც 7 წლის წინ კატარლა ბორტი №301-ზე თურმე ჩვენთან ერთად იმყოფებოდა ფოთი-ვარნა-ფოთის მარშრუტის გადაცურვის დროს...

***ირაკლი ალადაშვილი***

ჩვენი დოსიე: სანაპირო დაცვის საპატრულო-სამაშველო კატარლა P-211 „გენერალი მაზნიაშვილი“ აშშ-შია აგებული და მიუხედავად სამი ათეული წლისა, მაინც მშვენივრად გამოიყურება. მისი სიგრძე 27 მ-ია, სიგანე — 5,7მ, წყალწყვა 73ტ; მაქსიმალური სიჩქარე 18 კვანძს აღწევს; კორპუსი ფოლადისაა, ზედნაშენად კი ალუმინის კატარლას ორი ტურბოდიზელი (თითოეული 800 ცხ.ძ-ის სიმძლავრის) და ორი დიზელ-გენერატორი აქვს.



კატარლის სამანქანო განყოფილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზური სამხედრო ფლოტი „მზად არის“ ტურისტული სეზონისათვის...

აფხაზეთში გახურებული ტურისტული სეზონია. ათასობით დამსვენებელმა მეზობელი რუსეთიდან აფხაზეთის სანაპირო გაგრიდან სოხუმამდე შეავსო და ახლა ზაფხულის მზეს ეფიცხებიან. აფხაზური სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როგორც ყოველთვის, რუს დამსვენებელთა სიმშვიდისა და უსაფრთხოების სადარაჯოზე დგას.

ივნისის დასაწყისში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზებს ბერძნულმა დიასპორამ საჩუქრად რამდენიმე სწრაფსვლადი კატარღა გადასცა. სეპარატისტთა არმიის გენშტაბის უფროსის გენერალ ანატოლი ზაიცევის ინფორმაციით, კატარღებზე საზენიტო ავტომატები ЗУ-23-2 დაიდგა. გარდა ამისა, მზადყოფნაშია სანაპირო დაცვის არტილერია, ავიაცია და საჭიროების შემთხვევაში საქართველოს პორტებში სამოქმედოდ სპეცრაზმელთა და წყალქვეშა მოცურავეთა დივერსიული ჯგუფები.

რუსი დამსვენებლები საიმედოდ არიან დაცულები. რუსეთის შავი ზღვის ფლოტთან შედარებით აფხაზეთის ფლოტი ბევრად ძველი და უფრო გამოცდილია.

აფხაზ მეცნიერთა მტკიცებით, რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში ქართულ და თურქულ წყაროებს იშველიებენ, XVI საუკუნის 60-70-იან წლებში აფხაზეთის ფლოტი თავს ესხმოდა თურქეთის სანაპიროს და იქაურ მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა. არადა იმ პერიოდში თურქეთის ფლოტმა ძლიერების ზენიტს მიაღწია. ოსმალთა იმპერიისათვის შავი ზღვა უბრალოდ შიდა ზღვად ითვლებოდა, ხოლო ლეპანტოსთან მარცხი რომ არ ყოფილიყო, მაშინ მთელი ხმელთაშუა ზღვა თურქთა ბატონობის ქვეშ მოექცეოდა.

წარსულის კიდევ ერთი საინტერესო ფურცელია 1672 წელი, როცა აფხაზეთის სამხედრო-საზღვაო ძალებმა სამეგრელოს სანაპიროსთან ოპერაცია ჩაატარა და ამის შემდეგ სამეგრელოს სამხედრო-საზღვაო ფლოტმა არსებობა შეწყვიტა.

ასეთი საზღვაო წარსულის მქონე აფხაზებმა ქართველებთან კონფლიქტის პირველივე დღეებში, 1992 წლის აგვისტოში, ბიჭვინთაში სამხედრო ფლოტის ორგანიზება წამოიწყეს. საქმეს სათავეში სასეირნო თბომავლის კაპიტანი ლევ კატიმბა ჩაუდგა.

ახალ ათონში, გუდაუთასა და ბიჭვინთაში დარჩენილი იყო: სხვადასხვა უწყებათა კუთვნილი 5 სამგზავრო-სასეირნო თბომავალი, 4 თევზმჭერი სეინერი, 3 სატვირთო გემი და 4 ტექნიკური დანიშნულების მცურავი საშუალება. სამეცნიერო-საკვლევი გემი „მოდული“ და 50-მდე სწრაფსვლადი კატარღა.

სამოქალაქო მცურავ საშუალებებს აფხაზებმა საკმაოდ ეფექტიანი სამხედრო დანიშნულება გამოუნახეს.



2004 წ. ზაფხული. ვლადიმირ ჟირინოვსკი თბომავალ „აკაციას“ ბორტზე, აფხაზეთის სანაპიროსთან

სწრაფსვლადი კატარღები 4-დან 10-მდე კაცს იტევდა და წყალწყვიდან („ვოლგა“ 2,05ტ, „სტრიჟი“ 3,2ტ, „ნევკა“ 5,4ტ) გამომდინარე შეეძლო თვითმფრინავის საკიდი კონტეინერის 20 უმართავი ჭურვით, ყუმბარსატყორცნი РПГ-7-ის, ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსის, ხელის ტყვიამფრქვევისა და სხვა მსუბუქი შეიარაღების ტარება.

სამგზავრო თბომავლებს 100-დან 200-მდე შეიარაღებული კაცის მიღება შეეძლო, ხოლო პატარა წყალჯდომი და ცხვირზე დამაგრებული ტრაპი ნაპირთან მისვლის საშუალებას იძლეოდა, რითაც სადესანტო ხომალდის თვისებებს იძენდა.

თვითმავალი ბარჟა მცურავ ბატარეად გადაკეთდა და БМ-21 „გრადის“ დანადგარით, 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30-ითა და ხელით გადასატანი საზენიტო კომპლექსებით აღიჭურვა.

ფლოტის შემდგომი ფორმირება, აღჭურვა, გაძლიერება და მეთაურობა რუსეთის მოქალაქეს, I რანგის კაპიტანს, დაღესტნელ ალი ალიევს უკავშირდება.

1993 წლის მარტამდე აფხაზთა მცურავი საშუალებები განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოირჩეოდნენ. ზამთარში შავი ზღვა შეზღუდული ზღვაოსნური თვისებების მქონე პატარა მცურავ საშუალებებს ზღვაში გასვლის შესაძლებლობას ყოველთვის არ აძლევდა. მიუხედავად ამისა, სწრაფსვლადი კატარღები ღამით ქართული ფორმირების კონტროლირებად სანაპიროს დაზვერვის, დივერსიული ჯგუფების გადმოსხმისა და საცეცხლე დამუშავების მიზნით დროდადრო მაინც აწუხებდნენ.

ასეთ ოპერაციებს უფრო ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდა და ზღვაზე აფხაზთა სიძლიერის განმტკიცებას ემსახურებოდა. თან ვრცელდებოდა ჭორი, რომ სოხუმს ცეცხლს აფხაზთა წყალქვეშა ნავები უხსნიდნენ. ამავე აზრის გასაძლიერებლად ზღვაში ხანდახან ტივტივაზე დამაგრებულ საწვავიან კასრებს ცეცხლს უკიდებდნენ. შორიდან შავი კვამლი ცეცხლმოდებული გემის ილუზიას ქმნიდა.

1993 წლის მარტში აფხაზებმა პირველად გამოიყენეს რუს მესაზღვრეთა მე-6 საზღვაო ბრიგადიდან მიღებული „გრიფის“ ტიპის კატარღები. ბრიგადის შტაბი მაშინ ოჩამჩირეში მდებარეობდა. რუსეთში კერძო ფირმებისაგან კიდევ 3 „გრიფი“ იქნა ნაყიდი შეიარაღების გარეშე და გუდაუთაში ეს კატარღები სხვადასხვა სისტემის ავტომატური შეიარაღებით აღიჭურვა.

აფხაზებმა ბიჭვინთაში, ქარხანა „კასატკაში“ რადიომართვადი ტორპედოს შექმნაც მოახერხეს და მისი გამოყენებით 1993 წლის აგვისტოში სოხუმში დარჩენილი სამეცნიერო-საკვლევი გემი „ვექტორის“ ჩაძირვა დაგეგმეს. „ვექტორი“ რადიოლოკაციურ სადგურად და კავშირის საშუალებად გამოიყენებოდა და აფხაზთა ფორმირებებს


„შმელის“ ტიპის სამდინარო დაჯავშნული კატარღა



თბომავალი „აკაცია“ აფხაზეთის სანაპიროსთან, მგზავრების მიღებისას

რადიოდაბრკოლებებს უქმნიდა. ტორპედო „გრიფზე“ დაიტვირთა და გუძერასკენ გაიგზავნა, სადაც „ვექტორი“ იდგა. ქართულ ფორმირებებს ოპერაცია შეუმჩნეველი არ დარჩენიათ და „გრიფის“ მიმართულებით საარტილერიო ცეცხლი გაიხსნა, ამიტომ ტორპედო მოტორიან ნავზე გადაიტანეს. ნავი „ვექტორიდან“ 1 მილში იმყოფებოდა, როცა რუსმა მესაზღვრეებმა უკან გაბრუნება უბრძანეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ცეცხლის გახსნით დაემუქრნენ.

აფხაზთა ფლოტის წარმატებულ ოპერაციებად უნდა ჩაითვალოს 2 ივლისს ტამიშთან 5-მდე მცურავი საშუალებით 500-მდე ბოევიკის დესანტირება, ბაბუშერის აეროპორტის ზღვიდან ბლოკირება და ა.შ..

1994 წლიდან აფხაზური ფლოტის მთავარი ამოცანა ე. წ. „აფხაზეთის ტერიტორიული წყლების“ დამრღვევი ქართული გემების დაკავება იყო. 1994 წლის აგვისტოში დააკავეს სეინერი „ეგრისი“. მას მოჰყვა 1999 წლის 3 აპრილს სეინერი „ალიონი“ და 2001 წლის 13 აპრილს სეინერი СЧС-1243. აფხაზეთის სანაპიროსთან 1994 წლის 3 დეკემბერს უკვალოდ დაიკარგა ქართული მშრალტვირთმზიდი „სპარტაკი“.

როგორც წესი, დაკავებულ ქართველ მეთევზეებს აფხაზები სცემდნენ და აპატიმრებდნენ, ხოლო გემებს იტოვებდნენ.

1998 წლის 16 ივლისიდან ქართველმა საზღვაო მესაზღვრეებმა საქართველოს ტერიტორიული წყლების გაკონტროლება დაიწყეს და ამ სამსახურის გაძლიერებასთან ერთად მეკობრული თავდასხმები შეწყდა. საზღვაო მესაზღვრეთა მონდომებით ბარიერი შეექმნა აფხაზეთის პორტებში სატვირთო გემების უკანონო მიმოსვლას, რასაც სოხუმის გაღიზიანება და არაერთი მუქარანარევი განცხადება მოჰყვა. ბოლო წლებში დაკავებულია 20-ზე მეტი გემი და მათი დიდი უმრავლესობა თურქეთის, ხოლო დანარჩენები რუსეთის, ესტონეთის, საბერძნეთისა და უკრაინის დროშით დაცურავდა. იყო შემთხვევები, როცა გემები სოხუმისაკენ აფხაზეთის დროშით მიემართებოდნენ.

უკანონო მიმოსვლის აღკვეთა სულ უფრო რთულდება. დაკავების რამდენიმე შემთხვევას გამაფრთხილებელი სროლაც მოჰყვა. გამოიკვეთა ერთი ტენდენცია — თურქული გემები ცდილობენ, სანაპიროსთან რაც შეიძლება ახლოს, 12 მილის ზონაში იცურაონ, მიემართებიან ჩრდილოეთით, რუსეთის ტერიტორიული წყლებისაკენ და შემდეგ ღია ზღვაში გადიან, სადაც მათი დაკავება ვეღარ ხერხდება. დღეს საზღვაო ხაზი თურქეთი-სოხუმი აშკარად მოქმედებს და ის სავაჭრო-სამგზავრო ფუნქციებთან ერთად კონტრაბანდის, არალეგალური ემიგრანტების გადაყვანისა და იარაღის უკანონო გადატანის მოვალეობებსაც ითავსებს.

ამ პრობლემას ზაფხულში სოჭიდან სამგზავრო გემების უნებართვო მიმოსვლა ემატება. პირველად ამის შესახებ ცნობილი გახდა 2003 წლის ზაფხულში, როცა 11-წლიანი შესვენების შემდეგ სოჭიდან ბოლივიის დროშით „ვეგა-1“ გამოვიდა. საქართველოს ხელისუფლების პროტესტმა „ვეგას“ რეისებს წერტილი მალე დაუსვა.

მომდევნო 2004 წლის ზაფხულში სოჭიდან ცურვა უკვე ორმა თბომავალმა „აკაციამ“ და „პლატანმა“ დაიწყო. საქართველოს ხელისუფლების მკაცრი განცხადებების შემდეგ თბომავლები დაცვის ქვეშ აფხაზურმა „გრიფებმა“ აიყვანეს. ამას მოჰყვა 11 აგვისტოს „აკაციით“ რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერ ჟირინოვსკის დემონსტრაციული მგზავრობა ჟურნალისტებთან ერთად აფხაზთა საბრძოლო კატარღების ესკორტით.

პარალელურად მოსკოვში სეპარატისტთა მხარდამჭერი ძალები ამოქმედდნენ და ზაფხულში აფხაზთა ფლოტის რიგებში „შმელის“ (პ.1204) ტიპის სამდინარო კატარღებიც გამოჩნდა.

გასული საუკუნის 60-იან წლებში, საბჭოთა კავშირი-ჩინეთის დაპირისპირებისას, შორეული აღმოსავლეთისათვის „შმელები“ მასობრივად იგებოდა. კატარღების ერთი ნაწილი დუნაის ფლოტილიის შემადგენლობაში 116-ე ბრიგადას გადაეცა. 1995 წლის იანვარში ბრიგადა დაიშალა, ხოლო აპრილის დამდეგს რუსეთის კუთვნილი 7 კატარღა ბუქსირებით თემრიუკში გადაიყვანეს. დაგეგმილი იყო კატარღების კასპიის ზღვაში გადაყვანა, მაგრამ „შმელების“ სიძველის გამო ეს საჭიროდ აღარ ჩაითვალა და უფრო მისაღები აფხაზებისათვის გადაცემა აღმოჩნდა.

ახლა აფხაზი სამხედროები ამტკიცებენ, რომ „შმელები“ რუსეთიდან შეიარაღების გარეშე მიიღეს და სოხუმში ტანკის კოშკურები დაუყენეს, რაც მტკნარი სიცრუეა. სოხუმის სახელოსნოებს საამისო ტექნიკური შესაძლებლობები არ გააჩნია, ხოლო ПТ-76 (კატარღებზე ამ ტიპის ტანკის კოშკურები დგას) ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არც ერთი ნაწილის შეიარაღებაში არ იმყოფებოდა.

შარშან, ივნისში, ტურისტული სეზონის წინ, საქართველომ რუს ტურისტებსა და დამსვენებლებს კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ საზღვაო საზღვრის არასანქცირებული გადაკვეთა აკრძალულია.

საპასუხოდ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკანონობის აღკვეთის მხარდაჭერა კი არ გამოხატა, არამედ განაცხადა, რომ „რუსეთი აუცილებლობის შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებებს მიიღებს, მათ შორის რუს მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შავი ზღვის სანაპიროს ამ ნაწილში“.

წლევანდელი ტურისტული სეზონი ჯერჯერობით მკაცრი განცხადებების გარეშე დაიწყო. ქართველი მესაზღვრეებისაგან გაფრთხილებული რუსი კოლეგები პასუხისმგებლობას კერძო ტურისტულ ფირმებს აკისრებენ. სოჭის პორტი აფხაზეთში მიმოსვლასთან დაკავშირებით ინფორმაციებს არ იძლევა. თბომავლები „აკაცია“ და „გაგრა“ მწყობრშია და დამსვენებლებს ზღვაზე გასეირნებას გაურკვეველი მიმართულებით სთავაზობს.

ყოველი შემთხვევისათვის აფხაზური ფლოტიც მზადყოფნაშია. სეპარატისტთა განკარგულებაშია ომგამოვლილი და სოლიდური ასაკის მქონე 4-6 „გრიფი“. მზად არის 3 „შმელი“, თუმცა გასათვალისწინებელია მისი რამდენიმე თავისებურება — „შმელების“ დაბალი, 85 სმ-იანი წყალჯდომი მას ღელვაში არამდგრადს ხდის, ხოლო სატანკო კოშკურას ვერტიკალურ სიბრტყეში სროლის შეზღუდული სექტორი აქვს. შესაბამისად, ღია ზღვაში ღელვის დროს მისი გამოყენება რისკთან არის დაკავშირებული.

სანაპირო დაცვის შემადგენელი კომპონენტია სანაპირო დაცვის არტილერია, რომელიც 100 მმ-იანი КС-100 ტიპის საზენიტო ქვემეხებისაგან შედგება და 20 კმ-მდე მანძილის დაფარვა შეუძლია. ქვემეხები აფხაზებს 1993 წლის სექტემბერში ოჩამჩირის საზენიტო არტილერიის სასწავლო ცენტრში დიდი რაოდენობით დახვდათ.

საზღვაო და საჰაერო სამიზნეების აღმოსაჩენად სეპარატისტები „ნაიად-5“-ის ტიპის რადიოლოკაციურ სადგურებს იყენებენ. სადგურებით 40 კმ-ის რადიუსში და 10 კმ-ის სიმაღლეზე სამიზნის აღმოჩენა შეიძლება.

დასახელებული ძალებით აფხაზებს შეუძლიათ 12 მილიანი „აფხაზეთის ტერიტორიული წყლების“ ზონის დაცვა-გაკონტროლება და სავაჭრო გემების გაცილება. ღია ზღვაში სამოქმედო შესაძლებლობები ბევრად შეზღუდულია. ასევე მხედველობაში მისაღებია კატარღების საშუალოდ 25-30-წლიანი ასაკი, რაც კორპუსისა და მექანიზმების საიმედოობას ყოველთვის სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბალისტიკური რაკეტების მწარმოებელი ღატაკი ქვეყანა



*მართალია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებმა და ახლო აღმოსავლეთში დაწყებულმა საბრძოლო მოქმედებებმა ერთგვარად დაჩრდილა შორეულ აღმოსავლეთში, კორეულ რაკეტებთან დაკავშირებული მომხდარი ინციდენტები, ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს, როგორ ახერხებს ერთი შეხედვით სუსტი და პატარა ჩრდილოეთ კორეა ბალისტიკური რაკეტების შექმნასა და გამოცდას, თანაც ისე, რომ მრისხანე მეზობლებს და მოწინააღმდეგეებსაც არ ეპუება. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ სწორედ ჩრდილოკორეული რაკეტებით იარაღდება ირანი, საქართველოს ახლო მეზობელი და ჩვენი მთავარი სამხედრო მოკავშირის, აშშ-ის სავარაუდო მოწინააღმდეგე.*

კორეის ომი 1953 წლის 27 ივლისის საზავო ხელშეკრულებით დამთავრდა. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთშიც და სამხრეთშიც მიაჩნდათ, რომ ადრე თუ გვიან ომი განახლდებოდა და ორივე მხარე ბრძოლის ახალი რაუნდისთვის და კორეის ნახევარკუნძულზე გასაბატონებლად ემზადებოდა.

ჩრდილოკორეელმა გენერლებმა იცოდნენ, რომ მომავალ ომში ისეთი იარაღი დასჭირდებოდათ, რომელიც მთელ სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე შეძლებდა სამიზნის განადგურებას. ბომბდამშენი ავიაციის იმედად ყოფნა უაზრობა იყო – ყველას ესმოდა, რომ ჰაერში უპირატესობა მოწინააღმდეგეს ექნებოდა. ასე რომ, ჩრდილოკორეულ ბომბდამშენებს სამხრეთელების თავდაცვის სიღრმეში სამიზნისკენ გაჭრის შანსი არ მიეცემოდათ. ჩიხიდან გამოსავალი რაკეტა იყო, მაგრამ უამრავი დაბრკოლება არსებობდა. მართალია, დროდადრო „ურღვევ და სამუდამო მეგობრობას" ეფიცებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფხენიანი და მოსკოვი მეგობრები ნამდვილად არ იყვნენ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლების დამლევს კიმ ირ სენი სასტიკად გაუსწორდა თავის გარემოცვაში პროსაბჭოურ და პროჩინურ მოღვაწეებს. მას შემდეგ ერთპიროვნულად მართავდა ქვეყანას და დიდად არ წუხდა, რას იფიქრებდნენ მოსკოვში ან პეკინში მის პოლიტიკაზე. საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა პოლიტიკურ-კომერციულ საფუძველს ემყარებოდა: ეკონომიკური დახმარება პოლიტიკური დათმობების სან-

აცვლოდ (ან ამის დაპირება).

რა თქმა უნდა, კორეის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკას საბჭოთა კავშირი ეკონომიურადაც და პოლიტიკურადაც ეხმარებოდა. უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩრდილო კორეა კარგი საშუალება იყო საბჭოეთიდან სხვაგან ამერიკის ყურადღების გადასატანად, კიდევ იმიტომაც, რომ მოსკოვს საბჭოთა კავშირ-ჩინეთის კონფლიქტში ფხენიანის მეგობრული ნეიტრალიტეტი სჭირდებოდა. თუმცა მოსკოვს ფხენიანის არც გადამეტებულად შეიარაღება სურდა, რადგან ჩრდილო კორეა შეიარაღებას თავისი სურვილისამებრ გამოიყენებდა და საბჭოთა ინტერესებს არ გაითვალისწინებდა. ეს განსაკუთრებით შემტევ შეიარაღებაზე ითქმოდა. მოსკოვს კარგად ახსოვდა, 1948-50 წლებში კიმ ირ სენი აქტიურად რომ ლობირებდა სამხრეთზე უეცარი თავდასხმის გეგმას. მაშინ მოსკოვი წინდაუხედავად დათანხმდა და მერე დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა ფიზიკური განადგურებისგან ეხსნა.

ამიტომაც იყო, რომ საბჭოთა კავშირი ჩრდილო კორეას მხოლოდ საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსა და ახლო სიშორის ტაქტიკურ რაკეტებს აწვდიდა. 1965 წელს ჩრდილო კორეაში რაკეტა „ლუნა-2" (3P10)-ის 8 გასაშვები დანადგარი გაიგზავნა, რომელთაგან ჩრდილო კორეის არმიაში პირველი ცალკეული სარაკეტო პოლკი შეიქმნა. რაკეტა „ლუნა-2"-ს შეზღუდული სიშორე ჰქონდა – არა უმეტეს 55 კმ-ისა. ეს კი საკმარისი შეიქნა სეულისთვის ცეცხლის დასაშენად. ქალაქის ცენტრი ხომ საზღვრიდან სულ რაღაც 50 კილომეტრზე მდებარეობს, მაგრამ მოწინააღმდეგის ტერიტორიის სიღრმეში დარტყმის მისაყენებლად ეს კომპლექსი არვარგოდა.

1974 წელს სამხრეთ კორეამ რაკეტა „პეკკომის" („თეთრი დათვი") შემუშავება დაიწყო. ცდილობდნენ, საპასუხო დარტყმის იარაღი შეექმნათ – ფხენიანი ხომ კორეის რესპუბლიკის არმიისთვის მიუღწეველი იყო, მაშინ როცა სეული ჩრდილოკორეული კომპლექსების „ლუნა-2"-ების ცეცხლის ზონაში ხვდებოდა. პროგრამა „პეკკომი" მოგვიანებით ვაშინგტონის ზეწოლით დაიხურა. აშშ იმავე მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომლითაც მოსკოვი – ვაშინგტონს არ სურდა ჭირვეულ და იმპულსურ მოკავშირეს შემტევი იარაღი ჰქონოდა. მიუხედავად ამისა, 1970 წლის დამდეგს სიტუაცია მოულოდნელად შეიცვალა. ფხენიანში ანერვიულდნენ და გამალებული შეიარაღების სულისკვეთებით სამხრეთკორეულ „პასუხზე" საპასუხო მზადება დაიწყეს.

რადგან საბჭოთა კავშირი კატეგორიულად ამბობდა უარს ჩრდილო კორეის ბალისტიკური რაკეტებით შეიარაღებაზე, კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ გადაწყვიტა, ჩინეთისთვის მიემართა. 1975 წლის აპრილში კიმ ირ სენმა პირადი მოლაპარაკებისას მაო დაითანხმა ჩრდილო კორეისთვის 600 კმ-ის სიშორის ბალისტიკური რაკეტების მიწოდებაზე. ერთი ეგ იყო, შესაფერისი სისტემა ჩინეთს არ ჰქონდა და მისი შემუშავება იქნებოდა საჭირო. მუშაობა დაუყოვნებლივ დაიწყო, მაგრამ 1978 წლის დამლევს შეჩერდა. ამის მიზეზი ნაწილობრივ ჩინეთის გენერალიტეტის შიდაუთანხმოებები, ნაწილობრივ კი გეოპოლიტიკური ცვლილებები იყო – 1978-79 წლებში ჩინეთმა და აშშ-მ ფაქტობრივი კავშირი შექმნეს, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული და პეკინს ახალი ამერიკელი მეგობრების გაღიზიანება არ სურდა.

ამ პირობებში კიმ ირ სენს მხოლოდ და მხოლოდ იმ ჩრდილოკორეელი ინჟინრების იმედიღა ჰქონდა, რომლებმაც 1975 წელს სარაკეტო სისტემის შექმნა სცადეს. მაშინ საფუძვლად უმართავი მყარსაწვავიანი რაკეტა „ლუნა-ვ" (9K21) აიღეს, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიარაღებაში 1964 წელს მიიღო. „ლუნა-ვ"-ს 450 კგ მუხტის 70 კმ-ზე ტარება შეეძლო. იმ დროისთვის ასეთი სარაკეტო კომპლექსები ეგვიპტესა და სირიასაც მიაწოდეს. რაკი ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირისგან „ლუნა-ვ"-ს ვერ იყიდდნენ, ჩრდილო კორეამ ეგვიპტისგან შეიძინა რამდენიმე გასაშვები დანადგარი და რამდენიმე ათეული რაკეტა. რაკეტების ასლი ჩრდილოკორეელმა ინჟინრებმა გადაიღეს და 1980 წლიდან მისი სერიული გამოშვებაც დაიწყეს.

„ლუნა-ვ"-ის ყიდვა და კოპირება ჩრდილო კორეისთვის სტარტის აღება გამოდგა – 1980 წელს მან ეგვიპტისგან უფრო მნიშვნელოვანი სისტემა – საბჭოთა თხევადსაწვავიანი რაკეტა P-17 (ვერსია 9K72) იყიდა. დასავლეთში ის SCUD-B-ს სახელწოდებით იყო ცნობილი. 300 კმ-ის სიშორის ამ რაკეტას, რომელიც რუსეთის დღესაც აქვს შეიარ-

ლებაში, სამიზნემდე 1000 კგ-მდე საბრძოლო ნაწილის მიტანა შეეძლო. ჩრდილო კორეისთვის 300 კმ სავსებით მისაღები რადიუსია, სამხრეთ კორეის დიდი ტერიტორიის დაზიანების საშუალებას იძლევა.

1984 წლისთვის ჩრდილოკორეელმა ინჟინრებმა 9K72-ის კოპირება დაასრულეს და გამოსცადეს კიდეც. მას პირობითად „ხვასონ-5“ უწოდეს. პირველ ვარიანტში საბჭოთა პროტოტიპის ზუსტი ასლი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში რამდენადმე გაზარდეს ფრენის სიშორე. რაკეტის სიზუსტის ასამაღლებლად ჩრდილო კორეის სპეცსამსახურებმა ტექნოლოგიების შესყიდვა საზღვარგარეთ სცადეს. მაგალითად, 1984 წელს ნიუ-იორკში დააპატიმრეს ირანელი ბიზნესმენი, რომელიც ჩრდილო კორეისთვის დამიზნების სისტემების მიწოდებას ცდილობდა. 1978 წელს საბჭოთა კავშირიდან ფრუნზეს აკადემიის კურსანტი გააძევეს, ის სარაკეტო ტექნოლოგიების მასალების კოპირებას ცდილობდა.

1988-90 წლებში „ხვასონ-5“-ს სერიოზული მოდერნიზება გაუკეთდა. 700 კგ საბრძოლო ნაწილისა და 500 კმ-ის სიშორის მქონე ახალ რაკეტას „ხვასონ-6“ უწოდეს. ბოლოს და ბოლოს ასრულდა ჩრდილოკორეელი სამხედროების ოცნება — სამხრეთ კორეის მთელ ტერიტორიაზე სამიზნის დაზიანება. სულ ჩრდილო კორეაში 600-დან 1000-მდე რაკეტა „ხვასონი“ შეიქმნა, დაახლოებით ნახევარი საექსპორტო იყო.

ამ დროისთვის სარაკეტო პროგრამა ჩრდილო კორეისთვის სავალუტო შემოსავლის წყარო გახდა. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა მსოფლიოს ერთ-ერთი ქვეყანათაგანი იყო, რომელსაც შეეძლო მოსკოვისა და ვაშინგტონის მითითებებისთვის ანგარიში არ გაეწია და ამავდროულად სარაკეტო ტექნოლოგიების მფლობელიც ყოფილიყო. ვინც კი კარგად გადაიხდიდა, ჩრდილო კორეა მზად იყო, ყველასთვის მიეყიდა ტექნოლოგიები და პოლიტიკურ შედეგებზე არც კი ფიქრობდა.

მალე პირველი მყიდველი გამოჩნდა — ირანმა 1987 წლის ზაფხულში რაკეტა „ხვასონ-5“-ის (ირანში „შეჰაბ-1“-ის სახელწოდებით ცნობილი) პარტია იყიდა. ირანის არმია ინტენსიურად იყენებდა ამ რაკეტებს ერაყთან ომის დროს — ერაყულ ქალაქებს დაახლოებით 80 საბრძოლო დარტყმა მიაყენა. „ხვასონ-5“-ის კიდევ ერთი პარტია არაბთა გაერთიანებულმა საამიროებმა შეიძინა. „ხვასონ-6“-ებს ჩრდილო კორეა აწვდიდა ირანს, სირიას, ვიეტნამს, ლიბიას. ზოგიერთი ტექნოლოგია და კვანძი ეგვიპტემაც იყიდა. ამ პირობებში გადაწყდა შემდეგი ნაბიჯის გადადგმაც — დიდი სიშორის რაკეტების წარმოების დაწყება. ეს აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ 80-იანი წლების შუახანებში კორეაში ინტენსიურად მუშაობდნენ ბირთვული იარაღის შექმნაზე, რომელსაც მიწოდების საშუალებები სჭირდებოდა.

პირველი ჩრდილოკორეული სარაკეტო სისტემა, რომელსაც კორეის ნახევარკუნძულის საზღვრებგარეთ სამიზნის დაზიანება შეეძლო, „ნოდონ-1“ იყო (დასავლეთში მიღებული პირობითი სახელწოდება). 1991 წელს პირველი საგამოცდო გაშვება კატასტროფით დასრულდა — რაკეტა სასტარტო მოედანზე აფეთქდა, მაგრამ შემდგომი გაშვებები 1993 წელს შედეგიანი იყო. ნიშანდობლივია, რომ რაკეტის გაშვებას პოტენციური მყიდველებიც ესწრებოდნენ — ირანელი და პაკისტანელი სამხედროები (კიდევ ერთი ფაქტი, რომ ჩრდილოკორეულ სარაკეტო პროგრამას არა მარტო სამხედრო, კომერციული მიზანიც აქვს). გამოცდის შემდეგ რაკეტის სერიული გამოშვება დაიწყო. 2000 წლის დამდეგისთვის გამოუშვეს 75-დან 100-მდე რაკეტა „ნოდონი-1“, რომლითაც შეიარაღებულია ერთი ცალკეული სარაკეტო ბატალიონი, რომელიც ცალკეულ სარაკეტო პოლკთან ერთად (რაკეტა „ხვასონ-6“-ები) 1990 წელს შექმნილი უმაღლესი მთავარსარდლობის ცალკეული სარაკეტო დივიზიის შემადგენლობაშია.

1300 კმ სიშორისა და 700-1000 კგ საბრძოლო ნაწილის მქონე „ნოდონ-1“-ს შეუძლია ტოკიოს, პეკინის, ტაიბეის ან ხაბაროვსკისთვის დარტყმის მიყენება, თუმცა მისი მთავარი პოტენციური სამიზნე იაპონიაში განთავსებული ამერიკული ბაზებია. „ნოდონ-1“ „ხვასონ-6“-ის დაახლოებით ერთ-ნახევარჯერ გადიდებული მოდელია. დასავლური პრესის მტკიცებით, რაკეტაზე მუშაობდნენ რუსი ინჟინრებიცა და დსთ-ის სხვა ქვეყნების სპეციალისტებიც.




რაკეტას შეუძლია ბირთვული მუხტის ტარება, თუმცა ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, ჩრდილოეთ კორეამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ბირთვული ქობინის შემუშავება.

„ნოდონ-1“-ის წარმოების ტექნოლოგია პაკისტანს გადაეცა, სადაც ჩრდილოკორეული სისტემის ანალოგი რაკეტა „გჰაური“ ააწყვეს. ის „ნოდონ-1“-ის არა მარტო ზუსტი ასლია, არამედ ჩრდილო კორეიდან მიწოდებულ კვანძებსაც და კომპონენტებსაც შეიცავს. ინდოეთთან კონფლიქტის შემთხვევაში ეს რაკეტა შეიძლება ბირთვული იარაღის მატარებლადაც გამოიყენონ.

სისტემის კიდევ ერთი მყიდველი ჩრდილოკორეელი მერაკეტეების მუდმივი კლიენტი ირანია. ახალი სისტემისადმი ინტერესი სხვა მყიდველებმაც გამოხატეს — სირიამ, ლიბიამ, ეგვიპტემ.

90-იანი წლების შუახანებში დაიწყეს მუშაობა მრავალსაფეხუროვან რაკეტაზე, რომლებიც დღეს უკვე კონტინენტშორისად უნდა ჩაითვალოს. მასობრივ შიმშილს, რომელმაც 1995-99 წლებში ათასობით კაცი ამოწყვიტა, მერაკეტეების ენთუზიაზმი არ გაუნელებია, თუმცა მუშაობა ოდნავ მაინც შეანელა. მათი ძალისხმევის ნაყოფი იყო რაკეტები „ტეპჰოდონ-1“ (სიშორე 2500კმ) და „ტეპჰოდონ-2“ (7000კმ).

„ტეპჰოდონ-1“ ორი უკვე შემოწმებული სარაკეტო სისტემის კომბინაციაა. პირველ საფეხურად გამოიყენეს უფრო მძლავრი „ნოდონ-1“, მეორე საფეხურად კი — „ხვასონ-6“. რაკეტა „ტეპჰოდონ-2“-ში „ნოდონ-1“-ის მოდერნიზებული ვარიანტი მეორე საფეხურად გამოიყენებოდა. პირველი საფეხური კი სპეციალურად შეიმუშავეს.

„ტეპჰოდონ-2“ იმითაც არის ცნობილი, რომ პირველი კორეული კოსმოსური რაკეტის საფუძვლად გამოიყენეს, რომელიც 1998 წლის 31 აგვისტოს გაუშვეს მუსან-რის პოლიგონიდან (იაპონიის ზღვის სანაპირო). სტანდარტულ ორ საფეხურს დაამატეს მესამეც, მყარსაწვავიანი, რომელსაც ხელოვნური თანამგზავრი ორბიტაზე უნდა გაეყვანა. რაკეტამ სტარტი 12.07 სთ-ზე აიღო და მალე ჩრდილო კორეამ მსოფლიოს ამცნო ჩუჩხეური მეცნიერებისა და ტექნიკის კიდევ ერთი წარმატების — ჩრდილოკორეული თანამგზავრის გაშვების ამბავი. მათი მტკიცებით, თანამგზავრი ორბიტაზე გავიდა და თავისი მთავარი მისიის შესრულება — საყვარელ ხელმძღვანელ კიმ ჩენ ირზე რევოლუციური სიმღერების გადაცემის ტრანსლაცია დაიწყო.

ფხენიანი, როგორც ყოველთვის, ცრუობდა. კოსმოსიდან საყვარელ ხელმძღვანელზე სიმღერები არავის გაუგონია და ვერც გაიგონებდა — ამერიკის ტექნიკური დაზვერვის მონაცემებით, თანამგზავრი ორბიტაზე არ გასულა და წყნარ ოკეანეში, კორეის აღმოსავლეთიდან 4000 კმ-ზე ჩავარდა. ეს უფრო სარწმუნოა — პოლიტიკური მოსაზრებებით ამერიკელებს ახლა უფრო ხელს აძლევს ჩრდილოკორეელების სარაკეტო პროგრამის

ეფექტიანობის გაზვიადება და არა — დამცრობა.

თანამგზავრის გაშვება იმ ქვეყნიდან, რომელიც შიმშილობს, უცნაური და შლეგური საქციელია, მაგრამ ამ სიგიჟეშიც არის ლოგიკა — თანამგზავრის გაშვებამ თვალნათლივ ცხადყო, რომ ჩრდილო კორეას ისეთი სარაკეტო ტექნოლოგიები აქვს, რომლებიც დაახლოებით შეესაბამება ამერიკის ან საბჭოთა კავშირის 50-იანი წლების დონეს. არსებითად, თანამგზავრის გაშვება საპიარო აქცია იყო, რომელმაც მსოფლიოს ყურადღება მიაქცია ჩრდილოკორეულ სარაკეტო პროგრამისკენ.

რაში სჭირდებათ ასეთი ყურადღება? სამხედრო თვალსაზრისით ეს პროგრამა უმნიშვნელოა. ბირთვული ქობინების შექმნამდე ჩრდილო კორეას ბევრი აკლია, ჩვეულებრივი საბრძოლო ნაწილებით კი ეს მცირეწერტილოვანი რაკეტები უფრო ფსიქოლოგიურ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე სამხედროს.

სარაკეტო პროგრამა მნიშვნელოვანია ორი მიზეზითაც: პირველი — მას დიდი შემოსავალი მოაქვს ქვეყნისთვის. კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა სარაკეტო ტექნიკას ნაღდ ფულზე ყიდის; მეორე — სარაკეტო პროგრამა დასავლეთთან მოლაპარაკებებში კოზირია.

1994 წელს ჩრდილო კორეამ თანხმობა განაცხადა თავის ბირთვულ პროგრამაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებაზე და ბირთვულ იარაღზე მუშაობა შეაჩერა. ამის სანაცვლოდ აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და იაპონიამ ჩრდილო კორეაში ორი მძლავრი რეაქტორის აშენება და ყოველწლიურად უფასოდ 500 ათასი ტონა ნავთობის შეტანა გადაწყვიტეს. იმის გათვალისწინებით, რომ ბირთვული პროგრამა არც ისე შორს წასულა (ან იქნებ ბლეფიც იყო), ასეთი „გაცვლა" ფხენიანის დიპლომატიის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. ანალოგიური შეთანხმებები რაკეტების თაობაზეც სავსებით მოსალოდნელია.

მეორე მხრივ, აშშ-ისთვის ჩრდილოკორეულ სარაკეტო პროგრამას არცთუ პატარა მნიშვნელობა აქვს. ის კარგი საბაბია რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შემუშავებისა და გაშლისათვის. რომ არა ჩრდილოკორეული სარაკეტო ექსპერიმენტები, კონგრესისგან სისტემის შექმნისათვის ფულის მიღება ძალზე გართულდებოდა. ამიტომ არის, ვაშინგტონი ჩრდილოკორეულ სარაკეტო გამოკვლევებზე რომ ასე ემოციურად რეაგირებს. სხვა მხრივ, „ბირთვული კლუბის" ის წევრები, რომლებსაც არც ისე ახარებთ ამერიკის მცდელობა რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის შექმნისა, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ფხენიანის სარაკეტო ექსპერიმენტებით გამოწვეული შიში უსაფუძვლოა (ამ აზრზე არიან ჩინეთი და რუსეთი). ამასობაში კი ფხენიანი ცდილობს თავის მეზობლებს შორის წინააღმდეგობანი იმისათვის გამოიყენოს, რომ მათგან კიდევ მეტი ეკონომიკური დახმარება და პოლიტიკური დათმობა მიიღოს.

■

# სარაკეტო კატარღები საზღვაო კონფლიქტებში



ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი სარაკეტო კატარღები საბრძოლო კატარღების ახალი კლასია, რომელიც პირველად გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გამოჩნდა საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის შემადგენლობაში.

სპეციალისტები სარაკეტო კატარღების მთავარ დანიშნულებას ზღვასა და სანაპირო ზოლში მასირებული სარაკეტო დარტყმებით მოწინააღმდეგის წყალზედა საბრძოლო ხომალდებისა და სატრანსპორტო გემების განადგურებაში ხედავდნენ; დამხმარე ამოცანად განიხილებოდა ინფორმაციის მოსაპოვებლად და სარაკეტო ხომალდებიდან სროლის უზრუნველსაყოფად სახომალდო დამკვირვებელი პუნქტის მოვალეობის შესრულება.

სარაკეტო კატარღებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ დიდ საბრძოლო ხომალდებთან შედარებით მას ისეთი დადებითი თვისებები აღმოაჩნდა, როგორიც არის მობილურობა, უმოკლეს დროში მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი და ძლიერი დარტყმის მიყენების უნარი, დაბალი ღირებულება, მშენებლობისათვის საჭირო მცირე დრო, ბაზირებისათვის ბევრად მარტივი პირობები და ა.შ.

1967 წლის 5 ივნისს ახლო აღმოსავლეთში არაბეთ-ისრაელის მორიგი ომი დაიწყო, რომელიც 6 დღეში ამ უკანასკნელის გამარჯვებით დასრულდა. წარმატებას არაბებმა მხოლოდ ზღვაზე მიაღწიეს და ისიც სარაკეტო კატარღების გამოყენებით.

21 ოქტომბერს პორტ-საიდიდან 13 მილში ეგვიპტელთა ორმა სარაკეტო კატარღამ (საბჭოთა პროექტი 183P) П-15 ტიპის 3 რაკეტით ისრაელის საესკადრო ნაღმოსანი „ეილატი" ჩაძირა. მეოთხე რაკეტა უკვე ნახევრად ჩაძირულ „ეილატს" მოხვდა.

77,5 ტონა წყალწყვის კატარღებით 2555 ტონა წყალწყვის ხომალდის ჩაძირვამ დიდი ეფექტი მოახდინა და სარაკეტო კატარღებისადმი სამხედრო-საზღვაო სპეციალისტების საყოველთაო ინტერესი გამოიწვია, თუმცა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი უყურადღებოდ დარჩა. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი „ეილატი" ლამის სასწავლო სამიზნეს წარმოადგენდა, რომელსაც თავდაცვა მხოლოდ ომისდროინდელი ძველი საზენიტო ავტომატებით შეეძლო.

1970 წლის 15 მაისს ეგვიპტელებმა ფრთოსანი რაკეტით ისრაელელთა კიდევ ერთი გემი, ამჯერად მშვიდობიანი თევზმჭერი „ორიტი" ჩაძირეს.

ინდოეთ-პაკისტანის 1971 წლის დაპირისპირებამ სარაკეტო კატარღებს კიდევ ერთი გამარჯვება მოუტანა. 1971 წლის 5 დეკემბრის ღამეს ყარაჩის მახლობლად ინდუსთა სამი სარაკეტო კატარღის (საბჭოთა პროექტი 205) რეიდს პაკისტანელთა საესკადრო ნაღმოსანი „ჰაიბერი" ემსხვერპლა. 1946 წელს ბრიტანეთში აგებული ძველი ხომალდი იდეალური სამიზნე გამოდგა, რომელიც ორმა П-15-მა ჩაძირა.

საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის იმდროინდელი სარდალი სერგეი გორშკოვი სიამაყით წერდა: „მრავალი წლის განმავლობაში ფრთოსანი რაკეტებით აღჭურვილი იყო მხოლოდ ჩვენი (ე. ი. საბჭოთა) ფლოტის ხომალდები. სხვა ქვეყნების ფლოტებში ამ იარაღს სიფრთხილით ეკიდებოდნენ. თუკი ცნობდნენ კიდეც მის ეფექტიანობას, შეიარაღებაში მიღებას მაინც არ ჩქარობდნენ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ეგვიპტელთა სარაკეტო კატარღებმა ისრაელის საესკადრო ნაღმოსანი „ეილატი" ჩაძირეს, ფრთოსანმა რაკეტებმა თავიანთი ადგილი დაიმკვიდრეს მრავალი სახელმწიფოს, მათ შორის დიდი ტრადიციების მქონე საზღვაო ქვეყნების ფლოტებში".

ამ გამარჯვებების შემდეგ სარაკეტო კატარღები იმ უნივერსალურ საშუალებად აღიარეს, რომელიც დიდი წყალწყვის ხომალდების წინააღმდეგ სანაპირო ზოლში, წყალთხელ რაიონებში, ფიორდებსა და

შერებში წარმატებით იმოქმედებდა.

მეტიც, საბჭოთა საზღვაო თეორეტიკოსებმა სარაკეტო კატარღებში აშშ-ისა და NATO-ს ხომალდებთან ბრძოლის საიმედო საშუალება დაინახეს, რასაც სარაკეტო კატარღების მასობრივი მშენებლობა მოჰყვა.

სულ 1955-91 წლებში საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის სხვადასხვა პროექტის 300-მდე სარაკეტო კატარღა აიგო. მათგან 205-ე პროექტით 170 არის აგებული და თითოეული 4 ფრთოსან რაკეტას ატარებდა. ორ-ორი რაკეტით იყო აღჭურვილი 183-ე პროექტის 118 კატარღა. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირმა მოძმე სოციალისტურ და მეგობრულ ქვეყნებსაც აუშენა და გადასცა რამდენიმე ათეული სარაკეტო კატარღა.

საბჭოთა დოკუმენტაციისა და სამუშაო ნახაზების გამოყენებით სარაკეტო კატარღების მშენებლობა ჩინეთსა და ჩრდილო კორეაში არანაკლები გაქანებით მიმდინარეობდა. ჩინელებმა 183-ე პროექტის საფუძველზე „ჰიგუ“ შექმნეს და დაახლოებით 120 ერთეული ააგეს. აგებულია ასამდე 205-ე პროექტის ანალოგი „ჰუანგ-ფინი“.

1966 წელს საბჭოთა კავშირისა და რამდენიმე კომუნისტური სახელმწიფოს გარდა, სარაკეტო კატარღებს მხოლოდ ინდონეზია (12 ერთეული) და ეგვიპტე (3 ერთეული) ფლობდა.

ოცი წლის შემდეგ, 1987-88 წლებისათვის, 50 სახელმწიფოს ფლოტში დაახლოებით 880 სარაკეტო კატარღა ირიცხებოდა. ყველაზე ბევრი ჰყავდა საბჭოთა კავშირს – 150-ზე მეტი, ჩინეთს 120-ზე მეტი, ტაივანს – 52, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას – 40, ნორვეგიას – 40, კუბას – 30, ლიბიას – 26 და ა.შ. 6 სარაკეტო კატარღა აშშ-ის ფლოტშიც შედიოდა და ძირითადად საბრძოლო შესაძლებლობათა შესწავლისთვის იყენებდნენ.

ზოგიერთი ქვეყნის ფლოტში სარაკეტო კატარღებმა ძირითადი კლასის საბრძოლო ხომალდები (კრეისერი-საესკადრო ნაღმოსანი) შეცვალეს და გარკვეულწილად კომპენსირებაც კი გაუკეთეს.

წარმატებების მიუხედავად სარაკეტო კატარღების ზოგიერთი ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებელი გაუმჯობესებას მოითხოვდა. მაგალითად: შეუძლებელი იყო ფრთოსანი რაკეტების ფრენის მაქსიმალურ სიშორეზე, 90-100 კმ-ზე სამიზნის აღმოჩენა-ამოცნობა („ეილატი“ და „ჰაიბერი“ 30-40 კმ-ის მანძილზე იქნა ჩაძირული), კატარღებს არასაკმარისი ცურვის სიშორე ახასიათებდა და ა.შ..

დასავლეთის ქვეყნებს სარაკეტო კატარღები ისევ და ისევ კატარღებთან ბრძოლის საშუალებად მიაჩნდათ და ორი ამოცანა დაისახეს: I – სპეციალური სადაზვერვო-შემტევი შვეულმფრენების გამოყენებით ფრთოსანი რაკეტისათვის ფრენის მაქსიმალურ სიშორეზე სამიზნის აღმოჩენის უზრუნველყოფა; II – მცირეგაბარიტიანი ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსების შემუშავება.

დასავლური მიდგომა უფრო რაციონალური გამოდგა და ეს მალე ისრაელის ფლოტმა დაადასტურა. 1973 წლის ოქტომბრის არაბეთ-ისრაელის მეოთხე ომს ისრაელის სამხედრო-საზღვაო ძალები საფუძვლიანად მომზადებული შეხვდა. შესწავლილ იქნა წინა კონფლიქტებში სარაკეტო კატარღების გამოყენების შემთხვევები, ფლოტი „კომბატანტის“ ტიპის თანამედროვე კატარღებით შეივსო, დამუშავდა ავიაციასთან ერთობლივი მოქმედების ახალი ხერხები. ყველაფერი ეს მთლიანობაში ზღვაზე წარმატების წინა პირობად გადაიქცა.

ომის პირველივე დღეს, 1973 წლის 6 ოქტომბერს, საღამოს ისრაელის ფლოტის 5 სარაკეტო კატარღისაგან შემდგარი შემტევი ჯგუფი (4 „კომბატანტ II“ და 1 „რეშაფი“) სირიელთა სამხედრო-საზღვაო ბაზა ლატაკიის რაიონში პატრულირებდა. კატარღები მშვიდობიან, ნელმავალ თევზმჭერ სეინერებად ინიღბებოდნენ და დაბალი სიჩქარით დაცურავდნენ. ჯგუფს თან ახლდა 2 სადესანტო კატარღა 4 შვეულმფრენით ბორტზე. შვეულმფრენთა მოვალეობას დაზვერვა და სამიზნეებზე სარაკეტო კატარღების გაყვანა შეადგენდა.

პატრულირებისას ლატაკიის ახლოს შემჩნეულ სირიელთა მტრალავ „იარმუკსა“ და სატორპედო კატარღას ისრაელელთა კატარღები ფრთოსანი რაკეტებით იოლად გაუსწორდნენ.

მოწინააღმდეგის ნეიტრალიზაციისათვის და თავდასხმის მოსაგერიებლად ლატაკიიდან სირიელთა 3 სარაკეტო კატარღა (ორი პ.183P და ერთი პ.205) გამოვიდა. ისრაელელთა შვეულმფრენები ამ დროს ზღვის ზედაპირიდან 100-200 მეტრ სიმაღლეზე დაბალი სიჩქარით მიფრინავდნენ და წყალზედა სამიზნეების იმიტაციას ახდენდნენ. არაბთა რადიოლოკაციური სადგურების ოპერატორებმა შვეულმფრენები რეალურ საზღვაო სამიზნეებად აღიქვეს და ბრძანების მიღებისთანავე კატარღებიდან 7 ფრთოსანი რაკეტა გაისროლეს.

შვეულმფრენთა პილოტებმა მანევრირებითა და ფრენის სიმაღლის მკვეთრი აწევით ფრთოსანი რაკეტები აიცილეს. რადიოლოკატორების ეკრანებიდან სამიზნეები გაქრა და არაბებმა ჩათვალეს, რომ მოწინააღმდეგე გაანადგურეს. ისრაელელთა „კომბატანტები“ კი შემობრუნდნენ, მაქსიმალური სიჩქარე განავითარეს და რაკეტების გარეშე დარჩენილ სირიელთა კატარღებს გამოედევნენ. „კომბატანტებმა“ მეტი სიჩქარის ხარჯზე „გაბრიელებით“ სროლისათვის საჭირო მანძილს სწრაფად მიაღწიეს და 18-20 კმ-ის დისტანციიდან რაკეტები გაისროლეს. სირიელთა 2 კატარღა მაშინვე ჩაიძირა, ხოლო მესამე ნაპირზე გამოვარდა, სადაც შვეულმფრენებმა მოუღეს ბოლო.

ოპერაცია დაახლოებით 2 საათს გაგრძელდა და სირიელებმა 1 მტრალავი ხომალდი, 1 სატორპედო და 3 სარაკეტო კატარღა დაკარგეს.

ომს საბჭოთა სატვირთო გემი „ილია მეჩნიკოვიც“ შეეწირა. 1973 წლის 12 ოქტომბერს სირიის პორტ ტარტუსზე თავდასხმისას საბჭოთა გემი ორმა „გაბრიელის“ ტიპის რაკეტამ ფსკერისკენ გაისტუმრა.

მოგვიანებით სამხედრო-საზღვაო სპეციალისტებმა 1973 წლის ომის შედეგების საფუძველზე ერთი საინტერესო დასკვნა გააკეთეს და ზღვაზე არაბთა წარუმატე-




**XX საუკუნის 60-70-იანი წლების მრისხანე ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა П-15М „ტერმიტი“**

ეროვნული ბიბლიოთეკა



მრავალმხრივი დანიშნულების „მირაჟის“ პროექტის რუსული კატარღა



წყალქვეშა ფრთებიანი უკრაინული სარაკეტო კატარღა „პრილუტი“ (პროექტი 206 MP)



ირანული სარაკეტო კატარღა „ჰადიდი“ (ჩინური პროექტი „ჰიუდონგი“)

ბლობის ერთ-ერთ მიზეზად ხომალდსაწინაალმდეგო რაკეტა П-15 დაასახელეს. საბჭოთა რაკეტა მცირე ზომის, სწრაფი და მაღალმანევრული კატარღების წინააღმდეგ არაეფექტიანი აღმოჩნდა. ის ნაკლებად კატარღასაწინააღმდეგო და უფრო მეტად ხომალდსაწინააღმდეგო იარაღი გამოდგა.

მომდევნო კონფლიქტებში, სადაც გადამწყვეტ როლს უკვე ავიაცია თამაშობდა, სარაკეტო კატარღებს სამოქმედოდ უფრო მეტი სირთულეები შეექმნა. ჰაერში თანამედროვე საბრძოლო საშუალებებით აღჭურვილი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების ბატონობის პირობებში სარაკეტო კატარღა საკმაოდ დაუცველი დარჩა. თითქმის ყველა ოპერაციაში თვითმფრინავი-სარაკეტო კატარღის დაპირისპირება პირველის გამარჯვებით მთავრდებოდა.

1986 წლის 24 მარტს ლიბიის სანაპირო წყლებში ოპერაცია „ცეცხლი პრერიაში“ მსვლელობისას ლიბიელთა სარაკეტო კატარღა „ვოჰიდი“ (პროექტი „კომბატანტ II“) სიდრას ყურეში ამერიკელთა 2 საზღვაო მოიერიშე „ინტრუდერის“ შეტევის სამიზნე გახდა. ამერიკული „ჰარპუნი“ კატარღას ზედნაშენში მოხვდა და აფეთქდა. იქ მყოფნი დაიღუპნენ, ხოლო „ვოჰიდს“ ხანძარი გაუჩნდა. ცეცხლი სწრაფად გავრცელდა, 76 მმ-იანი ჭურვებისა და „ოტომატის“ ტიპის ფრთოსანი რაკეტების საცავებს მოედო, რაც აფეთქებებითა და კატარღის ჩაძირვით დასრულდა.

მეორე დღეს, 25 მარტს, ბენგაზიდან დასავლეთით 20 მილში მოვლენები იმავე სცენარით განვითარდა. ამერიკელებმა კრეისერ „იორკთაუნიდან“ ლიბიის სარაკეტო კატარღა „ეინ ზაგუტი“ (საბჭოთა პროექტი 1234) დააპელენგეს და 11 მილის მანძილიდან 2 „ჰარპუნის“ ტიპის რაკეტა ესროლეს. პირველი რაკეტა კატარღას წყალხაზის ოდნავ ზემოთ მოხვდა და 20 კვმეტრის ნახვრეტი გააჩინა. რამდენიმე წამის შემდეგ კატარღის ზედნაშენში მეორე რაკეტა აფეთქდა.

სროლის მანძილის სიმცირის გამო რაკეტებში საწვავი დარჩა, რომელიც კატარღის გემბანზე დაიღვარა და ცეცხლგამჩენ სითხედ გადაიქცა. რამდენიმე წუთში „ეინ ზაგუტი“ ჩირაღდანს დაემსგავსა, ხოლო 15 წუთის შემდეგ 700 ტონა წყალწყვის კატარღიდან ზღვის ზედაპირზე რამდენიმე ნამსხვრევიღა ტივტივებდა. 60-კაციანი ეკიპაჟი მთლიანად დაიღუპა.

მომდევნო მარცხი სარაკეტო კატარღებმა სპარსეთის ყურეში იწვნიეს. ირან-ერაყის ომის დროს ნავთობით დატვირთულ ტანკერებზე ირანელთა თავდასხმებით შეწუხებულმა ამერიკელებმა შურის საძიებლად ოპერაცია ჩაიფიქრეს, ხოლო სამიზნეებად ირანის ნავთობმომპოვებელი პლატფორმები და ფრეგატის კლასის ხომალდები შეარჩიეს.

ოპერაცია 1988 წლის 18 აპრილს დაიწყო. ამერიკელთა ერთ-ერთი სახომალდო შემტევი ჯგუფი „ბრავო“ კრეისერ „უეინრაითის“, ფრეგატების „სიმპსონისა“ და „ბეგლის“ შემადგენლობით ნავთობმომპოვებელი პლატფორმა „სირის“ მიმართულებით გაიგზავნა. ამერიკელებმა ნავთობმომპოვებელი პლატფორმის განადგურების დავალება სწრაფად შეასრულეს და შემდეგ რაიონის პატრულირებაზე გადავიდნენ.

გავიდა რამდენიმე საათი და ამერიკულმა შვეულმფრენმა რაიონში ირანელთა სარაკეტო კატარღა P225 „ჯოშანი“ (პ. „კომბატანტ II“) შეამჩნია. კატარღამ საბრძოლო პოზიცია დაიკავა და კრეისერ „უეინრაითს“ ჩინური წარმოების ფრთოსანი რაკეტა C-801 ესროლა. „უეინრაითმა“ ცრუსამიზნეების დაყენებითა და მანევრირებით რაკეტა აიცდინა და საპასუხოდ ხუთი „სტანდარტ“ SM-1 გაისროლა. რაკეტები „ჯოშანს“ მოხვდა და ის სწრაფად ჩაიძირა.

ირანელთა მეორე სარაკეტო კატარღა P 224 „პეიკანი“ ირან-ერაყის ომის დროს 1981 წლის 1-ელ აგვისტოს ერაყელთა შვეულმფრენმა „სუპერ ფრელონმა“ რაკეტა AM38 „ექსოსეტის“ საშუალებით ჩაძირა.

ავიაციის უპირატესობა კიდევ უფრო შესამჩნევი გახდა 1991 წლის დასაწყისში, როცა სპარსეთის ყურეში სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ დასავლეთის ქვეყნებმა საომარი კამპანია წამოიწყეს. თავიდან კოალიციის ჯარების შეშფოთებას ერაყის ფლოტის 7 სარაკეტო კატარღა (პ. 205) იწვევდა. კატარღებზე დაყენებული საბჭოთა წარმოების ფრთოსანი რაკეტა П-15М „ტერმიტი“ 50 კმ-ის მანძილზე გასროლის საშუალებას იძლეოდა.

მოკავშირეებმა ერაყელთა სარაკეტო კატარღებს შვეულმფრენები და მოიერიშე თვითმფრინავები დაუპირისპირეს. მხოლოდ 1991 წლის იანვარში ბრიტანელებმა „სი სკუიას“ ტიპის რაკეტებით აღჭურვილი შვეულმფრენებით სპარსეთის ყურის ჩრდილოეთ ნაწილში ერაყელთა 4 კატარღა ჩაძირეს და 13 დააზიანეს. თებერვლისათვის ერაყის სამხედრო-საზღვაო ფლოტი (7 ხომალდი და 14 კატარღა) აღარ არსებობდა.

ბოლო წლებში სარაკეტო კატარღებზე მოთხოვნა შესამჩნევად შემცირდა, რაც

ძირითადად ავიაციის ფართო შესაძლებლობებმა, თანამედროვე საზღვაო შეიარაღების მაღალმა ფასებმა და სარაკეტო კატარღების სამოქმედო არეალის შეზღუდვამ გამოიწვია.

2004 წლის მონაცემებით 53 ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტში სარაკეტო კატარღების რაოდენობა 1987-88 წლებთან შედარებით 240-ით შემცირდა და დაახლოებით 640 ერთეულს მიაღწია. სარაკეტო კატარღები აღარ ჰყავს აშშ-ის, საფრანგეთის, იტალიისა და კიდევ სხვა რამდენიმე ქვეყნის ფლოტს. სამაგიეროდ ჰყავთ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად წარმოშობილ ახალ სახელმწიფოებს.

ყველაზე გავრცელებულია ფრანგული პროექტი „კომბატანტი“. ფრანგული პროექტის სხვადასხვა მოდიფიკაციის 70-მდე სარაკეტო კატარღა დაახლოებით 12 სახელმწიფოს ფლოტის შემადგენლობაშია. საბჭოთა 1241-ე და 205-ე პროექტებიდან, შესაბამისად, 55 და 49 სარაკეტო კატარღაა დარჩენილი. მას მოჰყვება ჩინური „ჰუანგ ფენი“ (53 კატარღა), გერმანული პროექტი TNC 45 (22 კატარღა) და ა.შ.

სამეცნიერო-ტექნიკურმა მიღწევებმა და ახალმა ტექნოლოგიებმა თანამედროვე სამხედრო ხომალდებისა და კატარღების მშენებლობა 2-3-ჯერ გააძვირა. შეიცვალა მცურავი საშუალებების გარეგნული და ტექნიკური მხარეები.

დაწყებულია შემცირებული რადიოლოკაციური შემჩნევადობის მქონე სარაკეტო კატარღების მშენებლობა. 1993 წლიდან შვეციის სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაშია 140 ტონა წყალწყვის სარაკეტო კატარღა „სმიუგე“. კატარღის კორპუსი დამზადებულია ნახშირბადის ბოჭკოსაგან, რომელიც რადიოლოკაციურ ტალღებს კარგად შთანთქავს. შეიარაღება 2 ფრთოსანი რაკეტის, 2 სატორპედო აპარატისა და 40 მმ-იანი ქვემეხისაგან შედგება.

წყნარ ამინდში „სმიუგეს“ აღმოჩენა 11 კმ-ზე, ხოლო ცუდში კი – 8 კმ-ზეა შესაძლებელი. ეს მაჩვენებლები ფოლადისკორპუსიანი კატარღისათვის, შესაბამისად, 50 კმ და 25 კმ-ია.

მალე შვეცია 650 ტონა წყალწყვის კორვეტის კლასის ხომალდების მშენებლობაზე გადავიდა. პროექტი YS 2000 „ვისბუ“ დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარი ჯდება. 6 კორვეტიდან 5 უკვე წყალშია ჩაშვებული, ხოლო მეექვსე მშენებლობის პროცესში იმყოფება.

„ვისბუს“ შეიარაღება ქვემეხის გამოკლებით კორპუსის შიგნით არის მოთავსებული და ამის ხარჯზე სილუეტი ჰორიზონტზე ნაკლებშესამჩნევია. შეიარაღება სოლიდურია: 8 ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა RBS-15 Mk 3, საზენიტო კომპლექსი RBS-23, წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად 4 სატორპედო აპარატი, 57მმ-იანი 1 ქვემეხი, 1 შვეულმფრენი. სიჩქარე 35 კვანძია.

ნორვეგია „სტელსის“ ტექნოლოგიის გამოყენებით, „შხოლდის“ სერიის 270 ტონა წყალწყვის 6 სარაკეტო კატარღას აგებს. კატარღების შეიარაღებაში შედის ხომალდსაწინააღმდეგო „პინგვინი“ Mk 2 ტიპის 4 რაკეტა.

სკანდინავიის ქვეყნებს მაღალგანვითარებული სამხედრო და გემთსაშენი მრეწველობა აქვთ, მათ დღეს ყველაზე თანამედროვე და ძვირად ღირებული სარაკეტო კატარღების აშენება შეუძლიათ.

შედარებით რაციონალური გზა გამონახეს დანიელებმა და პროექტი „სტანდარტ ფლექს 300“ შეიმუშავეს, რომელსაც საფუძვლად მოდულური შეიარაღება დაედო – გადასაწყვეტი ამოცანიდან გამომდინარე სამხედრო-საზღვაო ბაზაში კატარღის საბრძოლო აღჭურვილობა იცვლება.

კატარღებს ერთიანი კორპუსი, ენერგეტიკული დანადგარები, მართვის ძირითადი სისტემები, სანავიგაციო და კავშირის საშუალებები აქვს, ხოლო შეიარაღების კომპლექსები და საბრძოლო მართვის სისტემები მოდულურია. აუცილებლობისდა მიხედვით კატარღა შეიძლება სარაკეტო, მტრალავი, ნაღმების მაძიებელი, ნაღმგადამღობი და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო შეიარაღებით აღიჭურვოს.

დანიელებმა ამ პროექტით 14 კატარღა ააგეს, მაგრამ მათ ნოვატორულ მიდგომას გამგრძელებელი ჯერჯერობით არ გამოუჩნდა.

სარაკეტო კატარღები ტრადიციული კორპუსითა და ძვირად ღირებული თანამედროვე შეიარაღებით მცირე რაოდენობით კვლავინდებურად შენდება. ასეთი კატარღები სპარსეთის ყურის მდიდარი არაბული ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტების დამრტყმელ ძალას წარმოადგენს.

1998-2000 წლებში საფრანგეთში ქუვეითის ფლოტისათვის აიგო „უმ-ალმარადიმის“ სერიის 8 სარაკეტო კატარღა. კატარღებზე დაყენებულია „სი სკუიას“ ტიპის ფრთოსანი რაკეტებისა და „სადრალის“ ტიპის საზენიტო რაკეტების გამშვები დანადგარები. მშენებლობის პროცესშია არაბთა გაერთიანებული საამიროებისათვის 500 ტონა წყალწყვის „ბაინუნახის“ სერიის 6 სარაკეტო კატარღა.

ბოლო დროს არაბული ქვეყნები უპირატესობას სულ უფრო მეტად ანიჭებენ



შავი ზღვის ფლოტის პატარა სარაკეტო ხომალდი P-71 (პროექტი 1241)



ბერძნული სარაკეტო კატარღა პროექტი „კომბატანტ III“

უნივერსალური ხომალდსაწინააღმდეგო, საჰაერო და წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო შეიარაღებით აღჭურვილ კორვეტისა და ფრეგატის კლასის ხომალდებს.

ნაკლებმდიდარი ქვეყნებისათვის პერსპექტიულია სარაკეტო კომპლექსებით აღჭურვილი მცირე ზომის 130-150 ტონამდე წყალწყვის კატარღები. ასეთი კატარღის დანიშნულება პატარა ზომის წყალზედა სამიზნეებთან ბრძოლაა, ხოლო მცირე ზომების გამო მისი აღმოჩენა-განადგურება ძალზე გაძნელებულია. შეიარაღებაში გამოყენებულია კომპაქტური ხომალდსაწინააღმდეგო ან ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო სისტემები, საზენიტო ავტომატები, მცირეკალიბრიანი არტილერია.

ტაივანის ფლოტის შემადგენლობაშია ისრაელის პროექტ „დვორას“ ტიპის 48 კატარღა. 47 ტონა წყალწყვის კატარღები (წყალწყვით „გრიფებს“ უახლოვდება) „გაბრიელის“ ტიპის ორ ფრთოსან რაკეტას (ფრენის სიშორე 36 კმ) ატარებენ.

ისრაელი საექსპორტოდ აშენებს 54-67 ტონა წყალწყვის „სუპერდვორას“ ტიპის საპატრულო კატარღებს. რამდენიმე კატარღა ერიტრიისა და შრი-ლანკის ფლოტებს გადაეცა, სადაც ზღვაზე ანტისამთავრობო დაჯგუფებებთან საბრძოლველად კატარღები „ჰელფაიერის“ ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებითა და 130 მმ-იანი უმართავი ჭურვების გამშვები დანადგარებით აღიჭურვა.

რუსეთი აქტიურ რეკლამას უკეთებს 127 ტონა წყალწყვის კატარღა „მირაჟს“. წყალზედა სამიზნეების გასანადგურებლად კატარღას აქვს ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი „შტურმის“ ორი გამშვები დანადგარი და „ატაკას“ ტიპის რაკეტები (სროლის სიშორე 6 კმ). გარდა ამისა, აქვს 30 მმ-იანი საზენიტო ავტომატი, ორი 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევი და ა.შ.. კატარღა 50 კვანძ სიჩქარეს ავითარებს.

პატარა წყალწყვის კატარღებისათვის საკმაოდ ეფექტიან და საიმედო საშუალებას წარმოადგენს ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი „სი სკუა“. კომპლექსი 850 კილოგრამს იწონის და მასში შედის რადიოლოკაციური სადგური, სროლის მართვის აპარატურა და 4 რაკეტა „სი სკუა“ (იწონის 145კგ-ს, დაფრინავს 15კმ-ზე და 20კგ-იან საბრძოლო მუხტს ატარებს).

ზოგიერთმა სახელმწიფომ, რომელსაც ზღვაზე ოპერაციებისათვის საკმარისი ძალები არ გააჩნია, გამოსავალი პატარა წყალწყვის კატარღების უმართავი რაკეტების გამშვები დანადგარებით აღჭურვაში დაინახა. მსგავსი დანადგარები განსაზღვრულ ფართობზე საზღვაო და სახმელეთო სამიზნეების დაფარვის საშუალებას იძლევა.

ირანის ფლოტი 100 ტონამდე წყალწყვის ასზე მეტ კატარღას ითვლის და ბევრ მათგანზე 107 მმ-იანი ჭურვების გამშვები დანადგარები დგას. ირან-ერაყის ომის დროს, ჰაერში ერაყის ავიაციის ბატონობისას, ირანელთა 15-30 ტონა წყალწყვის კატარღები სპარსეთის ყურეში ნავთობით დატვირთული ტანკერების წინააღმდეგ აქტიურად მოქმედებდნენ, ხოლო მათი განადგურება ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით შეუძლებელი აღმოჩნდა.

ამერიკულმა საზღვაო მოიერიშე „ინტრუდერებმა“ 1988 წლის 18 აპრილს ირანელთა „ბოგჰამარის“ ტიპის კატარღების წინააღმდეგ „როკაის“ ტიპის კასეტური ბომბები გამოიყენეს. ამერიკელებმა ერთი კატარღა ჩაძირეს, ხოლო დარჩენილი 4 კატარღის ეკიპაჟმა ნაპირზე გარიყვა ამჯობინა.

აფხაზეთის კონფლიქტში კატარღებზე დაყენებულ უმართავი რაკეტების გამშვებ დანადგარებს ორივე მხარე იყენებდა. სეპარატისტებმა ამისათვის „ნევკას“ ტიპის 5,4 ტონა წყალწყვის წყალქვეშაფრთებიან სასეირნო კატარღებზე საავიაციო უმართავი ჭურვების გამშვები კონტეინერები დააყენეს, ხოლო ომის დასკვნით ეტაპზე თვითმავალ ბარჟაზე „გრადი“ მოათავსეს და მისი საშუალებით ბაბუშერის აეროპორტის საფრენ ბილიკებს რეგულარულად ბომბავდნენ. ერთ-ერთი დაბომბვისას კი სამგზავრო თვითმფრინავის დაზიანება მოახერხეს.

თავის მხრივ, ქართულმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა 1993 წლის 28 აპრილს გუდაუთასთან მდებარე სეპარატისტთა ერთ-ერთი საწვრთნელი ბანაკი სეინერ „კოდორზე“ დაყენებული БМ-21 „გრადის“ დანადგარით დაბომბეს.

სპეციალისტთა შეფასებით, უახლოეს მომავალში თანამედროვე კომპაქტური შეიარაღებით აღჭურვილ პატარა წყალწყვის კატარღებზე მოთხოვნა უნდა გაიზარდოს.

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების შემადგენლობაში ამჟამად ორი სარაკეტო კატარღა „თბილისი“ (პ. 206 MP) და „დიოსკურია“ (ფრანგული „კომბატანტ II“) ირიცხება. ამ მცურავ საშუალებებს სარაკეტო კატარღა შეიძლება პირობითად ეწოდოს. უკრაინაში ნაყიდ „თბილისს“, რომელიც საქართველოს დროშით 1999 წლის ივლისიდან დაცურავს, ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტა არც ერთხელ არ გაუშვია. ასევე, საეჭვოა, რომ ბერძნებმა ქართველ მეზღვაურებს „დიოსკურიასთან“ ერთად ფრანგული წარმოების „ეკზოსეტის“ ტიპის რაკეტები გადმოსცენ. დასავლეთის ქვეყნები ასეთი იარაღის სხვებისათვის გადაცემისას დიდ სიფრთხილეს იჩენენ.

ქართული ფლოტის შემადგენლობაშია „გრადის“ ტიპის დანადგარით აღჭურვილი კატარღა „ახმეტა“ (ბორტი №102), რომელიც ადრე საბჭოთა ფლოტში ტორპედმჭერის მოვალეობას ასრულებდა.

სჭირდება თუ არა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტს სარაკეტო კატარღები? სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის არარსებობის პირობებში, როცა ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემაში ფლოტის როლი ბუნდოვანია, წინასწარ ძნელი სათქმელია რომელი კლასის, რა რაოდენობისა და რა შეიარაღების მქონე მცურავი საშუალებები გვესაჭიროება. შესაბამისად, კითხვა, გვინდა თუ არა სარაკეტო კატარღები, უპასუხოდ რჩება.

თემურ ჩაჩანიძე



შვედური სარაკეტო კორვეტი K31 „ვისბუ“

# არსენალვორდი



**თარაზულად:** 1. რევოლუციამდელ რუსეთში საზღვაო აკადემიის უფროსკურსელი, რომელიც ფლოტში პრაქტიკას გადიოდა; 6. ცივი იარაღი; 7. ომის დროს გამარჯვებულის მიერ ხელში ჩაგდებული საჭურველი და სხვა სამხედრო ქონება; 8. არგენტინული პისტოლეტი; 9. ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელი; 10. ქართველი მწერალი ... ქიაჩელი; 13. ამერიკული რევოლვერი; 16. ეგვიპტური ავტომატი; 17. რუმინეთის ფულის ერთეული; 18. ამერიკელთა მეტსახელი; 19. ჭიდაობა; 20. მოხარშული ზეთი; 21. თავბრუ; 23. სამხედრო ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან მუდმივად ან დროებით ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტში; 25. მექსიკის მთავარი სამხედრო-საზღვაო ბაზა; 27. არმიის მღვდელი; 28. აკრძალვა, რომელსაც ადებს ერთი სახელმწიფო ორგანო მეორის გადაწყვეტილებას; 29. ტბა უნგრეთში; 30. პატარა სარწყავი არხი; 31. მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მებრძოლი არასამთავრობო ფორმირების წევრი. **შვეულად:** 1. საიდუმლო სახელმწიფო პოლიცია ფაშისტურ გერმანიაში; 2. ესპანური პისტოლეტი; 3. პარიზის კოშკი; 4. დანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სადარაჯო კატერი; 5. მდინარე აფრიკაში; 8. შვედური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 11. ესპანური პისტოლეტის „გაბილონდოს“ მოდელი; 12. თვითმფრინავის მანევრირება ჰაერში სხვადასხვა ფიგურის შესრულებით; 13. გერმანული რევოლვერი; 14. ბანდიტი აშშ-ში; 15. ქიმიური ელემენტი, ლითონი; 19. ფინური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი; 22. ალექსანდრე მაკედონელის ცხენი; 23. ესპანური რევოლვერი; 24. დანაშაულის განმეორებით ჩადენა; 26. კორეული ავტომობილი; 27. ამერიკული საბრძოლო შვეულმფრენი AH-1S.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 1. ლანდსკნეხტი; 6. ზავი; 7. საფანტი; 8. რეალი; 9. ლა 10. იანიჩარი; 13. ბალისტიკა; 17. რეიდი; 18. ლანდი; 19. ლანსი; 20. გეტრი; 21. ნიგერია; 25. ტირი; 26. ჰიტლერი; 27. ნეი; 28. კივერი; 29. ალია; 30. ტანკი; 32. აბსენთი. **შვეულად:** 1. ლაზარეთი; 2. ნავმაქია; 3. კორა; 4. ესკადრა; 5. ტროტილი; 7. სიონი; 11. ჩერჩილი; 12. რაიზინგი; 13. ბულდოგი; 14. ლანდსტადტი; 15. საიდვინდერი; 16. ფინდიხი; 22. გლიზენტი; 23. რინგი; 24. ალიტალია; 26. ამადა; 28. კაფე; 31. კინო.

„არსენალი“ გთავაზობთ ივლისის თვეში მომხდარი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და საინტერესო ისტორიული მოვლენების ჩამონათვალს.

# არსენალის აგვისტოს კალენდარი



გიორგი კვინიტაძე

**1 აგვისტო**

1798 წელი – ადმირალმა ნელსონმა გაიმარჯვა ფრანგულ ესკადრაზე აბუქირის ყურეში.

1877 წელი – ქართველებმა ოსმალებისგან გაათავისუფლეს ქ. ოჩამჩირე.

1914 წელი – დაიწყო პირველი მსოფლიო ომი.

1946 წელი – ისრაელის ახალგაზრდა სახელმწიფოს მთავრობამ გამოაცხადა დეკრეტი ერთიანი შეიარაღებული ძალების შექმნის შესახებ.

**2 აგვისტო**

1589 წელი – გარდაიცვალა ანრი ანჟუელი (ძმის, კარლოს IX-ისგან პირველმა მიიღო გენერალისიმუსის სამხედრო წოდება), საფრანგეთისა და პოლონეთის მეფე.

1712 წელი – დაიბადა გიორგი ბაგრატიონი – გენერალ-ანშეფი (მეფე ვახტანგ VI ვაჟი).

1943 წელი – იაპონელებთან საზღვაო ბრძოლაში დაიჭრა ჯონ ფიცჯერალდ კენედი – აშშ მომავალი პრეზიდენტი (იმჟამად უფროსი ლეიტენანტი, წყალქვეშა ნავის მეთაური).

1945 წელი – ქ. პოტსდამში დასრულდა სსრკ, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის სახელმწიფოთა მეთაურების კონფერენცია (განხილულ იქნა ომისშემდგომი გერმანიის მოწყობისა და პოლიტიკის პრობლემები).

1964 წელი – აშშ ჯარები შევიდნენ ვიეტნამში.

1990 წელი – ერაყის არმია შეიჭრა ქუვეითის ტერიტორიაზე.



ალექსანდრე ნადირაძე

**4 აგვისტო**

1914 წელი – აშშ-მა გამოაცხადა ნეიტრალიტეტი პირველ მსოფლიო ომში.

**5 აგვისტო**

1828 წელი – გენერალ ივან პასკევიჩის ჯარებმა აიღეს ქ. ახალქალაქი.

1878 წელი – აჭარა და ბათუმი გათავისუფლდა ოსმალთაგან.

1963 წელი – ქ. მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება აშშ-სა და სსრკ-ს შორის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის თაობაზე ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცესა და წყალქვეშ.

**6 აგვისტო**

1682 წელი – დაიბადა ლუი ბურგუნდიელი – ფლანდრიის არმიის ნომინალური გენერალისიმუსი („მეფე-მზე“ ლუდოვიკო XV-ის ვაჟი).

1829 წელი – ქართველთა და რუსთა გაერთიანებულმა ჯარმა გურიაში, სოფელ მუხაესტატესთან გამართულ ბრძოლაში მოსრა ოსმალთა დიდძალი მხედრობა.

1945 წელი – აშშ-მ ატომური ბომბი ჩამოაგდო იაპონური ქალაქ ჰიროსიმას თავზე.

1947 წელი – დაიბადა მუჰამედ ნაჯიბულა – ავღანეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, გენერალ-ლეიტენანტი.

**7 აგვისტო**

1782 წელი – დაწესდა „მეწამული გულის“ ორდენი – ამერიკული პირველი ჯილდო, მიეწერება ჯორჯ ვაშინგტონის სახელს.

1819 წელი – სიმონ ბოლივარის მეამბოხეებმა პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს ესპანელი კოლონიზატორების გენერალ მურილიოს ჯარზე და 3 დღის შემდეგ აიღეს ქ. ბოგოტა (კოლუმბია).

1970 წელი – საფრანგეთში, ქ. შატუში, 96 წლის ასაკში გარდაიცვალა გიორგი კვინიტაძე – გენერალ-მაიორი.

**8 აგვისტო**

1945 წელი – შეიქმნა საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი მე-2 მსოფლიო ომის მთავარი სამხედრო დამნაშავეებისათვის.

1941 წელი – იოსებ სტალინი დაინიშნა სსრკ შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის თანამდებობაზე.

1941 წელი – ბალტიის ფლოტის ავიაციამ პირველად დაბომბა ქ. ბერლინი.

**9 აგვისტო**

1578 წელი – ჩილდირის ტბასთან (თურქეთი) გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა, ერთი მხრივ ოსმალებსა და, მეორე მხრივ, ყიზილბაშებსა და ქართველებს შორის. შუადღიდან დაბინდებამდე გაგრძელებულ შეტაკებაში ოსმალებმა გაიმარჯვეს (მათი უზარმაზარი არმიის სარდალმა მუსტაფა ლალა-ფაშამ რამდენიმე ათას ტყვე ყიზილბაშს თავები დააყრევინა, ქართველი ტყვეები კი კოცონზე დაწვა სხვათა დასაშინებლად...).

1945 წელი – საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს საბრძოლო მოქმედებანი იაპონიის წინააღმდეგ (მანჯურიის შეტევითი ოპერაცია).

1945 წელი – ამერიკული ატომური დაბომბვის მსხვერპლი გახდა იაპონური ქალაქი ნაგასაკი.

**10 აგვისტო**

1904 წელი – რუსეთ-იაპონიის ომის მსვლელობისას ყვითელ ზღვაში ერთმანეთს შეეტაკნენ რუსული პორტ-არტურის ესკადრისა და იაპონური ფლოტის მთავარი ძალები (საარტილერიო დუელში „ამომავალი მზის ქვეყნის“ ადმირალმა ტოგომ მოკლა რუსი კონტრადმირალი ვიტგეფტი და გაანადგურა მისი შტაბი).

1992 წელი – საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩამოყალიბდა პირველი სატანკო ქვედანაყოფი.

**12 აგვისტო**

1121 წელი – მეფე დავით აღმაშენებელმა გადაიხადა ყველაზე დიდი ბრძოლა – დიდგორის ველზე მან 56-ათასიანი ჯარით გაანადგურა მაჰმადიანთა კოალიციური 400-ათასიანი ურდო.

1535 წელი – ჯავახეთში, სოფელ მურჯახეთთან გაიმართა ბრძოლა – იმერეთის მეფე ბაგრატ III-მ, ლევან I დადიანისა და როსტომ გურიელის დახმარებით დაამარცხა ათაბაგი ყვარყვარე III და სამცხე შეუერთა იმერეთს.

1787 წელი – თურქეთმა ომი გამოუცხადა რუსეთს.

1972 წელი – ამერიკის ჯარებმა დატოვეს ვიეტნამი.

1992 წელი – გადაიშალა ერთ-ერთი ყველაზე „შავი ფურცელი“ მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიაში: აფხაზეთში დაიწ-

ყო საომარი მოქმედებები.

**13 აგვისტო**

1521 წელი — ესპანელმა დამპყრობმა კორტესმა სამთვიანი ალყის შედეგად დაიპყრო ქ. ტენოჩტიტლანუ, გადააკეთა ინდიელთა ნაგებობანი და ქალაქს უწოდა ახალი სახელი — მეხიკო.

1943 წელი — აშშ ხელისუფლებამ ამერიკელ ჯარისკაცებს მხნეობისათვის დღეში გამოუყო... თითო ბოთლი ლუდი.

**14 აგვისტო**

1385 წელი — ალჟუბაროტის ბრძოლაში პორტუგალიელთა 7-ათასიანმა არმიამ გაანადგურა ესპანელთა 30-ათასიანი ლაშქარი და თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა შეინარჩუნა.

1813 წელი — დრეზდენის ორდღიან ბრძოლაში ნაპოლეონმა გაიმარჯვა მოკავშირეებზე (ამ უკანასკნელთა ზარალი სამჯერ აღემატებოდა ფრანგებისას).

1914 წელი — ბელგიის ქ. დინანასთან, მდ. მეზეს ხიდის დაცვისას, პირველად დაიჭრა ახალგაზრდა ქვეითი ოფიცერი შარლ დე გოლი (საფრანგეთის მომავალი გენერალი და პრეზიდენტი).

**15 აგვისტო**

1769 წელი — დაიბადა ნაპოლეონ ბონაპარტი — საფრანგეთის იმპერატორი, გამოჩენილი მხედართმთავარი.

**16 აგვისტო**

1754 წელი — ქართველთა მხედრული დიდების დღე: კახეთს შეესია დაღესტანში იმ დროისათვის გაძლიერებული ხუნძახის მფლობელი ნურსალ-ბეგი. რამდენიმე სოფლის დარბევის შემდეგ, მისი ლაშქარი არაგვის საერისთაოში გადავიდა და მჭადიჯვრის ციხეს შემოარტყა ალყა. მეფე ერეკლე II-მ და თეიმურაზმა დუშეთთან ჯარები გააერთიანეს და მტრის დიდი ჯარი მჭადიჯვართან ერთობლივად დაამარცხეს.

1828 წელი — ქართველთა რაზმებმა დაიკავეს ქ. ახალციხე (მაისში ბალკანეთის მიმართულებით დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის ფრონტზე საომარი ოპერაციები გაჩაღდა ივნისში — ციხექალაქ ყარსის აღების შემდეგ შუა ივლისში აიღეს ფოთი, შემდეგ — ახალქალაქი, ხოლო ახალციხის მერე არტაანისა და ბაიაზეთის რიგი დადგა).

**17 აგვისტო**

1925 წელი — დაიბადა პანტელეიმონ გიორგაძე — გენერალ-მაიორი.

1946 წელი — დაიბადა ელგუჯა მეძმარიაშვილი — გენერალ-მაიორი.

1950 წელი — დაიბადა ავთანდილ იოსელიანი — გენერალ-ლეიტენანტი.

**18 აგვისტო**

1940 წელი — ალექსანდრიასთან წარუმატებლად დასრულდა იტალიელი საბრძოლო მცურავების მიერ დაგეგმილი ადამიანი-ტორპედოების I საბრძოლო ოპერაცია (მათ გადასაყვანად გამიზნული წყალქვეშა ნავი „ირიდე" ინგლისურმა ავიაციამ მაშინ დაბომბა, როცა ბორტზე აჰყავდა 3 სამართავი ტორპედოს გემბანზე მყოფი ეკიპაჟები).

**20 აგვისტო**

1914 წელი — დაიბადა ალექსანდრე ნადირაძე — ინჟინერ-გენერალ-ლეიტენანტი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი, ლენინის პრემიის ლაურეატი, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, კოსმოსური სარაკეტო ტექნიკის მთავარი კონსტრუქტორი, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ბალისტიკური რაკეტების შემქმნელი, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე გასაიდუმლოებული და ნიჭიერი ადამიანი.

**21 აგვისტო**

1874 წელი — დაიბადა გიორგი კვინიტაძე — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი სამხედრო მოღვაწე, გენერალი (1917 წ.), ქართული ჯარის მთავარსარდალი.

1968 წელი — საბჭოთა ჯარებმა ჩაახშვეს სახალხო გამოსვლები ქ. პრაღაში.

**23 აგვისტო**

1939 წელი — საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ ხელი მოაწერეს ე. წ. „მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტს".

**24 აგვისტო**

1578 წელი — ოსმალთა ლაშქარმა სამცხის დაკავების შემდეგ ქართლისაკენ გაიხსნა გზა და ქ. თბილისი აიღო (ლალა-ფაშასთან გამოცხადდნენ ქართლის საქმეების გამგებელი ვახტანგ მუხრანბატონი, ბარძიმ ამილახვარი და ქსნის ერისთავი ელიზბარი. ყიზილბაშებს მხოლოდ ქვემო ქართლი შეებრძოლა, სადაც ოსმალებს მუსრი გაავლეს).

1812 წელი — ბოროდინოს ველზე ფრანგებთან ბრძოლაში დაიჭრა და დაბრმავდა პავლე ბიბილური — გენერალ-მაიორი (ციმბირის ქვეითთა პოლკის მეთაური, შევარდინოს ბრძოლის გმირი).

1944 წელი — ფაშისტთა ჯარებისგან გათავისუფლებულ იქნა ქალაქები პარიზი (საფრანგეთი) და კიშინიოვი (მოლდავეთი).

**25 აგვისტო**

1859 წელი — ყირიმის ომის (1853-56 წ.) მონაწილე გენერალ-მაიორმა ივანე თარხანმოურავმა შტურმით აიღო დუბინის ციხესიმაგრე (მიენიჭა გენერალ-ლეიტენანტის წოდება და მიიღო წმინდა გიორგის მესამე ხარისხის ორდენი).



პეტრე ბაგრატიონი

1878 წელი — ქ. ბათუმის გათავისუფლების დღე: 25 აგვისტოს ქობულეთის რაზმი მახინჯაურიდან ბათუმისკენ დაიძრა. სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებისა და ბერლინის კონგრესის ტრაქტატის თანახმად, ქ. ბათუმში შევიდა რუს-ქართველთა სამხედრო შენაერთი გენერალ-ლეიტენანტ სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით და ქალაქი საზეიმოდ ჩაიბარა თურქეთის ჯარების სარდლის დერვიშ-ფაშასაგან.

**26 აგვისტო**

1346 წელი — ასწლიან ომში (1337-1453 წ.), კრესის შეტაკებაში, ინგლისელთა რაზმმა მეფე ედუარდ III-ის მეთაურობით გაანადგურა ფილიპე VI-ს ფრანგთა 30-ათასიანი ჯარი (ეს ბრძოლა ისტორიაში ცნობილია იმით, რომ ინგლისელთა ძირითად ძალას (9 ათასი მებრძოლი) წარმოადგენდნენ მშვილდებით შეიარაღებული ქვეითები (ფრანგთა დანაკარგი აღემატებოდა გამარჯვებულთა საერთო რიცხოვნობას).

1812 წელი — ნაპოლეონის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლაში, ბოროდინოს ველზე, მძიმედ დაიჭრა ბოროდინოს გმირი გენერალი პეტრე ბაგრატიონი (ეს მეხუთე ჭრილობა მისთვის სასიკვდილო აღმოჩნდა...).

1812 წელი — ბოროდინოს ბრძოლაში დაიღუპა ალექსანდრე ქუთაისოვი — გენერალ-მაიორი (4 დღის შემდეგ დაბადებიდან 28 წელი შეუსრულდებოდა).

**28 აგვისტო**

1772 წელი — მეფე ერეკლე II-მ მიმართვა გაუგზავნა ზემო ქართლის სადროშოს მოსახლეობას, რომლითაც მოუწოდა, ყოფილიყვნენ ქვეყნისათვის თავდადებულნი „პატრონყმობის" საფუძველზე (ცნობილია მეფისეული არგუმენტი: „თქვენ ასე ეცადენით და ჩვენ კიდევ უფრო ძლიერსა და მტკიცეს საქართველოს შეწევნას ვცდილობთ").

**29 აგვისტო**

1769 წელი — სოფელ ხოდასთან ერეკლე II შეხვდა გენერალ ტოტლებენს მოსალაპარაკებლად: მეფემ თურქეთთან ომში მონაწილეობასა და სოლომონ პირველისათვის დახმარებაზე თანხმობა განაცხადა იმ პირობით, თუ რუსეთის მთავრობა 5-ათასიან დამხმარე ჯარს გამოუგზავნიდა.

**30 აგვისტო**

1935 წელი — დაიბადა თენგიზ ეპიტაშვილი — ცნობილი მესაზღვრე, გენერალ-მაიორი.

**31 აგვისტო**

1988 წელი — გარდაიცვალა ვასილ მჟავანაძე — გენერალ-ლეიტენანტი (1944 წ.), სოციალისტური შრომის გმირი (1982 წ.), საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივანი (1953-73 წლებში).

შეადგინა
ამირან ტალახაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Hugo Schmeisser

## გზა ჰიტლერის მისაღებიდან საბჭოთა მეიარაღეობამდე

ჰუგო შმაისერი 1884 წლის 24 სექტემბერს ნიჭიერი გერმანელი მეიარაღის ლუის შმაისერის ოჯახში დაიბადა. იგი მეოთხე ბავშვი იყო დიდ მრავალშვილიან ოჯახში. ჰიუგო თავის და-ძმებთან ერთად სახალხო სკოლაში სწავლობდა. მამამისი ამ დროს წამყვან კონსტრუქტორად მუშაობდა ფირმა „Bergmann's Idustriewerke AG"-ის საიარალო ქარხანაში. ქარხანა სამხედრო და სანადირო მჭიდიან შაშხანებს უშვებდა.

1894 წელს ოჯახი ქალაქ ზულში გადავიდა, სადაც ლუის შმაისერმა თავისი პარტნიორის, თეოდორ ბერგმანის ხელდასხმით ფირმა Valentin Christian Schilling (vcs)-ის ახალი ქარხნის ხელმძღვანელად დაიწყო მუშაობა.

1890 წლიდან ჰუგო შმაისერი გაკვეთილების შემდეგ მთელ დროს მამის საცდელ ლაბორატორიაში ატარებდა. ნიჭმა, მონდომებამ და სწავლამ მალე გამოიღო ნაყოფი — მალე ჰუგო ბერგმანის ზულის ქარხანაში შეუცვლელ სპეციალისტად იქცა. ფირმის ხელმძღვანელობამ მალე შენიშნა ახალგაზრდა შმაისერის მისწრაფებები და ყოველმხრივ ხელს უწყობდა. ამის მიუხედავად, ახალგაზრდა ჰუგომ უმაღლესი ტექნიკური განათლების მიღება ვერ მოახერხა.

1902-03 წლებში ჰუგო შმაისერმა მასთან ერთად შექმნა თვითტენადი პისტოლეტი „მარსი", რომელიც 7,63 მმ კალიბრის ტყვიებთან ერთად 9მმ, 10მმ და 11 მმ-ის კალიბრის ტყვიებსაც ისროდა. პისტოლეტის პატენტი ფირმის მეპატრონის ბერგმანის სახელზე გაფორმდა. ლუის შმაისერის იარაღის ნიმუშებით იმ დროისთვის დანიის, ბელგიისა და ესპანეთის არმიები იყვნენ შეიარაღებული, მათი შემქმნელი კონსტრუქტორის ვინაობა კი არავინ იცოდა. 1905 წელს ლუის შმაისერმა მიატოვა ბერგმანი და ქალაქიდან გაემგზავრა, საიარალო ქარხნის ტექნიკური ხელმძღვანელობა კი ჰუგოს დაუტოვა, რომელიც მანამდე მეიარაღე ტექნიკოსად ითვლებოდა. უმცროსი შმაისერი მაშინ 21 წლის იყო.

მალე ჰუგო საიარალო ქარხნის სრულფასოვან ტექნიკურ ხელმძღვანელად და ბერგმანის მარჯვენა ხელად იქცა. იმ დროისთვის გერმანიის საიარალო ბაზარზე ბერგმანის ქარხნის ნაწარმმა ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავა. ჰუგომ კი მამის შეცდომებიდან დასკვნა გამოიტანა და გაწეული შრომისთვის სათანადო ანაზღაურებასაც იღებდა. პირველი მსოფლიო ომის დასაწყისისთვის ის უკვე საკმაოდ შეძლებული კაცი იყო.

ომის დროს შმაისერი ზულში მუშაობდა. 1915 წელს მან შპანდაუს საიარალო გამომცდელ კომისიას ხელის ახალი ტყვიამფრქვევის კონსტრუქცია წარუდგინა, რომელიც მამამისის ადრინდელ მიღწევებს ეყრდნობოდა. იმავე წელს ამ ტყვიამფრქვევით კაიზერის არმია შეიარაღდა. 7,95-მილიმეტრიანი ხელის ტყვიამფრქვევი, დაზგური ტყვიამფრქვევის გაუმჯობესებულ მოდელს წარმოადგენდა, მისგან კი წონით (12,9 კგ), ზომით და ზოგიერთი ნაწილის მოყვანილობით განსხვავდებოდა. ჰქონდა ლულის ჰაერით გაცივების სისტემა, იტენებოდა ტილოს სქელ ლენტზე ასხმული 100 ტყვიით, რომელიც დოლურისებრ მჭიდში იყო მოთავსებული.

ხელის ტყვიამფრქვევი „შმაისერ-ბერგმან M.1915" საკმაოდ მარტივი მოწყობილობისა იყო, ჰქონდა მცირე რაოდენობის ნაწილები, რაც მის მოხმარებას აადვილებდა, მაგრამ მისი მექანიზმები არც ისე გამართული იყო.

კაიზერის არმიის მთავარსარდლობა მიიჩნევდა, რომ ომში სასურველი შედეგი მხოლოდ მძლავრი დარტყმების მეშვეობით, მოწინააღმდეგის თავდაცვითი ძალების გარღვევით მიიღწეოდა. მაგრამ როგორც ბრძოლებში მიღებულმა გამოცდილებამ ცხადყო, სრულყოფილი ავტომატური იარაღის გარეშე პირდაპირი დარტყმები იმთავითვე მარცხისთვის იყო განწირული. გერმანელებს წარმატების შანსი მისცა გენერალ ლუდენდორფის მიერ 1915 წელს დამუშავებულმა ახალმა ტაქტიკურმა კონცეფციამ („მოქნილი თავდაცვის ტაქტიკა"). იმ დროისთვის ბრძოლებს ძირითადად პოზიციური ფორმა ჰქონდა. მოწინააღმდეგეთა სანგრებს შორის მანძილი ზოგჯერ 100-200 მეტრს აღწევდა. ამიტომ მტრის თავდაცვის გასარღვევად გერმანიის ჯარის ქვეითებმა გადაწყვიტეს შეექმნათ მოიერიშე ჯგუფები, რომლებიც მსუბუქი ავტომატური იარაღით იქნებოდნენ აღჭურვილნი, მაგრამ მალე ასეთი ჯგუფების გამოყენებამ იდეის ავტორებს თვალნათლივ დაანახვა, რომ მათი ჩანაფიქრის განსახორციელებლად საჭირო იყო ახალი იარაღი ცეცხლის უკეთესი სიმჭიდროვით, რომელიც ახლო ბრძოლებისათვის გამოსადეგი იქნებოდა.

კაიზერის არმიის შეიარაღების სამმართველოს შორსმჭვრეტელმა გენერლებმა 1915 წელს ახალი იარაღის კონსტრუქციის ძირითადი კრიტერიუმები ჩამოაყალიბეს. კერძოდ: არსებული პისტოლეტის ვაზნების გამოყ-



პირველმა გერმანულმა ავტომატებმა ბრძოლებში სწრაფი სროლის უნარით ღირსეული კონკურენცია გაუწიეს ტყვიამფრქვევებს

შმაისერის საიერიშო შაშხანა STG.44 იგივე MP.44

ქება, სწრაფად სროლის უნარი, ადვილად მოსავლელი, ექსტრემალურ პირობებში მექანიზმების საიმედოდ მუშაობა, სიმსუბუქე, მჭიდის გაზრდილი ტევადობა, წარმოების გასაიოლებლად მისი კონსტრუქციის გამარტივება და გაიაფება. საიერიშო იარაღის შესაქმნელად ტაქტიკურ-ტექნიკური დავალება რამდენიმე ფირმამ და კონსტრუქტორმა მიიღო, მათ შორის ჰუგო შმაისერმაც.

თუ აქამდე შმაისერების ყველა გამოგონებას ბერგმანი ითვისებდა, ახლა ჰუგოს ჩრდილიდან გამოსვლის საშუალება მიეცა. მას საკუთარი გვარის, როგორც საფირმო მარკის, მსოფლიო საიარაღო ბაზარზე გამოტანის უნიკალური შანსი გაუჩნდა.

მალე მისი შრომის შედეგიც გამოჩნდა – ეს იყო ავტომატური შაშხანა, რომელიც პარაბელუმის სისტემის ტყვიებს ისროდა. მისი ავტომატიკა თავისუფალი საკეტის უკუსვლის პრინციპით მუშაობდა. იარაღის ორიგინალობა იმაში მდგომარეობდა, რომ უკან დამბრუნებელი ზამბარა საცემ ფუნქციასაც ასრულებდა.

ასეთი კონსტრუქცია — ერთი ზამბარის ორი სხვადასხვა ფუნქციით გამოყენება, ადრეც იყო ცნობილი (მაგალითად, „ბრაუნინგის“ M.1900 პისტოლეტში), მაგრამ შმაისერს ეს დეტალი უფრო მარტივი გამოუვიდა.

მეორე განსაკუთრებული თავისებურება შმაისერის იარაღისა იყო შაშხანის მასიური ხის კონდახი, რომელიც ჯარისკაცს საშუალებას აძლევდა, იარაღი ორივე ხელით მხარზე მიყრდნობილი, ფეხზე მდგომს ესროლა. ასე იქცა შმაისერის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ქვეითთა სრულფასოვან იარაღად. 1917 წლის 30 დეკემბერს ჰუგო შმაისერმა თავისუფალი საკეტის უკუცემის ხარჯზე იარაღის დატენვის პატენტი მიიღო (№319035), 1918 წლის 26 აპრილს კი — უკან დასაბრუნებელი ზამბარის საცემად გამოყენების პატენტი (№334450). იმავე წლის აპრილში იარაღი სახელწოდებით „9-მილიმეტრიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ბერგმანი P.18.I“ გერმანიის არმიამ შეიარაღებაში მიიღო, ხოლო ფირმა „თეოდორ ბერგმანმა“ მისი სერიული წარმოება დაიწყო.

1917 წლის 20 ნოემბერს, 6 საათსა და 20 წუთზე, ინგლის-საფრანგეთის ჯარების ასობით საარტილერიო ბატარეამ ქალაქ კამბრეს მიდამოებში განლაგებულ გერმანელთა სანგრებს გრიგალისებური ცეცხლი დაატეხა. 376 ტანკმა ნეიტრალური ზონა გადალახა და გერმანელების დაცვის ხაზი გაარღვია. სამი წლის პოზიციური ომის შემდეგ ინგლისელებმა, როგორც იქნა, ახალი ტექნიკის დახმარებით შეძლეს დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთი მონაკვეთის ხელში ჩაგდება. ათი დღის შემდეგ გერმანელები საპასუხო შეტევაზე გადავიდნენ და არათუ პირველდაწყებითი პოზიციები დაიბრუნეს, არამედ ზოგ ადგილას 10 კილომეტრით წაიწიეს ბრძოლის ხაზის სიღრმეში და მოწინააღმდეგის პოზიციებს დაეუფლნენ. ინგლისელებისგან და ფრანგებისგან განსხვავებით მათ შეიარაღებაში ტანკები არ ჰქონდათ. ჯავშანტექნიკის მაგივრად გერმანელები ადამიანებს იყენებდნენ, შეტევის წინა ხაზზე ქვეითთა ელიტურ ჯგუფებსა და მოიერიშე რაზმებს უშვებდნენ. მოიერიშეები უახლესი იარაღით, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებით, ნაღმსატყორცნებითა და ხელყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. გერმანული მოიერიშე ჯგუფების მოქმედებამ აღფრთოვანება გამოიწვია. 30 ნოემბრისთვის გერმანელები 20 კილომეტრით გასცდნენ ადრინდელ ფრონტის ხაზს.

მოიერიშე ჯგუფების წარმატება იმ დროისთვის უახლესი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების დამსახურება იყო. მათი მეშვეობით გერმანელთა მოიერიშე ქვეითებმა საბრძოლო ამოცანების უმრავლესობა შეასრულეს. მიუხედავად ამისა, გერმანიის არმიის მიერ შეკვეთილი 50000 პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის ნაცვლად სამხედრო ქარხნებმა ომის დამთავრებამდე მხოლოდ 17677 ერთეული MP.18.I გამოუშვეს.

პირველ ბრძოლებშივე გამოჩნდა გერმანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის უამრავი ნაკლი. მაგალითად, სროლისას ხშირად ჩერდებოდა (ვაზნა იჭედებოდა); იარაღი ექსპლუატაციის სიმარტივით კი გამოირჩეოდა, მაგრამ ექსტრემალურ სიტუაციაში მუშაობისას არამდგრადი იყო და სხვადასხვა კონსტრუქციული წუნი ჰქონდა.

მიუხედავად ამისა, შმაისერის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი მაინც წინ გადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან კონსტრუქტორმა შედარებით მსუბუქი კომპაქტური ავტომატური იარაღის შექმნაზე დაიწყო ფიქრი.

გერმანულმა პისტოლეტ-ავტომატებმა ბრძოლებში სწრაფი სროლის უნარით ღირსეული კონკურენცია გაუწიეს დაზგურ ტყვიამფრქვევებს.

1919 წლის 28 ივნისის ვერსალის ზავის თანახმად, ყველა გერმანული საიარაღო საწარმო, გარდა Simson-ის ფირმისა, დაიხურა. დაიხურა ბერგმანის ქარხანაც, რომელსაც ამიერიდან მხოლოდ MP.18.I-ის წარმოების იმედი უნდა ჰქონოდა, ისიც პოლიციისთვის. ამ სიტუაციაში თეოდორ ბერგმანმა ხელშეკრულება დადო შვეიცარიულ ფირმა SIG-თან და მას MP.18.I-ის წარმოების ლიცენზია გადასცა. ბერგმანს ეს პატენტის ავტორთან ჰუგო შმაისერთან არ შეუთანხმებია. შმაისერი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო და თავის მხრივ ცდილობდა ბელგიურ ფირმა Bayard-ს დაკავშირებოდა.

1919 წელს, ურთიერთობის ხმაურიანი



გარკვევის შემდეგ, ორი მეიარაღის გზები საბოლოოდ გაიყარა. წერტილი დაესვა თითქმის ოცდაათწლიან თანამშრომლობას. ჰუგო შმაისერი იძულებული შეიქნა ახალი კავშირები ეძებნა. მალე მან თავის უმცროს ძმასთან ჰანსთან და ახლო ნათესავთან, ფაბრიკანტ პაულ კოხთან ერთად 1920 წლის თებერვალში ქალაქ აუჰამერში ახალი ფირმა „Industriewerk Auhammer Koch&co“ დააარსა. ოფიციალურად მათი საწარმო პნევმატურ შაშხანებს „დიანასა“ და ველოსიპედის პედლებს უშვებდა. არაოფიციალურად კი, ესე იგი ვერსალის ზავის საწინააღმდეგოდ, ჰუგო შმაისერი აგრძელებდა მუშაობას პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ MP.18-ის სრულყოფაზე. 1920 წელს მან ხელშეკრულება დადო ბელგიურ ფირმა „ბაიარდთან“, მას MP.18.I-ის წარმოების ლიცენზია გადაეცა, რომელსაც „შმაისერის სისტემა“ ეწოდა. იარაღის ცალკეული ნაწილი აუჰამერში მალულად მზადდებოდა. არავინ იცოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ვერსალის ზავში დათქმული პირობები გერმანიაში ავტომატური იარაღის აკრძალვის თაობაზე, ამიტომ შმაისერებმა იარაღის კონსტრუქციული სრულყოფა და განახლება გადაწყვიტეს. 1920 წელს ჰუგო და ჰანს შმაისერებმა შექმნეს ეგრეთ წოდებული ჯიბის პისტოლეტი (6,35მმ კალიბრი). სერიული წარმოებისთვის მათ ქარხანას სიმძლავრეები არ ჰყოფნიდა, ამის გამო 1921 წელს შმაისერებმა ხელშეკრულება დადეს ცნობილ გერმანულ საიარაღო ფირმა C.G. Haenel-თან, რამაც მათ ოცწლიან მჭიდრო თანამშრომლობას ჩაუყარა საფუძველი.

მიუხედავად მკაცრი აკრძალვებისა, გერმანული კერძო საიარაღო ფირმები არ წყვეტდნენ იარაღის გაუმჯობესებასა და ახალი კონსტრუქციის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების შექმნაზე მუშაობას. 1925 წელს ჰუგო შმაისერი სათავეში ჩაუდგა ფირმა C.G. Haenel-ის საკონსტრუქტორო ბიუროს და მისი ტექნიკური დირექტორი გახდა.

20-იანი წლების დასასრულს გერმანიაში პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების თემამ კვლავ წინა პლანზე გადმოინაცვლა. გამოითქვა აზრი, რომ ამ იარაღით უნდა აღიჭურვოს არა მარტო პოლიცია, არამედ არმიის ნაწილებიც, კერძოდ, ზოგიერთი ტექნიკური ქვედანაყოფი (არტილერისტების, მოტოციკლისტებისა და მზვერავების). 1925 წელს კუმერსდორფის პოლიგონზე რაიხსვერის იარაღის კომისიამ გერმანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების შედარებითი გამოცდა მოაწყო. იმ იარაღის მწარმოებელ ფირმებს, რომლებმაც უკეთესი შედეგი აჩვენეს გამოცდაზე, მათი შემდგომი გაუმჯობესებისა და სამხედრო ნიმუშის შექმნის მიზნით კომისიამ მხარი დაუჭირა.

მათ შორის აღმოჩნდა ფირმა C.G. Haenel-ი, რომელმაც უკვე 1928 წლისთვის


ყველაფერთან ერთად ჰუგო შმაისერი ჩუბინობითაც გამოირჩეოდა

შეძლო MP.18.I-ის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც შეიქმნა 9-მილიმეტრიანი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP.28.II.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი არა მარტო C.G. Haenel-ს, ჰუგო შმაისერსაც შეეხო. ფირმის თანამშრომელთა უმრავლესობა ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლას იმედით ელოდა. ჰიტლერს, რომელიც არჩევის შემთხვევაში ვერსალის ზავის პირობების გაუქმებასა და საიარაღო მრეწველობის მთელი სიმძლავრით ამუშავებას ჰპირდებოდა გერმანელ ხალხს, არ შეიძლებოდა, ჰუგო შმაისერი არ აღეფრთოვანებინა.

1933 წელს ფირმა C.G. Haenel-ის მფლობელი ჰერბერტ ჰენელი და ჰუგო შმაისერი იმ იმედით, რომ იარაღის დიდი პარტიების შეკვეთებს მიიღებდნენ, ნაცისტური პარტიის წევრები გახდნენ. 30-იან წლებში ჰუგო შმაისერი დაუახლოვდა სამხედრო-საჰაერო ფლოტის სამინისტროს სამხედრო იარაღით მომარაგების უფროსს ერნსტ უდეტს.

ოცდაათიანი წლები ახალ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების ტექნოლოგიებზე ინტენსიური მუშაობით აღინიშნა. 1936-39 წლის ესპანეთის სამოქალაქო ომმა კი მთლიანად გამოავლინა ამ იარაღის მნიშვნელობა იმდროინდელ მანევრირებულ ომებში. შედარებით მარტივმა კონსტრუქციამ მნიშვნელოვნად იმოქმედა მისი წარმოების უბრალოებასა და სიიაფეზე.

ძმები შმაისერების საქმიანობის მთავარ მიმართულებად ახალი საომარი იარაღის კონსტრუირება და მისი წარმოების ათვისება იქცა. სწორედ ჰუგო შმაისერმა დაუბრუნა ზულის საკონსტრუქტორო სკოლას მოწინავე პოზიცია ავტომატური იარაღის დამუშავების საქმეში.

როცა ჰუგო შმაისერის მოღვაწეობას განვიხილავთ, უნდა გავიხსენოთ ავტომატურ შაშხანებზე მუშაობის პერიოდიც, რამაც გაამდიდრა კონსტრუქტორის გამოცდილება. ქვეითთა იარაღის უნიფიცირებისაკენ და ერთიანი ნიმუშის შექმნისაკენ სწრაფვამ შმაისერს სრულიად ახალი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის MK.36/III-ის კონსტრუირებისკენ უბიძგა. ეს იარაღი გარეგნულად ვერმახტის ქვეითთა სტანდარტულ შაშხანას „მაუზერ 98K“-ს ჰგავდა.

სროლის ტემპის შემცირებამ (500 გასროლა წუთში) მიზანში მოხვედრაც გააუმჯობესა როგორც ერთეული, ასევე მოკლე ავტომატური ჯერით სროლისას. ამასთან, ლულის სიგრძის 502 მილიმეტრამდე გაზრდამ გააორმაგა (480 მ/წ) ტყვიის საწყისი სიჩქარე, რამაც იარაღის საომარი თვისებები გააუმჯობესა.

დასანანია, რომ ამ შაშხანას სერიული წარმოება არ ეღირსა და მხოლოდ საცდელი ეგზემპლარების სახით შემორჩა არა მარტო იმის გამო, რომ ზომით დიდი იყო, არამედ იმის გამოც, რომ შმაისერმა მისი კონსტრუირებისას ფოლმერის დაპატენტებული გამოგონება უკითხავად გამოიყენა და უხეშად დაარღვია კანონი.

მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული იარაღის განვითარების ერთ-ერთი ნაკლებცნობილი ფაქტია ჰუგო შმაისერის მიერ 1941 წელს მოდერნიზებული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის MP.41-ის შექმნა. ის ორი საბრძოლო იარაღის MP.28.II-ისა და MP-40-ის კვანძებისა და ნაწილების კომბინაციას წარმოადგენდა. MP-40-ისგან განსხვავებით ეს იარაღი ოფიციალურად არასოდეს მოუხსენიებიათ ვერმახტის შეიარაღების ნიმუშთა ჩამონათვალში.

ფირმა Henel-მა მეორე მსოფლიო ომის დროს, მხოლოდ 27500 ცალი MP.41 გამოუშვა. პირველი პარტია 26000 ცალი 1941 წელს აწყვეს. 1944 წლის შემოდგო-

მზე კი დამატებით 1500 ერთეული გამოუშვეს.

სხვათა შორის, საზოგადოების დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომისდროინდელ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს შეცდომით შმაისერის სახელს მიაწერს. მაგალითად, P.38/MP.40-ს. ამ იარაღის ავტორი ფირმა „ედმას" დირექტორი ბერტოლდ ჰაიპელია. გერმანელები ძალზე პუნქტუალურად, ინდექსების მიხედვით აჴარისხებენ საკუთარ იარაღს; მეორე მსოფლიო ომისდროინდელ საბჭოთა ლიტერატურაშიც თითოეულ იარაღზე მისი შემქმნელის სახელი და გვარია მითითებული მაგალითად, MP.28.II – ჰუგო შმაისერი. დასავლეთის სპეცლიტერატურაში კი, რომელიც იარაღს ეხება, 1940-45 წლების ყველა გერმანული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი შმაისერს მიეწერება. ალბათ ეს ფართოდ ცნობილი ავტომატური იარაღის „შმაისერ" MP.28-ისა და MP.41-ის ბრალიცაა (ამ უკანასკნელს საკეტის კოლოფზე, „MP.41, Patent Schmaisser, CG Heanekl, Suhl" ჰქონდა ამოტვიფრული).

1938 წლის 18 აპრილს ვერმახტის შეიარაღების სამეცნიერო კვლევითი ბიუროს სამმართველოს წარმომადგენელმა ჰუგო შმაისერთან ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ავტომატური შაშხანის კონსტრუქციის დამუშავებას ითვალისწინებდა.

ახალმა იარაღმა ოფიციალური სახელწოდება Schwere Machinen-pistole (მძიმე პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი) მიიღო. ჰუგო შმაისერმა და მისმა არცთუ მრავალრიცხოვანმა საკონსტრუქტორო ჯგუფმა დაიწყეს ახალი ტიპის შედარებით მძლავრი ავტომატური იარაღის შექმნა, რომელიც ფირმა Poite-ს ტყვიების სროლაზე იქნებოდა გათვლილი.

ახალი იარაღის შესაქმნელ ინსტრუქციაში ერთ-ერთი მოთხოვნა იყო შაშხანის 7,92 მილიმეტრი კალიბრის შენარჩუნება, რაც წარმოებისას არსებული მოწყობილობების გამოყენების საშუალებას იძლეოდა.

ავტომატური იარაღის ახალ ნიმუშს, რომელსაც სროლის რეჟიმის შემცვლელი უნდა ჰქონოდა, საშტატო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „მაუზერ" 98 კ. უნდა შეეცვალა. ამასთან, უპირატესობა ენიჭებოდა წარმოების ახალ ტექნოლოგიებს, ფურცლოვანი ფოლადისგან იარაღის დეტალების დაშტამპვას, რომლებსაც შემდგომ ოდნავ დამუშავებაღა დასჭირდებოდა.

შმაისერმა, რომელმაც ეს შეკვეთა ძველი დამსახურებებისა და შეიარაღების სამმართველოს ჩინოსნებთან ახლო ურთიერთობის წყალობით მიიღო, ორი წლის შემდეგ ახალი ნიმუში შექმნა, რომელიც Poite-ს ტყვიების სროლაზე იყო გათვლილი. 1942 წლის 21 იანვარს მან ავტომატური შაშხანის (Machinen-Karabin) პირველი საცდელი ნიმუში წარუდგინა კომისიას. ახალ იარაღს „Mkb.42. კომპლექს" უწოდეს. კონსტრუქტორმა ოპტიმალური ვარიანტი აირჩია – ლულის არხიდან დენთის გაზები სხვა არხში გადაიყვანა. სწორედ ეს პრინციპი უდევს საფუძვლად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შექმნილ ყველა ქვეყნის ავტომატურ იარაღს.

ავტომატური შაშხანის მეორე ნიმუში Mkb.42(W), რომელიც იმავე ვაზნას ისროდა, კონკურენტმა ფირმა Walther-მა წარმოადგინა. 1942 წლის დეკემბრიდან 1943 წლის აპრილამდე ორივე იარაღმა პირველი საბრძოლო გამოცდა გაიარა აღმოსავლეთის ფრონტის ჩრდილოეთის უბანზე, ნოვგოროდის ოლქში. ავტომატური შაშხანების გამოცდამ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებებიც გამოავლინა, რამაც კონსტრუქტორებს იარაღის კონსტრუქციის გადაკეთების საშუალება მისცა.

ახალი იარაღის გამოცდის შედეგების შეჯამებამ უპირატესობა შმაისერის კონსტრუქციას მიანიჭა. ნასროლი ტყვიების უკეთესი სიმჭიდროვის მისაღწევად საცემ-სასხლეტი მექანიზმი უფრო საიმედო ვალტერის ჩახმახიანი სისტემით სრულყვეს; შემოღებულ იქნა ალმისებური დამცველი; გრძელი დგუში დამოკლდა; დამოკლდა ასევე გაზის კამერის მილი. ამ ცვლილებებმა იარაღის ავტომატიკა გააუმჯობესა.

1943 წლის თებერვლიდან ივნისის ჩათვლით ფირმა C.G. Haenel-ი მცირე რაოდენობის Mkb.42-ს უშვებდა. 1943 წლის ექვს თვეში დამზადდა 8000 ავტომატური შაშხანა, რომელთაგან 2800 Mkb.42(W) იყო, ხოლო 5200-Mkb.42(H). იმავე წლის ივნისში, მინისტრ შპეერის მხარდაჭერით შმაისერის მოდერნიზებული იარაღი, სახელწოდებით „პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი 1943 წლის ნიმუში MP.43" სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. 1943 წელს ამ იარაღის 14000 ერთეული დამზადდა, მაგრამ იმავე წელს ჰიტლერმა აკრძალა მასზე მუშაობა, რადგან „შუალედური" ვაზნების გამოყენების წინააღმდეგი იყო.

იმავე წლის ზაფხულში ჩატარდა MP.43-ის პირველი სრულმასშტაბიანი საჯარისო გამოცდა აღმოსავლეთის ფრონტზე, გერმანიის ელიტურ ნაწილებში, კერძოდ, სამხრეთის არმიის SS-ის მე-5 მოტორიზებულ დივიზია „ვიკინგში".

ახალი ავტომატების გამოცდის შემაჯამებელ დოკუმენტებში ჯარისკაცების უმრავლესობა აღნიშნავდა, რომ MP.43 გაცილებით ეფექტიანი იარაღია, ვიდრე პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები და შაშხანები. მოსწონდათ დაშლა-აწყობის სიმარტივე; ერთეული გასროლებით 600 მეტრზე მიზანში მოხვედრების კარგი უნარი (უფრო შორ მანძილზე ისროდნენ საგანგებოდ გაწვრთნილი სნაიპერები). მოკლე ჯერებით სროლის დროს კი ცეცხლი 300 მეტრის რადიუსში იყო ეფექტიანი. MP.43-ის სროლის დროს უკუმოქცევის ძალა ორჯერ უფრო ნაკლები იყო, საშტატო კარაბინ 98K-სთან შედარებით.

გამოცდების დადებითმა შედეგებმა ჰიტლერიც დაარწმუნა ამ იარაღის ეფექტიანობაში და მხოლოდ მას შემდეგ, რაც პირადად გაეცნო შმაისერის იარაღის დახასიათებას, 1943 წლის სექტემბრის ბოლოს გასცა ბრძანება, MP.43 შეიარაღებაში მიეღოთ.

1944 წლის ოქტომბერში ჰიტლერმა ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის თანახმადაც MP.44-მა მიიღო ახალი და ამჯერად უკანასკნელი სახელწოდება – StG.44 (Sturmgewehr – საიერიშო შაშხანა).

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ეს იარაღი ჰუგო შმაისერის კონსტრუქციული ოსტატობის მწვერვალს წარმოადგენს. მან დიდად შეუწყო ხელი ავტომატური იარაღის ძირითადი ტენდენციების ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს.

ომის დასასრულს ჰუგო შმაისერი ეგრეთ წოდებულ ფოლკსშტურმისათვის განკუთვნილ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის კონსტრუქციაზე მუშაობდა. ეს იყო MP.3008 „ნეიმენსტერ" (Volks-MP.3008 Gerat Neumunster). ამ იარაღის კონსტრუქციის სიმარტივე არა მარტო მისი წარმოების სიიაფესა და უბრალოებაზე იყო გათვლილი, არამედ მის მოხმარებაზეც. ფოლკშტურმისტებს იოლად შეეძლოთ დაუფლებოდნენ ამ იარაღის მოხმარების ხელოვნებას, რაც ნაწილობრივ გადაწყვეტდა გერმანელი მშვიდობიანი მოქალაქეების შეიარაღების საკითხს. რა თქმა უნდა, ამ იარაღის სერიული წარმოებისთვის 1945 წელს აღარავის ეცალა.

მესამე რაიხის კრახის შემდეგ შმაისერი საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მოხვდა და უკვე 1945 წლის ოქტომბრიდან იგი სამუშაოდ გადაჰყავთ წითელი არმიის ეგრეთ წოდებულ ტექნიკურ კომისიებში, რომელთაც გერმანული საიარაღო მრეწველობის მდგომარეობის ანალიზი უნდა გაეკეთებინათ. უნდა დაედგინათ, ღირდა თუ არა მისი მიღწევების შემდგომი გამოყენება ახალი საბჭოთა იარაღის კონსტრუირების საქმეში.

მალე ჰუგო შმაისერის ცხოვრებაში სრულიად ახალი ფურცელი გადაიშალა – ის საბჭოთა მეიარაღე გახდა.

1946 წლის ოქტომბერში სხვა გერმანელ მეიარაღეებთან ერთად მას საბჭოთა კავშირში მუშაობა „შესთავაზეს" (უფლება ჰქონდა, ოჯახის წევრები თან წაეყვანა). ყველა გერმანელი სპეციალისტი ქალაქ იჟევსკში ჩაასახლეს, სადაც ისინი მანქანათმშენებელ ქარხანაში ახალი იარაღის ტექნოლოგიებზე მუშაობდნენ. მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ დაბრუნდა დაავადებული ჰუგო შმაისერი სამშობლოში. გამოჩენილი გერმანელი მეიარაღე 1953 წლის 12 სექტემბერს გარდაიცვალა. იგი ზულში დაასაფლავეს, ქალაქში, რომელთანაც მისი ცხოვრების საუკეთესო წლები იყო დაკავშირებული.

# პისტოლეტი ოფიცრებისათვის




## მესამე რაიხმა მილიონი P38-ის გამოშვება მოასწრო

ყველა არმიას სიმბოლოდ იარაღის რომელიმე სახეობა და ტიპი აქვს. მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა არმიისთვის ასეთს TT-ს ტიპის პისტოლეტი წარმოადგენდა, ამერიკელებისთვის „კოლტ 1911", ხოლო გერმანიის მესამე რაიხისთვის კი სიმბოლოდ P38 Walther-ი იქცა.

მანამდე გერმანელი ოფიცრები ძირითადად P08 Parabellum-ებით იყვნენ შეიარაღებული. იმ „პარაბელუმით", რომელმაც ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომი გამოიარა და შეცვლას მოითხოვდა, მაგრამ 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულების თანახმად, ომში დამარცხებულ გერმანიას აკრძალული ჰქონდა 100მმ-იანი სიგრძის გრძელლულიანი პისტოლეტის სერიული წარმოება.

30-იან წლებში გერმანიის სათავეში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მოსვლის შემდეგ გერმანიამ ფარულად დაიწყო ახალი იარაღის ნიმუშების შექმნა, მათ შორის, პისტოლეტებისაც.

გამოჩენილმა გერმანელმა კონსტრუქტორმა ფრიც ვალტერმა 30-იანი წლების შუახანებში შექმნა ახალი 9მმ კალიბრიანი პისტოლეტი, რომელიც ვერმახტმა შეიარაღებაში Pistole 38-ის სახელწოდებით მიიღო. სწორედ აქედან გაჩნდა საქვეყნოდ ცნობილი პისტოლეტი P38.


P38 მოხსნილი მჭიდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

1940 წელს პირველი P38-ებით გერმანიის სახმელეთო ჯარების ოფიცრები შეაიარაღეს. შემდეგ ის SS-ის ჯარების შეიარაღებაშიც გამოჩნდა. 1945 წლის მაისამდე გერმანიამ მილიონზე მეტი P38-ის გამოშვება მოასწრო. ამ პისტოლეტს სერიულად აწარმოებდნენ როგორც „ვალტერის“ ფირმის, ისე ბელგიური და ჩეხოსლოვაკიური ქარხნები.



P38 და მისი ბუდე

„არსენალმა“ 1943 წელს გამოშვებული P38 გამოსცადა. მიუხედავად „ხანდაზმულობისა“, პისტოლეტი მშვენიერ ტექნიკურ მდგომარეობაშია. სხვათა შორის, მას არ ჰქონდა „ვალტერის“ საფირმო ნიშანი, რადგან 1940 წლიდან, საიდუმლოს შენახვის მიზნით, „ვალტერს“ ასოებისა და ციფრების შემცველ დამღას ასვამდნენ.

P38-ის ყველაზე დიდი პლუსი ის არის, რომ მოხერხებულად „ჯდება“ ხელში. სასხლეტის დაშვებაც შედარებით რბილი აქვს. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ P38 იქცა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ პისტოლეტად, რომელიც მძლავრ 9მმ კალიბრიან „პარაბელუმის“ ვაზნაზე იყო გათვლილი და თანაც ორმაგი მოქმედების (ანუ ჩახმახის შეყენება სასხლეტის გამოწევითაც შეიძლება) საცემ-სასხლეტი მექანიზმი ჰქონდა.





P38-ის ავტომატიკა ლულის მცირე გადაადგილების სქემით მოქმედებს. გასროლისას ლულა საკეტთან ერთად რამდენიმე მილიმეტრით უკან ინაცვლებს. ამის შემდეგ სპეციალური მოწყობილობა ლულას აჩერებს, ხოლო საკეტი ისევ უკან აგრძელებს გადანაცვლებას, რის დროსაც ხდება მასრის ექსტრაქცია და ახალი ვაზნის ამოღება მჭიდიდან. საკეტის უკანა მხარეს სპეციალური მექანიკური ინდიკატორია, რომელიც მსროლელს აჩვენებს, არის თუ არა სავაზნეში ვაზნა. P38-ს დამცველი მარცხნივ, ისევე აქვს, როგორც საბჭოთა ПМ „მაკაროვს“.



P38 გასროლის მომენტში

ფაშისტური გერმანიის დამარცხების შემდეგ P38-ის წარმოება გერმანიაში შეწყდა, თუმცა 1957 წელს ბუნდესვერმა აღადგინა მისი გამოშვება, ოღონდ ახალი სახელით — P1. 1976 წლიდან იწარმოება პისტოლეტი P4 — შემსუბუქებული და დამოკლებული ლულით.

P38-ის მჭიდი 8 ცალ 9მმ კალიბრიან ვაზნაზე იყო გათვლილი; მოდიფიკაცია P44, რომლის მჭიდშიც 13 ვაზნა ეტეოდა, მცირე რაოდენობით გამოდიოდა.

თბილისში, იარაღის მაღაზიებში ომისდროინდელი P38-ის ფასი 1300 ლარს აღწევს, ევროპის ინტერნეტ-მაღაზიებში კი P38-ს დაახლოებით 600 ევროდ აფასებენ.

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა